



იან ბრაუნი

ბასკოლოგიის  
შესავალი

თბილისი

იან ბრაუნი



# გასკოლოგის შესავალი

(ლექციების კურსი)

აკად. არნ. ჩიქობავას

წინასიტყვაობითა და რედაქტორობით



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 1984

ცნობილი პოლონელი ქართველოლოგისა და ბასკოლოგის იან ბრაუნის „ბასკოლოგიის შესავალი“ წარმოადგენს ლექციების კურსს, რომელიც ავტორმა წაიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1976 წელს. ლექციების კურსი ჩაწერილი იყო მაგნიტოფირზე რუსულად. ტექსტი ქართულად თარგმნა პროფ. ზ. კუ მ ბ უ რ ი ძ ე მ ავტორის უშუალო მონაწილეობით.

წიგნი განკუთვნილია ქართველურ ენათა სპეციალობის სტუდენტი ფილოლოგებისათვის, რომლებიც ბასკური ენის მოკლე კურსს გადიან. ამ წიგნს სიახლოვებით გაეცნობა ყველა, ვისაც ბასკური ენა და ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენების ურთიერთობის პრობლემა აინტერესებს.

რეცენზენტები: ნ. ს ტ უ რ უ ა  
ს. გ ა ბ უ ნ ი ა

Ян Браун

ВВЕДЕНИЕ В БАСКОЛОГИЮ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета  
Тбилиси 1984

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984

4602010000

Б-----

41 608(06) -- 81

## წინასიტყვა

ბასკური ენის საკითხი ჩვენში დიდ ინტერესს იწვევს.

1975 წელს ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ბასკური ენის შესახებ ლექციების წასაკითხავად მოიწვია პოლონელი სპეციალისტი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი იან ბრაუნი, რომელმაც ამ კურსის კითხვა ჩვენს უნივერსიტეტში მომდევნო წელსაც განაგრძო.

ორმოცდაათიან წლებში იან ბრაუნი თბილისის უნივერსიტეტში ქართულს სწავლობდა (ძველი ქართული ენის კათედრაზე) და საკანდიდატო დისერტაციაც ჩვენს ფილოლოგიის ფაკულტეტზე აქვს დაცული.

პოლონეთში იან ბრაუნი ძველი აღმოსავლეთის ენათა და კულტურათა ისტორიის პრობლემებზედაც მუშაობდა (კრებული „მესოპოტამია“), რაიც ქართველოლოგია-კავკასიოლოგიის საკითხებს უკავშირდებოდა. იმავე დროს იან ბრაუნი სისტემატურად მოგზაურობდა ბასკების ქვეყანაში, — როგორც საფრანგეთის, ისე ესპანეთის ბასკებში და ადგილობრივ, ბასკების წრეში, სწავლობდა ბასკურს, მის სხვადასხვა დიალექტს.

თეორიული ენათმეცნიერების პრობლემატიკა (კერძოდ ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიება) იან ბრაუნისათვის უცხო არასოდეს ყოფილა. ასე რომ პროფ. იან ბრაუნს ყველა ის მონაცემი კეთილად აქვს შეთავსებული, რაც ესაჭიროება ისეთ რთულ პრობლემაზე მუშაობას, როგორცაა ბასკების ვინაობისა და ბასკური ენის წარმომადგენლობის პრობლემა.

„ბასკოლოგიის შესავალი“ ესაა ლექციათა წყება, რაც პროფ. იან ბრაუნმა წაიკითხა თბილისის უნივერსიტეტში 1976 წელს.

„შესავლის“ მიზანდასახულობის შესაბამისად აქ მიმოხილულია ბასკი ხალხის ისტორიული წარსული. ბასკური ენის ყველაზე ძველი ძეგლია დემეპარის ლექსები 1545 წლისა სათაურით „ბასკების ენის



ელემენტები“ — „Linguae Vasconum Primitiae“; ამრიგად ბასკური ენის ყველაზე ძველი გაბმული ტექსტი მეთექვსმეტე საუკუნის ეკუთვნის (ცალკეული ბასკური სიტყვები მათე საუკუნიდან არის ცნობილი). ოთხთავი (სახარება) პირველად ითარგმნა ბასკურ ენაზე 1571 წელს (მთარგმნელი მღვდელი ლეისარაგა — Leizarraga)... XVII საუკუნიდან ბასკურ ენაზე პროდუქცია მატულობს.

ბასკური ენის მეცნიერული აღწერილობა XIX ს. დასაწყისში მოუცია ფლ. ლეკლიუსს (Fl. Lecluse „Grammaire basque“).


შემდეგ ი. ბრაუნი იხსენიებს ბასკური ენის უცხოელ მკვლევარებს ჟულიენ ვენსონს (Julien Vinson) და ლუი ბონაპარტს (Luis Lucien Bonaparte), რომლის დეაწლსაც ი. ბრაუნი აღარებს უსლარის დეაწლთან კავკასიისმცოდნეობაში.

შემდეგი დროის მკვლევართაგან ი. ბრაუნი გამოყოფს ჰ. შუხარდტის „ბასკურ შტუდიებს“ („Baskische Studien“, 1893) და ნაშრომს „ბასკური ენის ელემენტები“ („Primitiae Linguae Vasconum“, 1923); როგორც შუხარდტი შენიშნავს, ბასკურმა, უკეთ, ბასკური გარდასავალი ზმნის პასიურმა ბუნებამ მიიყვანა იგი კავკასიურ ენებამდე.

1904 წ. გამოქვეყნებული გამოკვლევა კ. ულენბეკისა „მასალები ბასკურ დიალექტთა შედარებითი ფონეტიკისა“ (C. C. Uhlenbeck, „Beiträge zu einer vergleichenden Lautlehre der baskischen Dialekte“) და აგრეთვე ამავე ავტორის სხვა გამოკვლევები ბასკოლოგიის ფასეულ შენაძენადაა მიჩნეული.

რ. მ. დე ასკუეს „ბასკურ-ესპანურ-ფრანგული ლექსიკონი“ ორ ტომად (R. M. de Azkue, Diccionario vasco-español-francés, I, 1905; II, 1906) ბასკურ დიალექტთა ლექსიკურ საუნჯეს წარმოგვიდგენს. ეს ლექსიკონი მეორედ გამოუციათ 1969 წელს. იმავე ავტორის „ბასკური ფონეტიკა“ (1919 წ.) და „ბასკური მორფოლოგია“ (1925 წ.) ბასკური ენის აკადემიის პირველი პრეზიდენტის მოღვაწეობას ამშვენებს.

ი. ბრაუნის მიმოხილვაში დასახელებული არიან ა. გაველი, პ. ლაფიტი, ე. ლაკომბი, რ. ლაფონი (თუმცა არაფერია ნათქვამი რ. ლაფონის ორტომიან გამოკვლევაზე „ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“, ბორდო, 1944 წ.). „შესავლის“ პოზიტიურ ნაწილში ნახსენებია და დახასიათებული ლუის მიჩელენას „ბასკურის ისტორიული ფონეტიკა“ (1961 წ.).



პროფ. იან ბრაუნი თავისი „შესავლის“ მეორე, არსებით ნაწილში ახასიათებს ბასკური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის მოვლენებს, მეტადრე ისეთებს, რომლებიც ქართულისა თუ მთის იბერიულ-კავკასიური ენებისას ეხმაურება. ასე, მაგალითად, ფონეტიკაში: თავკიდური რ თანხმოვანი ეუცხოება ბასკურსაც და ქართულსაც. თუ რ მაინც დასტურდება, სიტყვაა ნასესხები (ასეთია, მაგალ. „რუ“ — სპარსულიდან შემოსული); აგრეთვე ქართული კითხვითი ნაცვალსახელი რა: რ აქ ს-საგან მოდის...

ბასკურ თანხმოვნებში მოგვეპოვება პრერუპტივები ისევე, როგორც რიგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში (ყაბარდოულში, ლეზგიურში...).

რა თქმა უნდა, ბასკურ ენას ამჟამად არ მოეპოვება მკვეთრები და თანხმოვანთა ზოგი სხვა სერია, რაც იბერიულ-კავკასიურს ახასიათებს, მაგრამ ამას კვლევა ესაჭიროება, ჰქონდა თუ არა მას ეს სერიები. „შესავალში“ ხაზი ესმება საერთოს.

ბრუნვათა შორის მეტად საყურადღებოა მოთხრობითი ანუ აგენტისი, უკეთ — ერგატისი; იგი გარდამავალ ზმნას უკავშირდება, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენებში, თუმცა გამოყენების სფერო განსხვავებული აქვს.

ბასკურ ზმნაში მესამე პირი გაუფორმებელია; ქართულ ზმნაში მესამე პირი ყველაზე გვიან არის გაფორმებული, მასთან სუფიქსით (და არა პრეფიქსით): ვამბობ, ამბობ, ამბობ-ს, მაგრამ ამბობ-ენ (და არა: ამბობ-ს-ენ). მრავლობითის მესამე პირის ფუძე (ამბობ) მოწმობს, რომ მრავლობითის მესამე პირს -ენ სუფიქსის დართვისას სუფიქსი -ს არ მოეპოვებოდა.

მეტად საგულისხმოა, რომ ბასკური გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს განასხვავებს, მაგრამ მოქმედებითსა და ვნებით გვარს ვერ განარჩევს: გარდამავალი ზმნა უგვაროა ისევე, როგორც ამჟამად მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში. ქართულშიც რომ ძველად გარდამავალი ზმნა გვარებს არ განასხვავებდა, ამას მოწმობს გარდამავალი ზმნა — „იცას მან იგი“, „უწყის მან იგი“. ვნებითი არა გვაქვს: კარდაუვალი ზმნის ს უ ბ ი ე ქ ტ ი და გარდამავალი ზმნის ო ბ ი ე ქ ტ ი ერთსა და იმავე ბრუნვაშია — სახელობითში. ეს ნიშანდობლივია ქართველურისა და მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის: სახელთა ბრუნვის თავისებურებას ზმნის თავისებურება განსაზღვრავს, ე. ი. ეს სიღრმისეულ-

ლი მოვლენაა, მეტად ძველი და ბასკურ-კავკასიური ურთიერთობის თვალსაზრისით მეტად საგულისხმო.

ასეთი მოვლენები, რა თქმა უნდა, გამოსაყოფია. შეგნებულად ამახვილებს მათზე ყურადღებას ავტორი პროფ. იან ბრაუნნი. მასაც ბასკური ენის კავშირი იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროსთან სარწმუნოდ ეჩვენება ისევე, როგორც თავის დროზე აკად. ნ. მარს (მან „პირენეს გურია“ უწოდა საფრანგეთის ბასკეთს).

გულდაჯერებით შეგვიძლია ვთქვათ: არც ერთ სხვა ენას (ქამიტური იქნება იგი, ფინურ-უნგრული, პალეოაზიისა თუ სხვა წრის არქაული ენა) ბასკურთან იმდენი საერთო — მეტადრე მორფოლოგიური სისტემის არსებით მომენტები — არ აღმოაჩნდება, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენებს.

ბასკურთან ყველაზე მეტი საერთო იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროს აქვს. მაგრამ „ყველაზე მეტი“ საკმაოს კიდევ არ ნიშნავს. საჭიროა კავკასიოლოგთა და ბასკოლოგთა შეთანხმებული, სისტემატური, ხანგრძლივი მუშაობა (როგორც ამას ჩვენი ავტორიც სამართლიანად ბრძანებს), რომ ბასკურ-კავკასიური პრობლემა — პრობლემა დიდმნიშვნელოვანი როგორც კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, ისე ენათმეცნიერულადაც — გადაწყდეს მეცნიერული დამაჯერებლობით.

ადვილი გზა რთული საკითხის გადასაწყვეტად ჰუმანიტარულმა მეცნიერებამ არ იცის.

Hoc signo vinces!

არნ. ჩიქობავა

6. I. 1983 წ.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა პატივი დამლო და მომიწვია ლექციების ციკლის წასაკითხავად ამ უნივერსიტეტში, რომლის კედლებშიც ერთ დროს მე თვითონ გავიარე ასპირანტურის კურსი და რომელთანაც დაკავშირებულია ჩემთვის ძვირფასი მოგონებანი. ლექციების ეს ციკლი შეეხება ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო ლინგვისტურ და ეთნოლოგიურ პრობლემას, სახელდობრ, იმ ისტორიული კავშირის პრობლემას, რომელიც სავარაუდებელია კავკასიის აბორიგენულ ხალხებსა და მათგან შორს, დასავლეთ ევროპაში, პირენეის მთებში მცხოვრებ ბასკებს შორის.

რამდენიმე ლექცია ზოგადი შესავლის ხასიათისა იქნება. ამ ლექციებზე გავეცნობით ბასკების ისტორიას, აგრეთვე მათი ენისა და კულტურის შესწავლის ისტორიას, ე. ი. ბასკოლოგიის თანამედროვე მდგომარეობას. შემდეგ გადავალთ უკვე ბასკური ენის დაწვრილებით ლინგვისტურ დახასიათებაზე. საუბარი გვექნება ამ ენის ზოგად სტრუქტურულ ტიპზე და მისი სისტემის შემადგენელ ნაწილებზე — ფონოლოგიასა, მორფოლოგიასა და სინტაქსზე, რა თქმა უნდა, შეკუმშული ფორმით, რადგან დრო მეტის საშუალებას არ იძლევა. აღწერითი გრამატიკული მიმოხილვის პარალელურად შევეხებით აგრეთვე სხვა ენებთან ბასკური ენის შესაძლო ნათესაური ურთიერთობის პრობლემას, რომელიც განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი ჩანს კავკასიოლოგებისთვის.


რასაკვირველია, მთელი ამ ლექციების ციკლის მიზანი მხოლოდ ისაა, რომ აღუძრას მსმენელებს ინტერესი დასავლეთ ევროპის ამ ძველი და ძალიან თავისებური ენისადმი, ხოლო ვინც მოისურვებს შემდგომში ბასკური ენის უფრო ახლოს გაცნობას და საგანგებოდ შესწავლას, მას შეუძლია დამოუკიდებლად განაგრძოს მუშაობა სპეციალისტებისა და სპეციალური ლიტერატურის დახმარებით.

ევროპის ხალხთა შორის ბასკებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. თანამედროვე ევროპის ხალხების უმეტესობა ინდოევროპელთა

დიდ ოჯახს ეკუთვნის და მათი ენები მომდინარეობენ საერთო ფუნქციონიდან, ე. წ. წინარეინდოევროპულიდან, რომელიც არსებობდა დიდუხნის წინათ, როგორც ვარაუდობენ, დაახლოებით 5 ათასი წლის წინათ. ეს საერთო წარმომავლობის მქონე ენები ბატონობენ ამჟამად როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპაში. ევროპის ენათაგან მხოლოდ რამდენიმეა ისეთი, ინდოევროპულ ენათა ოჯახს რომ არ ეკუთვნის. ასეთია, მაგალითად, უნგრული ენა აღმოსავლეთ ევროპაში, ასევე — ესტონური, ფინური, ლაპონური ენები, რომლებიც უნგრულ-ფინურ ენათა ოჯახს ეკუთვნიან. ძირითადად აზიაში ცხოვრობენ, მაგრამ მცირე რაოდენობით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაშიც მოსახლეობენ თურქები, რომელთა ენაც ალათურ ენათა ოჯახს ეკუთვნის. კავკასიის ევროპულ ზოლში გვხვდება პალეოკავკასიურ ენათა ოჯახის წევრებიც. დაბოლოს, არის კიდევ ერთი საინტერესო გამონაკლისი: დასავლეთ ევროპაში, საფრანგეთისა და ესპანეთის საზღვარზე, პირენეის მთების დასავლეთ ნაწილში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობს მცირერიცხოვანი ხალხი, რომელიც ცნობილია ბასკების სახელით და რომლის ენაც არ მიეკუთვნება არც რომანულ ენათა ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნიან მეზობელ ხალხთა ენები — ფრანგული და ესპანური, არც ინდოევროპულ ენათა ოჯახის სხვა რომელიმე ჯგუფს.

ასევე შეუძლებელია ბასკური ენა მიეკუთვნოთ უნგრულ-ფინურ ან ალათურ ენათა ოჯახს. უფრო მეტიც, მეცნიერებს, რომლებიც ამ ლინგვისტურ ფენომენს, დასავლეთ ევროპის ამ სრულიად იზოლირებულ ენას სწავლობენ, ისიც კი არ შეუძლიათ გადაჭრით და დაბეჯითებით თქვან, თუ საერთოდ რომელ ენათა ოჯახს ეკუთვნის იგი. ამიტომ ევროპულ სამეცნიერო თუ პოპულარულ ნაშრომებში ხშირად შეხვდებით დებულებას, რომ ბასკების წარმომავლობა და მათი ენის ნათესაური მიმართებანი გაურკვეველია, ეს ხალხი ძველი დროის რომელიღაც დიდი ჯგუფის გადმონაშთი უნდა იყოსო.

XIX—XX საუკუნეთა განმავლობაში ბევრი მკვლევარი ცდილობდა დაეკავშირებინა ბასკური ენა რომელიმე ცნობილ ენათა ოჯახთან, მაგრამ ამ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ ცნობილი საბჭოთა ენათმეცნიერის აკადემიკოს ნიკო მარის მიერ ამ 50 წლის წინათ წამოყენებული ჰიპოთეზა, რომ ბასკური ენა იაფეტურ-კავკასიურ ენათა ანუ პალეო-კავკასიურ ენათა მონათესავეა. ნ. მარმა პირველმა გამოთქვა ეს მოსაზრება, თანაც საკმაოდ კატეგორ-



რიული ფორმით, და თავდაპირველად მას ბევრი უყურებდა ექვის თვალთ, მაგრამ ამ მიმართულებით შემდგომმა მეცნიერულმა კვლევებამ დაადასტურა, რომ ნ. მარის ჰიპოთეზა ყველაზე უფრო სარწმუნოა, და მას თანდათანობით მეტი მომხრე გაუჩნდა. აღნიშნული შეხედულება გაიზიარეს ევროპის ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა, როგორც არიან, მაგალითად, პოლანდიელი ენათმეცნიერი კარლ ულენბეკი; ფრანგი ბასკოლოგი და ქართველოლოგი, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ახლახანს გარდაცვლილი პროფესორი რენე ლაფონი, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი ჟორჟ დიუმევილი, ერლანგენის (გფრ) უნივერსიტეტის პროფესორი კარლ ბოულა და სხვანი.

ასე რომ, თუ ბასკური და კავკასიური ენების შედარებითი კვლევის მიმართულებით ჩატარებულ მუშაობას შევადარებთ ბასკურის სწვა (არაკავკასიურ) ენებთან დაკავშირების ცდებს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ეს უკანასკნელი ცდები გაცილებით უფრო მცირერიცხოვანი და უმნიშვნელოა პირველთან შედარებით. ამიტომ ბუნებრივია, რომ ბასკებისა და ბასკური ენის კავკასიის უძველეს მოსახლეობასთან და მათ ენებთან ნათესაობის ჰიპოთეზა საყოველთაო ყურადღებას იპყრობს და მას მომხრეები გამოუჩნდნენ აქაც, კავკასიაში, კერძოდ, თბილისში, სადაც დიდი ხანია იკვლევენ აბორიგენთა ენებს და სადაც ჩამოყალიბდა კავკასიოლოგიური კვლევა-ძიების ფრიად მნიშვნელოვანი და მსოფლიო მასშტაბით ცნობილი ცენტრი.

სამწუხაროდ, საბჭოთა კავკასიოლოგთა შორის ცოტას მიუწვდებია ხელი ბასკურ მასალაზე, მეორე მხრივ კი ბასკოლოგები დასავლეთში ნაკლებად იცნობენ კავკასიურ ენებს, რაც, რა თქმა უნდა, აძნელებს და აბრკოლებს კვლევა-ძიებას ამ ენათა ნათესაობის მიმართულებით. საჭიროა ეს ნაკლი დაძლეულ იქნას, კერძოდ, სასურველია ქართველმა საბჭოთა ენათმეცნიერებმა უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ ხსენებული პრობლემის კვლევაში.

I

ბასკები, როგორც ვთქვით, მცირერიცხოვანი ხალხია, რომელიც საფრანგეთისა და ესპანეთის საზღვარზე ცხოვრობს. ამ ხალხს ესპანურად ეწოდება los vascos (ლოს ვასკოს), ფრანგულად — les basques (ლე ბასკ) და სწორედ აქედანაა ეს სახელწოდება გავრცელებული მთელ მსოფლიოში, თვითონ ბასკები კი თავიანთ ვინაობას სულ

სხვა სიტყვით აღნიშნავენ: euskalduna (ეუშკალდუნა) — ბასკი, euskaldunak (ეუშკალდუნაკ) — ბასკები. ეს რთული აღნაგობის სახელწოდება არაა ძველი ეთნონიმი, რომლის ეტიმოლოგიზებაც ზმირად დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული. პირიქით, ამჯერად საქმე გვაქვს საკმაოდ ნათელი ეტიმოლოგიის მქონე სახელწოდებასთან, რომელიც მორფემებად ასე დაიშლება: euskal-d-u-n-a. როგორც ვხედავთ, ერთი სიტყვის კვალობაზე საკმაოდ ბევრი მორფემაა. Euskara (ეუშკარა) ბასკურ ენას ნიშნავს, euskal (ეუშკალ) მისი ვარიანტია, მიღებული ფონეტიკური სახეცვლილების გზით (r—l), duna (დუნა) კი მიმღეობური ფორმაა, სადაც d პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელი პრეფიქსია ბასკურ ზმნაში, u ზმნური ძირია, რომელიც რისიმე ქონებას აღნიშნავს, n მიმღეობის სუფიქსია, a კი — განსაზღვრული ნაწევრის სუფიქსი. მთლიანად euskalduna ნიშნავს ადამიანს, რომელიც ბასკურ ენას ფლობს, ბასკური ენის მცოდნეს, ბასკურენოვანს.

დაისმის კითხვა: საიდანაა მიღებული ესპანური ეთნონიმური სახელწოდება vascos და ფრანგული hasques? აქვთ თუ არა მათ ეტიმოლოგიური კავშირი ბასკურ ეთნონიმურ სახელწოდებასთან euskalduna? უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მთლად ნათელი არ არის, მაგრამ ვარაუდის სახით კი შეიძლება ზოგი რამ ითქვას.

პირენეის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც ბასკები დღესაც ცხოვრობენ, უკვე პირველ საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე საისტორიო წყაროებში იხსენიება ვასკონების ტომი (ლათინურად vascones). როგორც ჩანს, ეს არის ძველი ფორმა ეთნონიმისა, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს. ვასკონებზე ლაპარაკია შუა საუკუნეთა ლიტერატურაშიც. ასე, მაგალითად, VII—IX საუკუნეებში (ახ. წ. ა.) ცნობილია ვასკონიის სამთავრო (Ducatus Vasconiae). ამრიგად, ვასკონია აღნიშნავდა ბასკების მხარეს. აქედან მომდინარეობს, სხვათა შორის, სამხრეთ საფრანგეთის პროვინციის სახელწოდება გასკონია, სადაც ბაგისმიერის წინ ჯერ გ განვითარებულა, შემდეგ კი თვითონ ბაგისმიერი დაკარგულა: Vasconia—Guasconia—Gasconia. თავისთავად ცხადია, ამჟამად ვასკონელები და ბასკები სხვადასხვა ცნებებია, რადგან ბასკების ქვეყნის ფრანგულმა ნაწილმა ძლიერი რომანიზაცია განიცადა და ვასკონელები ამჟამად ფრანგულად ლაპარაკობენ, მაგრამ ვასკონიის უკიდურესმა სამხრეთ ნაწილმა კი დღემდე შეინარჩუნა ბასკური ენა და ეროვნება.

რაც შეეხება ვასკ და ეუშკ ძირთა ურთიერთმიმართებას, შე-

საძლოა მათ შორის გარკვეული კავშირი იყოს, რადგან პარალელურად გვხვდება ფორმები Vascones (ვასკონეს) და Ausci (აუსკი). ამ უკანასკნელში ფუძეს დართული აქვს გაურკვეველი მნიშვნელობის აფიქსი. თუ ამ თავსართიან ფორმას ამოსავლად მივიჩნევთ, მისგან ფონეტიკურ ცვლილებათა გზით ადვილად შეიძლებოდა მიგვეღო Eusc (ეუსკ), მაგრამ, სამწუხაროდ, რაიმე დოკუმენტირებული მასალა ამგვარი თანმიმდევრული ცვლილებების დასადასტურებლად არ მოგვეპოვება. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ალბათ eusc ძირი, რომელიც გამოიყოფა euscara და euscalduna-ში, დაკავშირებულია ზემოხსენებულ ძველ ბასკურ ეთნონიმთან, რომელიც ლათინურ წყაროებში არის შემონახული და უფრო ძველ ფორმას წარმოგვიდგენს, ბასკი კი უფრო გვიანდელი, მეორეული სახელწოდებაა, ფონეტიკურად სახეცვლილი: Vascones → vascon → hasques.

თავიანთ ქვეყანას ბასკები Euskalherria-ს (ეუსკალჰერია) უწოდებენ, რაც ბასკური ენის ქვეყანას ნიშნავს. აქედანაც ჩანს, რომ ბასკების ერთიანობის კრიტერიუმი ენაა. როგორც აღნიშნავენ, როცა საფრანგეთში ვინმე პარიზიდან, ვთქვათ, ბიარიცში მიემგზავრება, როგორც კი მდინარე აღდურს გადალახავს, მაშინვე თვალში ეცემა განსხვავება, თითქოს უკვე სხვა ქვეყანაში გადადის. აქაა სწორედ ბასკური ენის გავრცელების საზღვარი, რომელიც უკანასკნელი ათასი წლის განმავლობაში არ შეცვლილა.

XIX ს. ბოლოს და XX ს. დამდეგს, როცა გაფართოვდა ბასკთა ეროვნული მოძრაობა, მათ თავიანთი სამშობლოს აღსანიშნავად შექმნეს ახალი ტერმინი — Euskadi (ეუსკადი), ნაწარმოები — di სუფიქსით, რომელსაც ერთგვარად მატობონიმებელი ფუნქცია აქვს. ასე რომ ეუსკადი ნიშნავს ტერიტორიას, სადაც გავრცელებულია ბასკური ენა. ესაა მწიგნობრული ტერმინი, რომელსაც ხმარობენ ბასკეთის, როგორც ცალკე პოლიტიკური ერთეულის, ცალკე სახელმწიფოს სახელწოდებას, თუმცა ასეთი სახელმწიფო სინამდვილეში არ არსებობს და ის მხოლოდ ოცნების ნაყოფია. ამიტომაც ამ ტერმინს უფრო ემოციური შინაარსი ახლავს და ის მხოლოდ ბასკთა შორის იხმარება.

სინამდვილეში ბასკები ამჟამად ცხოვრობენ ორი სახელმწიფოს — საფრანგეთისა და ესპანეთის — საზღვრებში და ან ერთი, ან მეორე ქვეყნის მოქალაქენი არიან. ამ სახელმწიფოთა მთავრობები ბასკებს ცალკე პოლიტიკურ ერთეულად არ მიიჩნევენ (ბოლო დროს ესპანეთის ბასკებმა დიდი ბრძოლით მოიპოვეს ავტონომიური უფლებანი).

ამრიგად, მთავარი კრიტერიუმი, რაც განასხვავებს ბასკებს მეზობელი ერებისაგან, ესაა მათი რთული, სხვებისათვის უცხო სტრუქტურულად სრულიად განსხვავებული ენა.

გარდა ენისა, ბასკები სხვა ხალხებისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან ანთროპოლოგიური ტიპითაც. ანთროპოლოგთა გამოკვლევებით დადგენილია, რომ ბასკების უმეტესობა მიეკუთვნება კრომანიონულ რასას (Cromagnon), რომლის არსებობაც დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში, მაგრამ შემდეგ ის ევროპაში გვიან მოსულ სხვა რასებს წაუღეკიათ და დღეისათვის მხოლოდ ნაშთის სახით არის შემორჩენილი. ეს თავისებური და ისტორიული ანთროპოლოგიის თვალსაზრისით არქაული ტიპი დღემდე დაცულია სწორედ ბასკებს შორის. მისი დამახასიათებელია ფართო სახე, მტკიცე ნაკეთები, განიერი ცხვირი, ღია ცისფერი თვალები და ნაწილობრივ — ღია ოქროსფერი თმა. ნორდიკების გარდა, ეს ერთადერთი რასაა მსოფლიოში, რომელსაც ღია ფერის თმა აქვს. ამ რასის დამახასიათებელ თავის ქალას პოულობენ არქეოლოგები ბასკეთის ღრმა კულტურულ ფენებში, რის მიხედვითაც კეთდება დასკვნა, რომ კრომანიონული რასის ადამიანები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ბასკეთის მიწა-წყალზე და დღევანდელი ბასკები ანთროპოლოგიურად მათი გაგრძელებაა.

მაგრამ ბასკებში გვხვდება კიდევ სხვა ანთროპოლოგიური ტიპიც — ე. წ. კავკასიიდური რასა. ეს ტიპი ძალზე დამახასიათებელია საქართველოსათვის, სომხეთისა და კავკასიის მთიანეთის მოსახლეობისათვის. კავკასიიდური ტიპის შედარებით დიდ პროცენტს ბასკებში, სხვათა შორის, თავის დროზე ყურადღება მიაქცია ცნობილმა პოლონელმა ანთროპოლოგმა იან ჩეკანოვსკიმ, რომელიც ეთნიკური ანთროპოლოგიის საკითხებს იკვლევდა და, კერძოდ, დაინტერესებული იყო ძველი ესპანეთის ანთროპოლოგიური ტიპებით. ის აღნიშნავდა, რომ პირენეის მთების დასავლეთ ნაწილში ქვისა და ბრინჯაოს ხანათა მიჯნაზე დიდი რაოდენობით გვხვდება კავკასიიდური ტიპი, რომელიც ადრე აქ დადასტურებული არ ყოფილა. ამრიგად, ანგარიშგასაწევი ფაქტია, რომ ბასკებს შორის თანაარსებობს ორი ანთროპოლოგიური ტიპი — კრომანიონული და კავკასიიდური, რომელთაგანაც ერთი უფრო აღრინდელია, მეორე — გვიანდელი. არცერთი მათგანი სრულიად არ არის დამახასიათებელი იმ ხალხებისათვის, რომელთა გარემოცვაშიც ცხოვრობენ ბასკები. ასე რომ, ბასკები იზოლირებული არიან მე-

ზობლებისაგან არამართო ენობრივად, არამედ ეს იზოლირებულთა მოსახლეობის სპეციფიკურ ანთროპოლოგიურ შემადგენლობაშიც მკვლევანდება.

ბოლო დროს ეთნოლოგიური კვლევა-ძიებისას სხვა ფაქტორებთან ერთად ყურადღება ექცევა სისხლის შემადგენლობასაც. სპეციალისტ-ბიოლოგთა სეროლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ბასკებს ამ მხრივაც ახასიათებთ თავისებურებანი. სახელდობრ, ბასკ მოსახლეობაში ხშირია ნულოვანი (პირველი) ჯგუფის სისხლი და ე. წ. რეზუს-უარყოფითი ფაქტორი, რაც დაახლოებით ასეთივე სიხშირით დამახასიათებელია აგრეთვე კოლხიდის მცხოვრებთათვის.

ყოველივე ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ თუმცა ბასკები სრულად იზოლირებულ ეთნიკურ ჯგუფად მიაჩნიათ, როგორც ჩანს, ისინი არც ისე იზოლირებული ყოფილან, თუ მათ დამახასიათებელ არსებით ნიშნებს კომპლექსურად განვიხილავთ ლინგვისტიკის, ანთროპოლოგიისა და სეროლოგიის თვალსაზრისით. ამ ნიშნების მიხედვით ბასკებს რაღაც ბუნდოვანი და დღემდე აუხსნელი ანალოგიები მოეპოვებათ ევროპის მეორე კიდეში — კავკასიის რაიონში.

ახლა ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ ზოგიერთი ცნობა ბასკების ეთნიკური ჯგუფის შემადგენლობის შესახებ. ამჟამად ძნელი სათქმელია, რამდენი ბასკია მსოფლიოში, რადგან ბევრ ბასკს მშობლიური ენა დავიწყებული აქვს, ე. ი. ეთნიკური (ნაციონალური) და ენობრივი კოლექტივების ცნებები, როგორც იტყვიან, ერთმანეთს არ ფარავს. მთელ ბასკეთში (მხედველობაში გვაქვს როგორც ესპანეთის, ისე საფრანგეთის ბასკური პროვინციები) ცხოვრობს დაახლოებით 2 მილიონ 300 ათასი კაცი, მაგრამ ამ რიცხვში შედიან როგორც ბასკები, ისე ესპანელები, რომლებიც მრავლად არიან ესპანეთის ბასკეთში, და ფრანგები, რომლებიც აგრეთვე არამცირე რაოდენობით ცხოვრობენ საფრანგეთის ბასკეთში. მეორე მხრივ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნამდვილ ბასკთა შორისაც ბევრს ბასკური ენა დავიწყებული აქვს. არც ისე შორეულ წარსულში, XVI საუკუნეში, ამ მხრივ მდგომარეობა სხვაგვარი იყო: ბასკეთის როგორც ესპანურ, ისე ფრანგულ ნაწილში მოსახლეობის ძირითადი მასა ბასკურ ენაზე მეტყველებდა. მაგრამ უკანასკნელი სამასი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ბასკების ასიმილაციის მძლავრი პროცესი, რის შედეგადაც ბასკების დიდი ნაწილი რომანულ ენაზე გადავიდა და ბასკოფონების ანუ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ბასკების რიცხვი მკვეთრად შემცირდა. თუ




სამასი წლის წინათ ბასკოფონთა რიცხვი დაახლოებით მილიონ-ნახევარს შეადგენდა, დღეს ესპანეთსა და საფრანგეთში ბასკურად ლაპარაკობს ნახევარ მილიონზე ცოტა მეტი. აქედან დაახლოებით 90%, ე. ი. 450 ათასი კაცი ესპანეთში ცხოვრობს და 10%, ე. ი. 50 ათასი კაცი — საფრანგეთში. ეს ბოლოდროინდელი მიახლოებითი რიცხვებია, ოფიციალური სტატისტიკა კი არ არსებობს. ამრიგად, ბასკეთის მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედი ნაწილი ლაპარაკობს ამჟამად ბასკურ ენაზე, დანარჩენი სამი მეოთხედისათვის კი მშობლიურ ენას ესპანური ან ფრანგული წარმოადგენს. როგორც ვხედავთ, ბასკური ენის თანამედროვე მდგომარეობა სახარბიელო არაა.

თუ გადავხედავთ ბასკების ყოფა-ცხოვრებას, მათ ძირითად საქმიანობას, ეკონომიკას, ბუნებრივ პირობებს, დავინახავთ, რომ ამ საუკუნის დამდეგამდე ბასკები ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევდნენ და იმით ირჩენდნენ თავს: მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები, მთიან რაიონებში ჰქონდათ კარგად განვითარებული მეცხოველეობა, ზღვისპირეთში მისდევდნენ აგრეთვე მეთევზეობას, რისთვისაც შორს გადიოდნენ ზღვაში. ესპანეთსა თუ საფრანგეთში მეცხოვრები ტიპური ბასკი — ესაა გლეხი — მხენელ-მთესველი, მწყემსი ან მეთევზე.

მეურნეობის ტიპის მიხედვით ბასკეთის სოფელი საქართველოს მოგვაგონებს. რასაკვირველია, იქაური ჰავა ჩაისა და ციტრუსების მოყვანის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ სხვა კულტურები კი მსგავსია: ფეტვი, ქერი, ხორბალი, სიმინდი, ხილთაგან — ვაშლი, მსხალი, ქლიაფი... ყოველივე ეს საკმაოდ კარგ მოსავალს იძლევა.

მთელ მიწას ფლობენ შეძლებული გლეხები, რომლებსაც აქვთ საკუთარი ფერმები. თვითეული ფერმა საშუალოდ 20—30 ჰექტარ სახნავ-სათეს ფართობს მოიცავს. ის მემკვიდრეობით გადადის უფროსი ვაჟის ხელში. მეურნეობა ხორციელდება პატრიარქალური ოჯახის დანმარებით, მასში ჩაბმული არიან ქმარი, ცოლი, შვილები, ასევე ოჯახის სხვა წევრები. მეცხოველეობა მომთაბარული ხასიათისაა: ზამთარში ჯოგს პირენეის მთებიდან შორს, ბარში, მიერეკებიან, ზაფხულში კი მთის საძოვრებს უბრუნდებიან. ასეთია ბასკების ძირითადი საქმიანობა.

ისტორიული პირობები, რომელშიაც ბასკები ცხოვრობდნენ მრავალი საუკუნის მანძილზე, ეროვნული ინტელიგენციის ძლიერი ბირთვის ჩამოსაყალიბებლად მაინცდამაინც ხელსაყრელი არ ყოფილა. სა-



კუთარი სახელმწიფოს უქონლობის პირობებში განათლებას ესპანურ ან ფრანგულ ენაზე ლებულობდნენ და შემდეგ ესპანელ ან ფრანგ ინტელიგენტთა ნაკადს ერთვოდნენ. მხოლოდ XVI—XVII საუკუნეებიდან ცალკეული პირები, რომლებიც მგზნებარე პატრიოტული სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალულნი და განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ თავისი ხალხისა და ენისადმი, ცდილობდნენ მშობლიური ენის ნიადაგზე დაეყენებინათ ლიტერატურა და, საერთოდ, კულტურა, მაგრამ ეს იყო მეტად რთული საქმე, რომელიც უზარმაზარ ენერჯიასა და შეუპოვარ ბრძოლას მოითხოვდა. მაგალითად, ბასკური წიგნი ავტორს თავისი ხარჯით უნდა გამოეცა, მას მხარდამჭერი არავინ ჰყავდა, ხშირად ასოთამწყობიც თვითონ იყო. ამიტომ ბასკური ლიტერატურა, თუმცა სათავეს უკვე XVI საუკუნიდან იღებს, მაგრამ საკმაოდ ვიწრო კალაპოტში მოედინება.

ცხოვრების მძიმე პირობებმა, ეროვნულმა ჩაგვრამ, გაბატონებული კლასების მხრივ ექსპლოატაციამ მაინც ვერ მოსპო ბასკი ხალხი და ვერ გატეხა მისი ამაყი სული. ბასკი, მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა, მიწის მუშაა იგი, მწყემსი, მეთევზე თუ ინტელიგენტი, ძლიერ მოყვარული და დამცველია თავისი ტრადიციებისა, ზნე-ჩვეულებისა, ენისა. თუ ბასკს ვინაობას ჰკითხავთ, ის არასოდეს არ გიპასუხებთ, რომ ესპანელია ან ფრანგია, უთუოდ გეტყვით, რომ ბასკია ესპანეთიდან ან საფრანგეთიდან. აქედანაც ჩანს, რომ ბასკებს შენარჩუნებული აქვთ ძლიერი ეროვნული თვითშეგნება.

ადვილი მისახვედრია, რომ ეროვნული საკითხი ბასკეთში მწვავედ დგას, ამ მხრივ ვითარება საკმაოდ მძიმე და რთულია. XIX საუკუნიდან ღვივდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ზოგი ბასკეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობს, სხვები ავტონომიას მოითხოვენ (ამ ბოლო დროს ესპანეთის ბასკებმა მოიპოვეს ავტონომია, მანამდე კი ბასკები მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ საფრანგეთში, თუმცა ავტონომია არ ჰქონიათ და არც ახლა აქვთ).

## II

ბასკებს ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიული წარსული აქვთ. ეს წარსული რთული და საინტერესოა და დასავლეთ ევროპის მთლიანი ისტორიის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს, თუმცა ბასკები



შეტწილად მოკლებულნი იყვნენ თავის სახელმწიფოებრიობასა და დამოუკიდებელ ეროვნულ ცხოვრებას. უნდა ითქვას, რომ ბასკების ისტორია, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. თვითონ ბასკი მკვლევრები ამჟამად ცდილობენ შეავსონ ეს ხარვეზი და გაცხოველებით მუშაობენ როგორც მთელი ბასკეთის, ისე მისი ცალკეული პროვინციების ისტორიაზე.

პირველი ისტორიული ცნობები ბასკების შესახებ ძვ. წ. ა. I საუკუნიდან მოგვეპოვება. ეს ცნობები რომაელთაგან პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობას შეეხება. იმდობინდელი რომაელი მწერლები პირენეიზე მცხოვრებ სხვადასხვა ტომთა შორის ასახელებენ ვასკონებს (Vascones), რომელიც ყველაზე ძლიერი ტომი ყოფილა ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. სრულიად უდავოა, რომ ეს თანამედროვე ბასკების წინაპარი ტომია, არაინდოევროპული წარმოშობისა. გარდა ვასკონებისა, შესაძლოა ბასკების მონათესავე იყო აგრეთვე ზოგი სხვა ტომიც, რომლებსაც რომაელი ავტორები ასახელებენ, სახელდობრ: ბერონები (Berones), ვარდულები (Varduli), აუტრიგონები (Autrigones), მაგრამ, ზოგი მკვლევრის აზრით, ეს წვრილ-წვრილი ტომები, რომლებიც გიპუსკოასა და ბისკაის პროვინციების ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, შესაძლოა კელტურ ტომობრივ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ და არა საკუთრივ ბასკურს.

ვასკონების შესახებ საკმაოდ ვრცელ ცნობებს გვაწვდიან რომაელი გეოგრაფებიც, განსაკუთრებით სტრაბონი, შემდეგ კი — პტოლომეუსი. ისინი იხსენიებენ ქალაქებს, სადაც ვასკონები ცხოვრობდნენ, და განსაზღვრავენ ტერიტორიას, რომელიც მათ ეკუთრათ ჩვენი ერის დამდეგს. სახელდობრ, სტრაბონი ასახელებს ვასკონების ხუთ ყველაზე მსხვილ ქალაქს. ესენია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ: იაკა (Jaca), თანამედროვე ხაკა, რომელიც არაგონის მთებში მდებარეობს, კალაგორისი (Calagorris), თანამედროვე კალახორა, მდინარე იბერუსზე (თანამედროვე მდინარე ებროზე ესპანეთში), პომპელო (Pompaelo), თანამედროვე პამპლონა (ესპანეთში), რომელიც ადრეულ შუა საუკუნეებშივე იქცა ბასკების ცენტრალურ ქალაქად. ის, ასე ვთქვათ, არაოფიციალური დედაქალაქია მთელი ბასკეთისა. მის სახელწოდებას სხვადასხვაგვარად განმარტავენ: ყველაზე გავრცელებულია შეხედულება, რომ ეს სახელი ქალაქს უწოდეს რომაელებმა ცნობილი მხედართმთავრის პომპეუსის პატივსაცემად, რომელიც აქ ერთ დროს სამხედრო ლაშქრობას ხელმძღვანელობდა.

ზემოხსენებული სამი ქალაქის გარდა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრეთვე გრაკხურისს (Gracchuris), რომელიც იმავე მდინარე იბერუსზე ანუ ებროზე მდებარეობს და რომლის სახელწოდებაც აგრეთვე ცნობილი რომაელი მხედართმთავრის გრაკხუსის სახელს უკავშირდება.

დასასრულ, მეხუთე ქალაქი, რომელსაც სტრაბონი იხსენიებს, ესაა ვასკონების ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაპირზე მდებარე დიდი ნავსადგური და სავაჭრო პუნქტი ოიარსო (Oiarso), თანამედროვე ქალაქ სანსებასტიანის ახლოს. მისი სახელწოდება დღემდე შემოინახა პატარა ბასკურმა ქალაქმა ოიარსუნმა (Oyarzun).

საფრანგეთის ბასკების ტერიტორიაზე რომაელთა ეპოქაში მთავარი ქალაქი იყო ლაპურდუმი (Lapurdum) — თანამედროვე ბაიონა. ამ ქალაქის ძველი რომაული სახელწოდებისაგან მომდინარეობს საფრანგეთის ბასკეთის ერთ-ერთი პროვინციის სახელწოდება ლაბური.

ბასკების ისტორია, თუ მის პერიოდიზაციას შევეცდებით, შემდეგნაირად წარმოგვიდგება: პირველი პერიოდი, რომლის შესახებაც ასე თუ ისე მოგვეპოვება ისტორიული ცნობები, ესაა ანტიკური ხანა — ჩვენი წელთაღრიცხვის პირველიდან მეოთხე საუკუნემდე. იგი ემთხვევა რომაელთა ბატონობას ესპანეთში და, კერძოდ, ბასკებით დასახლებულ ტერიტორიაზე. ამ პერიოდს და მის წინა ხანას პირველყოფილი თემური წყობილება ახასიათებს. მოსახლეობა ტომებად ცხოვრობს სოფლებში. უკვე ანტიკურ პერიოდშივე მთელი რიგი წვრილ-წვრილი ტომები ქმნიან ვასკონების მსხვილ სატომო გაერთიანებას.

მთიან რაიონებში ძირითად სოციალურ ერთეულს წარმოადგენდა ხეობა ან მთებს შორის მდებარე ველი, ბასკურად — იბარა.

ბასკეთი ძველთაგანვე დაყოფილი იყო რაიონებად, რომელთაგანაც ჩამოყალიბდა შემდგომში ცნობილი პროვინციები. ქვეყნის რელიეფი ხელს უწყობდა ეთნიკურ, შემდეგ კი პოლიტიკურ პარტიკულარიზმს. ამ მხრივაც ბასკთა ქვეყანა საქართველოს მოგვაგონებს. იქაც იმის მიხედვით, თუ რომელ კუთხეში, რომელ ველზე ან ხეობაში ცხოვრობდნენ, ბასკებს ახასიათებდათ სხვა კუთხის თანამოძმეებისაგან რამდენადმე განსხვავებული, სპეციფიკური ეთნიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ სხვა ნიშნები.

დროთა განმავლობაში პირველყოფილი თემური წყობილება ბასკებში ე. წ. სამხედრო დემოკრატიით შეიცვალა. ამ დროს ტომის წევრთა სუვერენიტეტის მთავარი გამოხატულებაა სახალხო კრება, რო-



მელიც ირჩევს ტომის ბელადს. ბელადი პასუხისმგებელია კრების წინაშე. უძველესი ბასკური ტრადიციით, კრებები ჩვეულებრივ იმართებოდა ბებერი მუხის ძირას, რომელიც მათს წარმართულ რელიგიაში წმინდა ხის, სიცოცხლის ხის როლს ასრულებდა. მუხას დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ბასკურ ფოლკლორსა და ხალხურ ხელოვნებაში. ეს ხე დღესაც ბასკების ეროვნული ერთიანობის სიმბოლოდ ითვლება. ბისკაის პროვინციის გერბზე გამოსახულია მუხა, რომლის ძირშიც დგას პირში ბატკანგაჩრილი მგელი. ამ გერბზე არც მგლის გამოსახულებაა შემთხვევითი. უხსოვარი დროიდან მგელი ბასკებს წმინდა ცხოველად მიაჩნდათ. მითოლოგიური რწმენის მიხედვით, ბასკები მგლისაგან არიან გაჩენილები. ამიტომ გვხვდება მგელი ასე ხშირად სხვადასხვაგვარ გადმოცემებში, წარმართობის დროინდელ გამოსახულებებზე და შუა საუკუნეთა გერბებზე.

რომაელთა ბატონობის კვალი უმეტესად ბასკეთის სამხრეთ ნაწილს ატყვია. რომაელთა არმიამ, ადმინისტრაციამ, რომაელმა კოლონისტებმა მხოლოდ დაბლობ ადგილებში, ბასკეთის მიწა-წყლის სამხრეთ ნაწილში მოიკიდეს ფეხი. აქ არქეოლოგები პოულობენ რომაული კულტურის კვალს, რომაულ ფულს, ქალაქების ნაკვალევს. ესაა, უპირველეს ყოვლისა, შუა და სამხრეთ ნავარა, აგრეთვე ჩრდილოეთ ნავარა, ალავა, გიპუსკოა და ბისკაია.

რომაელთა ოკუპაციის სუსტი ნაკვალევი ეტყობა აგრეთვე საფრანგეთის ბასკთა ქვეყნის ყველაზე მთაგორიან ნაწილს. თავისუფლებისმოყვარე მეომარი ტომებით დასახლებული ეს მთაგორიანი ტერიტორია ბოლომდე არასოდეს დამორჩილებია რომის ადმინისტრაციას, აქ რომაელთა ხელისუფლებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

რომაელთა ექვსსაუკუნოვანი ბატონობა აისახა ბასკურ ენაში მრავალი რომაული სიტყვის შემოტანით, რაც ძალზე საინტერესო მასალას წარმოადგენს რომანისტ ენათმეცნიერთათვის. აი, საამისო ორიოდ მაგალითი: ბასკური *bake* „მშვიდობა“ <ხალხური ლათინური *pacem, pace*; ბასკ. *errege* „მეფე“ <ხალხ. ლათ. *regem, rege*; ბასკ. *bike* „ფისი“ <ხალხ. ლათ. *picem, pice*; ბასკ. *borma, orma* „კედელი“ <ხალხ. ლათ. *forma*; ბასკ. *golde* „გუთან“ <ლათ. *culter* და სხვ.

აღსანიშნავია, რომ გაუმჯობესებული სახის გუთანს ბასკები მხოლოდ რომაელთა ბატონობის ხანაში გაეცნენ და გადაიღეს იგი, მანამდე კი იყენებდნენ უფრო არქაულ სახვნელ იარაღებს — კავს და

მიწის საფხვიერებელ თავისებურ მოწყობილობას, რომელსაც ლეია (leia) ეწოდება.

აქვე მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რომ ლათინური ენის ყრუ თანხმოვნები სიტყვის თავში ბასკურში გამჟღერებულია: pace—bake, pice—bike, culter—golde.

რომის იმპერიის გავლენით ბასკებში ვრცელდება უფრო განვითარებული სულიერი კულტურა, რასაც ადასტურებს ისეთი ნასესხები სიტყვები, როგორცაა iskriba „წერა“, ანდა liburu „წიგნი“.

რომაელთა ბატონობის დასასრულს მოჰყვა ხალხთა დიდი გადასახლება, რომლის დროსაც საფრანგეთსა და ესპანეთში შეიჭრნენ გერმანული ტომები. სამხრეთ საფრანგეთში თავის სამეფოს აარსებს ვესტგუთების ტომი. მათ თავდაპირველად ქალაქ ტოლოსაში (თანამედროვე ტულუზაში) მოიდგეს ფეხი, შემდეგ კი დედაქალაქი ტოლედოში გადაიტანეს და იქ დიდი ხნით დამკვიდრდნენ.

გუთების მხრივ ოკუპაციას ბასკები ხალისით არ შეხვედრიან. ამ დროისათვის ისინი ნაწილობრივ რომანიზებული იყვნენ. ბასკეთის სამხრეთ ნაწილი V საუკუნეში უკვე მქიდროდ იყო დაკავშირებულა რომის იმპერიასთან და რომაულ კულტურასთან. როგორც ვესტგუთების მეფეთა ქრონიკებიდან ჩანს, VI საუკუნეში გერმანელი მეომრები იძულებული იყვნენ განუწყვეტლივ ებრძოლათ აჯანყებული ბასკების წინააღმდეგ.

ვესტგუთების ბატონობასთან ერთად სამხრეთ საფრანგეთისა და ესპანეთის ბასკთა ქვეყანაში შეიჭრა ქრისტიანობა. შეიძლება ითქვას, ეს პროცესი უკვე III საუკუნეში დაიწყო, როცა ტოლოსის ეპისკოპოს სატურნინუსის (Saturninus) მოწაფემ წმიდა ფირმინუსმა (Firminus) ბასკთა ქვეყანაში ქრისტიანობა იქადაგა და პამპლონის პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსი გახდა. ეს პირველი მოციქული ანუ განმანათლებელი ბასკებისა, წმიდა ფირმინუსი, დღემდე დიდ პატივშია ბასკეთში და ყოველწლიურად ივლისის თვეში მის პატივსაცემად პამპლონაში იმართება დიდი დღესასწაული, რასაც თან ახლავს სახელგანთქმული კორიდები (ბრძოლა ხარებთან). ასე რომ, წმიდა ფირმინუსი მორწმუნეებს დღესაც ბასკეთის მფარველად მიაჩნიათ.

მაგრამ ქრისტიანობა ბასკეთში იმთავითვე იოლად როდი გავრცელებულა. ბევრ რაიონში, რომელიც გარესამყაროს მოწყვეტილი იყო და კარჩაკეტილი ცხოვრობდა, წარმართობამ დიდხანს შეინარჩუნა

თავისი ძალა. გარდატეხა დაიწყო ხალხთა დიდი გადასახლების შემდეგ, მაგრამ მხოლოდ X საუკუნეში, თითქმის ხუთსაუკუნოვანი ბურუსის შემდეგ, ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, პირენეის რაიონში, საბოლოოდ იმარჯვებს ქრისტიანობა. ეს დაკავშირებულია ლაპურდუმისა და ბაიონის ეპისკოპოსის წმიდა ლეონის მოღვაწეობასთან (IX—X სს).

ვესტგუთების ბატონობის დამხობის შემდეგ, როცა ესპანეთი არაბებმა დაიპყრეს, ბასკეთში იქმნება პირობები დამოუკიდებელი სახელმწიფოს დასაარსებლად. არაბებმა, რომლებიც თითქმის მთელ პირენეის ნახევარკუნძულს დაეპატრონენ, მაინც ვერ შეძლეს განემტკიცებინათ თავიანთი ხელისუფლება ესპანეთის ყველაზე მთაგორიან, ბუნებრივად გამაგრებულ რაიონებში (ასტურია, ნავარა, პირენეის მთები) და ეს რაიონები დამოუკიდებელ არსებობას განაგრძობდნენ. მაგრამ ბასკების დამოუკიდებლობას ამ დროს ახალი საფრთხე დაემუქრა — ფრანკთა სამეფო, რომელმაც VI საუკუნიდან სწრაფი ტემპით იწყო გაფართოება პირენეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. უკვე VII საუკუნის ქრონიკებში აღნიშნულია, რომ ფრანკთა მეფეები ცდილობენ პოლიტიკურად დაიქვემდებარონ ბასკები, განსაკუთრებით — პირენეის ქედის ჩრდილოეთით მცხოვრებნი.

VII—VIII საუკუნეებში თანამედროვე ვასკონიისა და საფრანგეთის ბასკეთის ტერიტორიაზე არსებობდა ვასკონიის სამთავრო (*Ducatus Vasconiae*). ამ სამთავროს მფლობელები ოჩოა პირველი (*Otsoa I*) და ოჩოა მეორე (*Otsoa II*) არ ემორჩილებოდნენ ფრანკთა მეფეებს და არ აღეგდნენ მათ საშუალებას, ხელთ ეგდოთ ვასკონიის ტერიტორია. VII ს. პირველ ნახევარში, როცა ფრანკთა ხელმწიფე დაგობერტუსი (*Dagobertus*) გაემართა ბასკთა ქვეყნის დასაპყრობად, ბასკებმა მას მწარე მარცხი აგემეს სუბოლას ხეობაში (*Subola* — თანამედროვე სული — *la Soule*). შემდგომ, როცა ტახტზე ავიდა ფრანკთა სახელმწიფოს ყველაზე გამოჩენილი მეფე კარლოს დიდი, მან მონდომა აღედგინა რომის იმპერია, შეუტია პირენეის მთების გადაღმა ესპანეთის ტერიტორიაზე არსებულ არაბულ სამეფოებს და შეძლო კიდევ, რომ თავის სამეფოსთვის შეეერთებინა ქვეყნის ის ნაწილი, რომელიც მდინარე ებროს ჩრდილოეთით მდებარეობს. ქრისტიანული რელიგია, შორს უკუგდებული არაბთა მიერ, კვლავ აღორძინდა ამ მხარეში. დაიწყო ესპანეთის ისტორიაში ცნობილი რეკონკისტის პერიოდი, როცა ქრისტიან რომანულ მოსახლეობას ხანგრძლივი ომი

ჰქონდა არაბთა წინააღმდეგ, რათა ძველი ქრისტიანული სახელმწიფოებრიობა აღედგინა ამ მიწაზე. სწორედ მაშინ დაიწყო პირველი დამოუკიდებელი ქრისტიანული სამეფოების გაჩენა ჩრდილოეთ ესპანეთში და პირენეის მთების გაყოლებაზე.

არაბების წინააღმდეგ მიმართული კამპანიიდან დაბრუნებულმა კარლოს დიდმა დაანგრია ქალაქ პამპლონის გამაგრებული კედლები, რამაც ბასკების აღშფოთება გამოიწვია. მათ დაასჯნეს, ფრანკთა მეფეს ჩვენი დაპყრობა უნდაო, შეკრიბეს ლაშქარი და თავს დაესხნენ ფრანკებს რონსევალის ხეობაში, რომელსაც ბასკურად ორეაგა (Orreaga) ჰქვია. მათ გაანადგურეს კარლოსის არმიის არიერგარდული რაზმები, როცა ძირითადი ნაწილები უკვე საფრანგეთში იყო გადასული.

კარლოს დიდის არმიაზე ამ გამარჯვებას უკავშირდება შემდგომში ცნობილი ფრანგული თხზულება რონსევალთან გამართულ ბრძოლასა და ამ ბრძოლაში დაღუპულ გრაფ როლანდზე. „როლანდის სიმღერაში“ ზემოხსენებული გამარჯვება არაბებს მიეწერება და არა ბასკებს, მაგრამ სიმღერა შექმნილია 400 წლით გვიან და მასში ზოგი ფაქტი არეულია. სინამდვილეში ეს გამარჯვება ბასკებმა მოიპოვეს და სწორედ ამან განაპირობა საბოლოოდ ბასკების დამოუკიდებელი სამეფოს შექმნა ნავარის პროვინციაში. ნავარა ესპანეთის სწორედ ის პროვინციაა, რომელიც ანტიკურ ხანაში ვასკონებით დასახლებულ ტერიტორიას შეესაბამება. თანამედროვე ბასკეთის შვიდი პროვინციიდან ნავარა ყველაზე ძველია, შეიძლება ითქვას, ის ბასკების წინარესამშობლოა.

საფრანგეთის მეფეთა პირველ მარცხიან ცდას, როცა მათ სურდათ პირენეის გადაღმა დამკვიდრება და ნავარის დამორჩილება, მოჰყვა მეორე ბრძოლა იმავე რონსევალთან 824 წელს. გამარჯვება ამჯერადაც ბასკებს დარჩათ. მალე ამ ბრძოლის შემდეგ ნავარის პირველი ცნობილი მფლობელი ინიგო არისტა (Inigo Arista) მეფედ ეკურთხა. ასე რომ, 824 წელი ნავარის დამოუკიდებელი სამეფოს არსებობის დასაწყისია. ნავარა ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სახელმწიფო იყო დასავლეთ ევროპაში, უფრო ძველი, ვიდრე კასტილია, არაგონი და სხვები.

1234 წლამდე, ე. ი. თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში, ნავარის სამეფოს მართავდა ბასკური დინასტია, რომელსაც სათავე დაუ-

ლო ინიგო არისტამ. ცხადია, თავის ხასიათით ნავარის სამეფო შუა საუკუნეთა სხვა სამეფოებს ჰგავდა. იმ დროს ბასკური ენა გავრცელებული იყო მთელ ნავარაში მდინარე ებრომდე, მაგრამ მეფის ოჯახის წევრები, მოსამსახურენი და სამეფო კანცელარია რომანულ ენას იყენებდნენ, რომელიც ძალიან ახლოს იდგა კასტილიურთან. იმდროინდელ ბასკურს, შუა საუკუნეთა ბევრი სხვა ენის მსგავსად, ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული სალიტერატურო ენის პატივი და ვულგარულ ენად (*lingua vulgaris*) ითვლებოდა.

ბასკური წარმოშობის პირველი დინასტიიდან ნავარის სამეფო ტახტი საფრანგეთის შამპანის პროვინციის გრაფების ხელში გადადის. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ნავარა პოლიტიკური ბრძოლის საგანია, იცვლებიან დინასტიები, ქვეყანა მეზობელი საფრანგეთის ძლიერ გავლენას განიცდის.

XVI ს. დამდეგს ესპანეთის მეფე ფერნანდომ, რომელიც ენერგიულად ცდილობდა პროვინციების გაერთიანებას, სისხლისმღვრელი ომის შედეგად დაიმორჩილა ნავარა, იქაური ცალკე სამეფო გააუქმა და ესპანეთს შეუერთა. ნავარა ერთხანს კიდევ განაგრძობდა პოლიტიკურ არსებობას პირენეის ქედის ჩრდილოეთით, მაგრამ 1607 წლიდან საფრანგეთის მეფეებმა მის დამოუკიდებლობასაც ბოლო მოუღეს. ასე რომ, ნავარამ როგორც ბასკთა დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა ერთეულმა არსებობა შეწყვიტა და მისი დიდი ნაწილი ესპანეთის მონარქიას შეუერთდა, პირენეის ქედის ჩრდილოეთით მდებარე მცირე ნაწილი კი საფრანგეთის მეფის ხელში გადავიდა. ბასკები მათთვის უცხო დიდი სახელმწიფოების — ესპანეთისა და საფრანგეთის მოქალაქენი გახდნენ და მათ ცხოვრებაშიც შესაბამისი ცვლილება მოხდა.

ესპანეთი და საფრანგეთი კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს და ხშირად ომობდნენ პირენეის საზღვრის გამო. ბასკეთი პოლიტიკურად ადვის საგნად იქცა. როგორც ნავარის სამეფო, ისე ესპანეთის ბასკეთის დანარჩენი მხარეები — გიპუსკოა, ბისკაია, ალავა — ესპანეთის სახელმწიფოს რიგითს პროვინციებად იქცნენ, საფრანგეთის ბასკთა მხარე კი საფრანგეთის სახელმწიფოს ნაწილი გახდა. ორივე ქვეყანა (განსაკუთრებით — ესპანეთი) ცდილობდა ბასკთა ასიმილაციას და მრავალგვარ ღონისძიებას ხმარობდა საამისოდ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც საფრანგეთის, ისე ესპანეთის ნაწილში მცხოვრებ ბასკებს არასდროს დაუკარგავთ ერთიანობის შეგნება და დღემდე შეინარჩუნეს თავიანთი ნაციონალური არსებობა.

თავიანთ დიდ მეზობლებთან ბასკების დამოკიდებულების შესახებ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს. როცა არსებობდა დამოუკიდებელი ბასკური პოლიტიკური ერთეულები, ეს იყო ნავარის სამეფო თუ ბისკაიის სენიორატი, კასტილიისაგან რამდენადმე მაინც დამოუკიდებელი სამეფო, ეს იყო საფრანგეთის ბასკთა მხარის პოლიტიკური წარმონაქმნები თუ სხვანი, ყველა ამ ადრეული ბასკური სახელმწიფო ერთეულისათვის დამახასიათებელი იყო ძალზე დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობა. მფლობელის (სუვერენის) უფლებები ამ სახელმწიფოებში შეზღუდული იყო მოსახლეობის მრავალი პრივილეგიით. მეფედ კურთხევას თავისუფალი სახალხო არჩევნების სახე ჰქონდა. როგორც ძველისძველად ბასკები სახალხო შეკრებაზე ირჩევდნენ თავიანთ სამხედრო ბელადებსა და სხვა ხელმძღვანელებს, ასევე ნავარისა და კასტილიის მეფეები, რომლებიც ფორმალურად ფლობდნენ ბისკაიას, გიპუსკოასა და ალავას, ტახტზე ასვლისას ვალდებული იყვნენ ფიცი დაედოთ, რომ ერთგულად დაიცავდნენ ბასკების ძველ პრივილეგიებს, რასაც ესპანურად fuero (მრ. რ. fueros) ეწოდება. ფუეროების სისტემა ფართო პრივილეგიებს ანიჭებდა ადგილობრივ ბასკ მოსახლეობას და წარმოადგენდა ხალხისადმი მეფის ხელისუფლების დამოკიდებულების ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს ბასკეთის მთელ ტერიტორიაზე.

ბასკი ისტორიკოსები ამჟამად სიამაყით აღნიშნავენ, რომ შუასაუკუნეობრივი მონარქიის ფარგლებში დემოკრატიული დამოკიდებულების დამყარების მხრივ პირველობა ინგლისელებს კი არ ეკუთვნით, არამედ უფრო ადრე ეს ბასკებმა განახორციელეს ნავარის სამეფოში. ბასკთა ფუეროების პირველი კრებული შედგა 1235 წელს, როცა დამთავრდა ბასკური დინასტიის მეფობა ნავარაში და ტახტი ფრანგმა პრეტენდენტებმა დაიკავეს.

მას შემდეგ, რაც ბასკები დარწმუნდნენ, რომ ძლიერი მეზობელი სახელმწიფოებისაგან, ესპანეთისა და საფრანგეთისაგან, სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ვერ შეძლებდნენ, დათანხმდნენ შესულიყვნენ ამ სახელმწიფოთა შემადგენლობაში, მაგრამ იმ პირობით, რომ ესპანეთისა და საფრანგეთის მთავრობები დაიცავდნენ ფუეროებს, ე. ი. აღიარებდნენ ბასკების პრივილეგიებს თავიანთ მიწა-წყალზე. ე. წ. ფუერიზმი — ესაა ტიპობრივი პოლიტიკური მიმართულება, ბასკთა ისტორიის დამახასიათებელი ტენდენცია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა შუა საუკუნეებში და გრძელდებოდა XVI—XIX საუკუნეთა

მანძილზე. როცა ასიმილაციური ცენტრალისტური პოლიტიკის მიმდევარი ესპანეთის მეფეები მოიწადინებდნენ ხოლმე შეეზღუდათ ბასკთა პრივილეგიები, ხალხში აჯანყება იწყებოდა. თავიანთი პრივილეგიების დასაცავად ბასკებმა ორჯერ მიიღეს მონაწილეობა ესპანეთის სამოქალაქო ომებში, ე. წ. კარლისტურ ომებში, რომლებიც XIX ს. 30-იან და 70-იან წლებში მიმდინარეობდა. ორივეჯერ ისინი მხარს უჭერდნენ ესპანეთის ტახტის იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თანახმა იყვნენ პატივისცემით მოქცეოდნენ ფეოდალებს. სამწუხაროდ, მათ ორივეჯერ მარცხი განიცადეს.

ბასკთა პროვინციები საბოლოოდ შეუერთდა ესპანეთისა და საფრანგეთის სამეფოებს XVI საუკუნეში, რის შემდეგაც მათი თავისუფალი ნაციონალური ყოფა შეიცვალა და ბასკური ენისა და კულტურის განვითარების პირობები მკვეთრად გაუარესდა, მაგრამ მრავალრიცხოვანი პატრიოტული ძალები მაინც ახერხებდნენ ბასკების კულტურული ცხოვრების წინ წაწევას და ბევრ ღონისძიებას მიმართავდნენ, განსაკუთრებით XVIII საუკუნიდან, ბასკური ენის, კულტურის, ტრადიციების დასაცავად და შესანარჩუნებლად.

ესპანეთის ბასკთა კულტურული ცხოვრების აღმავლობაში XVIII საუკუნეში განსაკუთრებული როლი შეასრულა ბასკეთის მეგობართა სამეფო საზოგადოებამ (Real Sociedad Vascongada de Amigos del País). ეს საზოგადოება, რომელიც ევროპაში ფართოდ გავრცელებული განმანათლებლური იდეებით ხელმძღვანელობდა, ცდილობდა ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, ბასკების ეკონომიკური ინტერესების დაცვას ესპანელთა და ფრანგთა პრეტენზიებისაგან, ბასკურ ენაზე შექმნილი ლიტერატურის მხარდაჭერას და წახალისებას და ა. შ. XVIII საუკუნეში ესპანეთში გამოჩნდნენ პირველი თვალსაჩინო ბასკი მწერლები.

ბასკთა ინტელექტუალური და კულტურული ცხოვრება უფრო ინტენსიურ ხასიათს ატარებდა საფრანგეთის პროვინციაში. XVI და განსაკუთრებით XVII საუკუნეში საფრანგეთში უკეთესი პირობები არსებობდა ბასკების კულტურული საქმიანობისათვის, ვიდრე ესპანეთში. ამ პერიოდში ესპანელი ბასკები, განსაკუთრებით აზნაურები, მეტისმეტად იყვნენ დამოკიდებული ესპანეთის სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე და სათანადო ყურადღებით არ ეკიდებოდნენ საკუთარი ეროვნული კულტურის განვითარებას. სხვაგვარი ვითარება იყო საფრანგეთში, სადაც განათლებული კათოლიკე მღვდლები გაცხოველ-

ბულ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ. იბეჭდება პირველი წიგნები ბასკურ ენაზე. ისინი ძირითადად სასულიერო ხასიათისაა.

1545 წელს ქვემო-ნავარელი ბასკი მღვდელი დეშეპარი (Dechepare) აქვეყნებს პოეზიის პირველ კრებულს ბასკურ ენაზე ლათინური სათაურით: „Linguae Vasconum Primitiae“ („ბასკური ენის ელემენტები“). ამ მომცრო კრებულში თავმოყრილია ავტორის სატრფიალო და რელიგიური ხასიათის ლექსები. საფრანგეთში გამოცემულ ამ წიგნს თავის დროზე დიდი წარმატება არ ჰქონია და არ შეუსრულებია ისეთი მნიშვნელოვანი როლი ბასკური პოეზიის განვითარებაში, როგორც სასურველი იყო. მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ დეშეპარის ლექსები, როგორც იტყვიან, ხელახლა აღმოაჩინეს და სათანადოდ დააფასეს. დეშეპარით და მისი წიგნით იწყება ბასკური ლიტერატურის ისტორია.

1571 წელს საფრანგეთის ბასკეთში პირველად ითარგმნა ბასკურ ენაზე ახალი აღთქმა. ამ თარგმანმა, რომელიც კალვინისტ მღვდელს ლეისარაგას (Leizarraga) ეკუთვნოდა, განსაკუთრებული როლი შეასრულა ბასკური ენის განვითარებაში. ეს დიდტანიანი წიგნი გამოიცა საფრანგეთის ქალაქ ლა როშელში (La Rochelle) მცირე ტირაჟით. შემდგომში, XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე, ცნობილმა ავსტრიელმა ენათმეცნიერმა, კვკასიოლოგმა და ბასკოლოგმა ჰუგო შუხარდტმა (Hugo Schuchardt) საჭიროდ ჩათვალა ხელახლა გამოეცა ეს თარგმანი. ეს მეორე გამოცემაც ახლა უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. სხვათა შორის, მისი ერთი ეგზემპლარი მოიპოვება თბილისშიც, აკადემიკოს აკაკი შანიძის პირად ბიბლიოთეკაში.

XVI საუკუნეში გამოიცა ხალხური ანდაზების კრებულებიც, მაგრამ მთლიანად ბასკური ლიტერატურული პროდუქცია ამ დროისათვის ჯერ კიდევ მცირეა, ნაწარმოებები მართლაც რომ თითებზე ჩამოითვლება.

XVII საუკუნეში ბასკური წიგნების რაოდენობა ერთბაშად იზრდება. ამ საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობს ბასკური სალიტერატურო ენის კლასიკოსი პედრო აშულარი (Pedro Axular). ის კათოლიკური ეკლესიის მღვდელი და რექტორი იყო საფრანგეთის ბასკთა მხარეში, ლაბურის პროვინციის პატარა დასახლებულ პუნქტში — შარაში. მისი წიგნი „Geroko gero“ წარმოადგენს საეკლესიო ქადაგებათა კრებულს და განკუთვნილია მდაბიო ხალხისათვის, შედგება მორალის თემაზე აგებული მოკლე მოთხრობებისა და დარიგებებისა-

გან, შეიცავს უბრალო ხალხის ცხოვრების ამსახველ უამრავ მასალას. აშუღარი წერს ბასკური ენის ერთ-ერთ დიალექტზე — ლაბურულზე, წერს წმინდა, ლოგიკური, ლამაზი ენით, რომელიც დღემდე მისაბამ ნიმუშად ითვლება.

XVIII საუკუნეში ლაბურის პროვინციის პატარა ქალაქში სენ-ჟან-დე-ლუზში (Saint-Jean-de-Lus), შეიქმნა სალიტერატურო წრე, რომელიც ცდილობს მწერლობის განვითარებას ბასკურ ენაზე. ამ წრის ცენტრალური ფიგურაა იოანე ეჩებერი (Joannes Elcheberrri), ავტორი მრავალი სასულიერო თხზულებისა. ამავე ხანებში ფრანგმა სილვენ პუვრომ (Silvain Pouvreau) შეადგინა პირველი ბასკურ-ფრანგული ლექსიკონი. პუვრო გაგზავნილი იყო ბასკეთში სასულიერო მოღვაწეობისათვის, გახდა მოძღვარი (პრეპოზიტი) ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე პატარა ქალაქ ბიდარტის ეკლესიისა, დიდხანს უხდებოდა ცხოვრება და მუშაობა ბასკთა შორის და სწორედ მაშინ შეადგინა ლაბურული დიალექტის საკმაოდ ვრცელი ლექსიკონი.

XVIII საუკუნეში გრძელდება მუშაობა ბასკური ლიტერატურის განვითარებისათვის, სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის, მაგრამ ბასკეთის ტერიტორიის მრავალ ოლქად და პროვინციად დაყოფის გამო დიალექტების რაოდენობაც დიდია და არ ხერხდება ერთიანი სალიტერატურო ენის შექმნა, რომელიც ერთნაირად გასაგები და გამოსადეგი იქნებოდა მთელ ბასკეთში. ესა თუ ის მწერალი ემყარება თავის მშობლიურ დიალექტს და ცდილობს მისცეს მას რამდენადმე გადამუშავებული სალიტერატურო ენის სახე. ასე რომ, ხალხური დიალექტების საფუძველზე XVI საუკუნიდან ვითარდება სალიტერატურო დიალექტები და ჩვენც ბასკების ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისას მსჯელობა გვიხდება ბასკურ სალიტერატურო დიალექტებზე და არა ერთიან სალიტერატურო ენაზე. ყველაზე მეტი პრესტიჟით სარგებლობს ლაბურული სალიტერატურო დიალექტი. ის ხმარებაშია საფრანგეთის ბასკური მხარის დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ბაიონიდან პირენეის მთებამდე, ბისკაიის ყურის სანაპირო ზოლში. მაგრამ მასთან ერთად არსებობს აგრეთვე ქვემონავარული სალიტერატურო დიალექტი (რომელსაც იყენებდა დეშეპარი), სულური, გიპუსკოური, ბისკაიური სალიტერატურო დიალექტები. ცალკეული ნაწარმოებები, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობით, დაწერილია ზემონავარულ დიალექტზეც.

XIX საუკუნიდან ბასკ ხალხში, რომელიც საკუთარ სახელმწიფო-

ებრიობასა და ავტონომიასაც კი მოკლებული იყო, თანდათან მკაფიოდ ვლინდება ეროვნული მოძრაობა, რომლის ძირითადი გამოხატულებაა ბრძოლა საკუთარი ენისა და ეროვნული სახის შესანარჩუნებლად, საკუთარი კულტურის დასაცავად. ბასკების ეროვნული მოძრაობა არ ატარებს სხვა ერებისადმი მტრული დამოკიდებულების სახეს. ასე რომ, როცა ლაპარაკია ბასკ ნაციონალისტებზე, უნდა გვესმოდეს, რომ საქმე ეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს. XIX საუკუნის ბასკი ნაციონალისტების შეხედულებანი რამდენადმე ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თვალსაზრისს უახლოვდება.

ბასკური ეროვნული მოძრაობის ფუძემდებელი და იდეური ბელადია მწერალი ავგუსტინ შაპო (Augustin Chaho), რომელიც წარმოშობით საფრანგეთის ბასკური პროვინციიდან — სულიდან (la Soule) იყო. ის შემოქმედებითს მოღვაწეობას ეწეოდა XIX ს. შუა წლებში. თავისი შემოქმედებით ა. შაპო შთააგონებდა ბასკებს, რომ ისინი არიან შვილები ძველი მთლიანი ქვეყნისა, რომელიც გადაშლილია ბილბაოდან და ასტურიის საზღვრებიდან ბაიონამდე.

წიგნში „მოგზაურობა ნავარაში“ ა. შაპო გადმოგვცემს ესპანეთის ბასკთა მხარეში მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებებს და განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ ამ მხარეში ის, საფრანგეთის ბასკთა წარმომადგენელი, თავს შინაურად გრძნობდა, მისთვის ყველაფერა ახლობელი და გასაგები იყო.

1853 წელს ცნობილმა ბასკმა რომანტიკოსმა პოეტმა ხოსე მარია იპარაგირემ (José María Iparraguirre) დაწერა ლექსი „გერნიკის ხე“ („Gernikako Arbola“). ამ ლექსზე შექმნილი სიმღერა ბასკების ჰიმნად იქცა. წმინდა ხე — მუხა, რომელიც ბისკაიის პროვინციის პატარა ქალაქ გერნიკაში დგას, ბასკი ხალხის ერთიანობის სიმბოლოა. ზემოხსნებულმა სიმღერამ უდიდესი როლი შეასრულა ბასკების ეროვნული სულისკვეთების გაღვივებაში. მას დღემდე მღერიან ბასკები როგორც თავიანთი ქვეყნის ყველა კუთხეში, ისე საზღვარგარეთ და ეროვნულ ჰიმნად მიაჩნიათ იგი.

XIX ს. დამლევს ბასკმა საზოგადო მოღვაწემ საბინო არანა გოირიმ (Sabino Arana Goiri) პირველმა აშკარად წამოაყენა ბასკთა სახელმწიფოს შექმნის ლოზუნგი და ჩამოაყალიბა პოლიტიკური პარ-

ტია სახელწოდებით Partido Nacionalista Vasco („ბასკური ნაციონალისტური პარტია“). მასვე ეკუთვნის ტერმინი Euzkadi (ეუსკადი), რომელიც ნეოლოგიზმია და ბასკთა ერთიან ქვეყანას აღნიშნავს (ამჟამად გამოითქმის Euskadi — ეუშკადი. არანა გოირი ბისკაიელი იყო, სადაც შ-ს მაგიერ ს-ს წარმოთქვამენ).

პარტიის შექმნის გამო არანა გოირის ესპანეთის მთავრობამ დევნა დაუწყო. მისი პარტია თავიდან ლეგალურად არსებობდა, მაგრამ შემდეგ არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა.

არანა გოირიმ დიდი როლი შეასრულა ბასკური ენის ფუნქციათა გაფართოების საქმეში. ის თვითონ ბილბაოელი იყო და წერდა ბისკაიურ სალიტერატურო დიალექტზე. მან შემოიღო ბასკური დროშა, რომელიც წითელი ფერისაა ზედ გამოსახული თეთრი და მწვანე ჯვრებით.

ისტორიულად ეს იყო ბისკაიის პროვინციის მფლობელთა დროშა ესპანეთის ბასკეთში, ოღონდ მას არ ჰქონდა მწვანე ჯვარი. ეს მწვანე ჯვარი არანა გოირიმ წმინდა ანდრიას ბერძნული ჯვრიდან გადმოიღო, რითაც სურდა მიენიშნებინა ბასკების პირველ ძლევამოსილ ბრძოლაზე ესპანელების წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა წმინდა ანდრიას დღესასწაულის დღეს 870 წელს. იმ შორეულ წარსულში ჩრდილოეთ ესპანეთის ერთ-ერთი ქრისტიანული სამეფოს — ლეონის — იმპერატორი თავისი არმიით გაემართა ბისკაიის ბასკური პროვინციის დასაპყრობად და დასამორჩილებლად. ბასკები ლეგენდარული მხედართმთავრის ხაუნ სურიას (Jaun Zuria — „თეთრი ბატონი“) მეთაურობით წინ აღუდგნენ დამპყრობლებს და სასტიკად დაამარცხეს ისინი. ამ ბრძოლის ადგილმა პადურამ (Padura) შემდგომში მიიღო სახელწოდება არიგორიაგა (Arrigorriaga), რაც „წითელ ქვებს“ ნიშნავს და აქ დაღვრილ სისხლს მოგვაგონებს, ქვები რომ წითლად შელება.

არანა გოირის დროშა იქცა ეროვნული მოძრაობის სიმბოლოდ მთელ ბასკეთში, მის როგორც ესპანურ, ისე ფრანგულ ნაწილში.

1931 წელს, როცა ესპანეთში რესპუბლიკა შეიქმნა, პოლიტიკური ვითარება დიდად შეიცვალა ბასკების სასარგებლოდ. რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი იყო ტოლერანტული დამოკიდებულება ესპანეთის ყველა ერისადმი. უნდა გვახსოვდეს, რომ ესპანეთი ეროვნული შემადგენლობით ერთიანი სახელმწიფო არაა, იქ ესპანელებთან ერთად ცხოვრობენ ისტორიულად ჩამოყალიბებული სხვა ერებიც,



როგორც არიან კატალონიელები, გალისიელები, ბასკები. ესპანეთის რესპუბლიკაში ყველა ერმა ფართო ავტონომიური უფლებები მიიღო. ამ დროს ბასკეთში გაცხოველდა კულტურული საქმიანობა, გაიფურჩქნა ბასკური ლიტერატურა. მაგრამ ასე გაგრძელდა ძალიან ცოტა ხანს. რესპუბლიკის შექმნიდან ხუთიოდე წლის შემდეგ ესპანეთში ატყდა სამოქალაქო ომი, რომელიც 1939 წელს ფაშისტების გამარჯვებით და გენერალ ფრანკოს რეაქციული რეჟიმის დამყარებით დამთავრდა. ფაშისტებმა მთელ ქვეყანაში ჩაახშეს დემოკრატიისა და ეროვნული თავისუფლების ყოველგვარი გამოვლინება. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ბასკების ბოლოდროინდელი ისტორიიდან.

სამოქალაქო ომის დასაწყისში ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობა დათანხმდა შექმნილიყო ბასკების ავტონომიური სახელმწიფო, ე. წ. ეუშკადის რესპუბლიკა, მაგრამ მისი შექმნიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ის მოსპო ფრანკოს კარგად შეიარაღებულმა არმიამ, რომელსაც ეხმარებოდნენ იტალიელ ფაშისტთა რაზმები და ჰიტლერული ბომბდამშენები. ამ უკანასკნელთა დივიზიონმა „კონდორმა“ მიწასთან გაასწორა ბასკების პატარა ქალაქი გერნიკა, სადაც ისტორიული წმინდა მუხა იდგა. ამ მუხის ქვეშ 1936 წელს ახლად შექმნილი რესპუბლიკისა და ბასკი ხალხისადმი ერთგულების ფიცი დადო ეუშკადის პირველმა პრეზიდენტმა ხოსე ანტონიო დე აგირემ (José Antonio de Aguirre). დე აგირე ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის გმირულ დაცვას. ბასკებს სამჯერ ნაკლები ძალები ჰყავდათ, ისიც სუსტად შეიარაღებული, მაგრამ დიდხანს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ფაშისტებს. ბოლოს მაინც იძულებული გახდნენ დანებებულიყვნენ. დე აგირე მრავალ ბასკ მეომართან ერთად საფრანგეთში გაიქცა და იქ განაგრძობდა შეუპოვარ ბრძოლას. მეორე მსოფლიო ომის დროს დე აგირე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში. ომის შემდეგ მეთაურობდა ეუშკადის რესპუბლიკის ემიგრანტულ მთავრობას საფრანგეთში. გარდაიცვალა 1960 წელს. მისი სიკვდილის შემდეგ ამ ფიქტიური მთავრობის პრეზიდენტის ადგილი დაიკავა ხესუს მარია ლეისაოლამ (Jesus Maria Leizaola), რომელიც ამავე დროს ბასკების ნაციონალისტური პარტიის ხელმძღვანელიც არის.



ფრანკოს სიკვდილის შემდეგ ესპანეთში დიდი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა, სახელმწიფო წყობილება ლიბერალიზაციის გზას დაადგა. ამჟამად ესპანეთის ბასკეთში არსებობს ორი არალეგალური პარტია, რომლებიც ლეგალიზაციის ზღურბლზე დგანან. ესენია ბასკთა ნაციონალისტური პარტია და კარლისტების პარტია, რომელიც სოციალისტური თვითმმართველობის მომხრეა. ამ ორი პარტიის გარდა არსებობს კიდევ ბასკთა პოლიტიკური ასოციაციები. მაგალითად, საფრანგეთში ბოლო დრომდე ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო ენაბატის ასოციაცია. ენაბატა ბასკურ ენაზე ნიშნავს ზღვის ქარს, ზღვაურს, რომელსაც ქარიშხალი მოჰყვება. გასულ წელს საფრანგეთის მთავრობამ ეს ასოციაცია დაშალა. მისმა წევრებმა სამაგიეროდ შექმნეს ახალი პოლიტიკური ერთეული — **Herriko Alderdi Sozialista** („ქვეყნის სოციალისტური პარტია“). აღსანიშნავია აგრეთვე ახალგაზრდული მოძრაობა, რომელიც განსაკუთრებით ძლიერია ესპანეთის ბასკეთში. ბასკთა ნაციონალისტურ პარტიასთან არსებობს ახალგაზრდული ორგანიზაცია **Euskadiko Gaztedi** („ბასკეთის ახალგაზრდობა“), რომელიც ფრანკისტული რეჟიმის დროს ახორციელებდა პოლიტიკური წინააღმდეგობის აქტებს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ესპანეთის წინააღმდეგ მიმართული იატაკქვეშა პოლიტიკური ორგანიზაცია **Euskadi ta Askatasuna** („ბასკეთი და თავისუფლება“), შემოკლებით ეტა, რომელსაც ხშირად ახსენებენ მსოფლიო პრესის ფურცლებზე. ის ინდივიდუალური ტერორის მეთოდს მიმართავს და სოლიდური საზოგადოების თვალში მაინცდამაინც მოწონებით არ სარგებლობს.

ბასკთა ისტორიის მოკლე მიმოხილვა ამით შეიძლება დავასრულოთ.

### III

პირველმა ბასკმა სწავლულებმა, რომელთაც გადაწყვიტეს მშობლიურ ენაზე ეწერათ, საამისოდ გამოიყენეს მათთვის კარგად ცნობილი ლათინური ანბანი. ასე, ჩვეულებრივი ყრუ სისინა ს ბასკურ ანბანში როგორც საფრანგეთის, ისე ესპანეთის ბასკეთში გადმოიცემოდა ლათინური z ასოთი, ნახევრადშიშინა სიბილანტი შ — s ასოთი. ჩვეულებრივი აფრიკატი ც გადმოიცემოდა ორი ასოს — tz — შერ-

თებით, ნახევრადშიშინა აფრიკატი **h** — **ts** ასოებით. რბილი აფრიკატი **h'** გადმოიცემოდა ესპანეთის ბასკეთში **ch** ასოებით. საფრანგეთისაში კი — **tch** ასოებით.

ლათინური ანბანის ადაპტაცია ბასკური ენის საჭიროებათა მიხედვით განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგანაც თანამედროვე ბასკური ენა თავისი ფონოლოგიური სტრუქტურით დიდად არ განსხვავდება ფრანგულისა და ესპანურისაგან. მაგრამ ბასკური ლიტერატურის განვითარების პირველ ხანებში ერთიანი ორთოგრაფიული ნორმები ჯერ კიდევ არ არსებობდა, რის გამოც ორთოგრაფიაში პროვინციათა მიხედვით დიდი სიჭრელე იყო. რაკი არ არსებობდა დაწესებულება, რომელიც საგანგებოდ იმუშავებდა ენისა და ლიტერატურის საკითხების მოსაწესრიგებლად და სკოლაშიც სწავლება მშობლიურ ენაზე არ მიმდინარეობდა, ყოველი ბასკი ავტორი თითქოს ხელახლა ქმნიდა ბასკური ენის ორთოგრაფიას თავისი მშობლიური კილოს თავისებურებათა შესაბამისად.

შემდეგ იმის დროც დადგა, რომ ეცადათ ბასკური ენის გრამატიკული წყობის აღწერა და მისი ლექსიკური ფონდის აღნუსხვა, თავი მოეყარათ მთელი ლექსიკური სიმდიდრისათვის როგორც პრაქტიკული, ისე მეცნიერული დანიშნულების მქონე ლექსიკონების სახით.

პირველი სერიოზული ცდა ბასკური ენის გრამატიკის შედგენისა ეკუთვნის XVIII საუკუნის ცნობილ ბასკ მწერალსა და განმანათლებელს მანუელ დე ლარამენდის (Manuel de Larramendi). ის წარმოშობით გიპუსკოის პროვინციიდან იყო, იეზუიტი ბერი, რომელიც ცხოვრობდა ლოიოლაში, იეზუიტთა ერთ-ერთი ორდენის დამაარსებელი წმინდა ეგნატეს სამშობლოში. ბასკური ენისა და კულტურის დიდმა პატრიოტმა და ენთუზიასტმა დე ლარამენდიმ შეადგინა ვრცელი სამენოვანი ლექსიკონი: *Diccionario trilingüe del Castellano-Bascuence y Latin* („ესპანურ-ბასკურ-ლათინური ლექსიკონი“). ეს ვრცელი ნაშრომი, რომელიც უამრავ ლექსიკურ ერთეულს მოიცავს, დიდხანს არ გამოცემულა, გამოიცა მხოლოდ XIX ს. შუა წლებში, 1853 წელს.

მანუელ დე ლარამენდიმ პირველმა სცადა ბასკური ზმნის სისტემის დახასიათება. ის გრძნობდა, რომ ეს სისტემა ძალზე რთულია. ბასკური ენის სტრუქტურაში ზმნას ცენტრალური ადგილი უკავია, ის მდიდარია როგორც პირიანი, ისე უპირო ფორმებით. ზმნა ბასკურ ენაში, ისევე როგორც ქართულში, მრავალპირიანია, მაგრამ აქ მრავ-

ვალპირიანობა კიდევ უფრო განვითარებულია, ვიდრე ქართულში, სუბიექტის, პირდაპირი და ირიბი ობიექტების აღნიშვნა ზმნაში აღორ-  
გისურ დასასრულამდე არის მიყვანილი: ყველა პირი, რომელიც წინა-  
დადების სტრუქტურაში მონაწილეობს, ზმნაში ცალკე აღინიშნება  
განსაკუთრებული ნიშნით. ეს იძლევა მრავალპირიანი ზმნის უღვლი-  
ლების უფრო ვრცელ პარადიგმას, ვიდრე ქართულში გვაქვს. სადაც  
ყველა პირი ყოველთვის საკუთარი ნიშნით როდია ზმნაში მორფო-  
ლოგიურად წარმოდგენილი.

თავის შრომას ბასკური ზმნის შესახებ მანუელ დე ლარამენდიმ,  
ცოტა არ იყოს, გულუბრყვილო სათაური მისცა: „El Imposible ven-  
cido“ („რაც უძლეველი ჩანდა, დაძლეულია“). მასში ჩანს ავტორის  
კმაყოფილება, რომ მან შეძლო ბასკური ზმნის სისტემის ახსნა. რა  
თქმა უნდა, ჩვენი დღევანდელი თვალსაზრისით, ბასკური ზმნის ყველა  
სირთულისა და ყველა ნიუანსის ახსნამდე ჯერ კიდევ შორსაა, მაგ-  
რან მიღწეული მაინც თვალსაჩინოა.

რაც შეეხება ბასკური ლექსიკოგრაფიის სათავეებს, ამ მხრივ პირ-  
ველობა ეკუთვნის სილვენ პურვოს, რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე მო-  
ვახსენიეთ. მან მანუელ დე ლარამენდიზე ერთი საუკუნით ადრე, ჯერ  
კიდევ XVII საუკუნეში, შეადგინა მოზრდილი ბასკურ-ფრანგული ლექ-  
სიკონი. ეს ძვირფასი ნაშრომი, სამწუხაროდ, დღემდე გამოუცემელია  
ხელნაწერი ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში.

XIX ს. დასაწყისში პარიზის უნივერსიტეტის პროფესორმა ფლე-  
რი ლეკლიუზმა (Fleury Lecluse) შეადგინა ბასკური ენის პირველი  
მეცნიერული გრამატიკა „Grammaire basque“. ის წიგნად გამოიცა  
ტულუზასა და ბაიონში. ბასკების ყოფა-ცხოვრებისა და ბასკური ლი-  
ტერატურის შესახებ სხვადასხვა საინტერესო ცნობებთან ერთად ლეკ-  
ლიუზი იძლევა ბასკური ენის გრამატიკის პირველ სისტემატურ მიმო-  
ხილვას, პირველად აღწერს მის გრამატიკულ კატეგორიებს, გარკვეულ  
დამოკიდებულებას ამჟღავნებს ერგატიული კონსტრუქციის მიმართ.  
მან შენიშნა, რომ ბასკურ ენაში, ფრანგულისა და ესპანურისაგან გან-  
სხვავებით, სუბიექტი შეიძლება ორ სხვადასხვა ბრუნვაში იდგეს:  
გარდაუვალზმნიან წინადადებაში სუბიექტი სახელობითში დგას, გარ-  
დამავალზმნიან წინადადებაში კი — განსაკუთრებულ ბრუნვაში, ე. წ.  
აგენტივში. ამავე დროს სახელობით ბრუნვაში წარმოგვიდგება გარ-  
დამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი. ლეკლიუზს კარგად ესმის განს-

ხვალება გარდამავალ- და გარდაუვალ-ზმნიან წინადადებათა კონსტრუქციებს შორის. ასევე კარგად გაერკვა იგი ბასკური ზმნის სტრუქტურაში, სადაც გამოყო სუბიექტური და ობიექტური პირის ფორმები და აღნიშნა, როგორ გამოიხატება ირიბი ობიექტი ზმნაში.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ბასკოლოგებმა რამდენადმე წინ გაუსწრეს მათთვის უცნობ ქართველ კოლეგებს, როცა საკმაოდ ზუსტად აღწერეს სტრუქტურა კავკასიურ ენებთან ასე ახლოს მდგომი ენისა.

ლექლიუზი მობრუნების პუნქტს ქმნის ბასკურის გრამატიკული წყობის შესწავლის ისტორიაში. ფილოლოგები, რომლებიც ბასკურ ენას იკვლევდნენ უფრო ადრე, XVII—XVIII საუკუნეებში, ლათინურნი და სხვა ინდოევროპული ენების გრამატიკის ძლიერ გავლენას განიცდიდნენ, მექანიკურად გადმოჰქონდათ ინდოევროპულ ენათა კატეგორიები ბასკურში, ისევე როგორც ერთ დროს ანტონ კათალიკოსი ამჟამად ეძებდა ზოგიერთ გრამატიკულ კატეგორიას ქართულში სხვა ენათა ყალიბის მიხედვით.

ამ ადრეულ პერიოდში ბასკური და კავკასიური ენების მკვლევართა შორის, ცხადია, არავითარი უშუალო თანამშრომლობა არ ყოფილა, მაგრამ მსგავს მასალას ხშირად დამოუკიდებლად მიჰყავდა მკვლევარნი ერთნაირ შედეგებამდე და ერთნაირ ფორმულირებამდეც კი, რაც ფრიალ საინტერესოა გრამატიკული აზრის განვითარების ისტორიის თვალსაზრისით.

ფლერი ლექლიუზის შემდეგ ბასკური ენათმეცნიერების განვითარებაში მთავარი როლის შემსრულებლად უცხოელი სპეციალისტები გამოდიან, თვით ბასკ ფილოლოგთა წვლილი კი ძლიერ იკლებს. ბასკური ზებირსიტყვიერების ნიმუშებს კრებდა და ფოლკლორისტიკაში ნაყოფიერად მუშაობდა ფრანგი მეცნიერი ყულიენ ვენსონი (Julien Vinson). მან XIX ს. დამლევს შეადგინა ბასკური ენის შესახებ არსებული ლიტერატურის ვრცელი ბიბლიოგრაფია. მაგრამ XIX საუკუნის უცხოელ ბასკოლოგთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ამ დარგის ყველაზე ნაყოფიერი და ნიჭიერი მკვლევარი ლუი ლუსიენ ბონაპარტი (Luis Lucien Bonaparte). შედარებისათვის შეიძლება ითქვას, რომ მან ისეთივე გავლენა მოახდინა ბასკოლოგიის განვითარებაზე, როგორიც პეტრე უსლარმა კავკასიურ ენათმეცნიერებაზე. მათ კვლევის მეთოდის მხრივაც ბევრი რამ საერთო აქვთ.

საფრანგეთის მაღალი წრეების წარმომადგენელი, ნაპოლეონის ნათესავი, თავადი ლუი ლუსიენ ბონაპარტი XIX ს. შუა წლებში მოღვაწეობდა. ის იყო თავისი დროის ბასკოლოგიური კვლევა-ძიების ინიციატორი, რომელმაც მთელი თავისი შესაძლებლობანი და მთელი პირადი ქონებაც ამ საქმეს მოახმარა.

ლუი ბონაპარტი ათეული წლები შესწირა ბასკეთში მოგზაურობას, ინფორმატორებთან, განსაკუთრებით უბრალო მშრომელებთან მუშაობას, დიალექტების შესწავლას. ის კარგად გრძნობდა, რომ მრავალრიცხოვანი დიალექტების დეტალური შესწავლისა და კლასიფიკაციის გარეშე ბასკური ენის მეცნიერული აღწერა შეუძლებელია. ბონაპარტი ცალკეულ პირებს, ბასკ მწერლებს, ინტელიგენტებს უკვე თავდა სახარების თარგმანს ბასკური ენის სხვადასხვა დიალექტზე, არწმუნებდა და აიძულებდა მათ, ეთარგმნათ ერთი თავი მაინც, თუ მთელი სახარება არა. ის საკუთარი ხარჯით უნახლავრებდა შრომას მთარგმნელებს და შემდეგ დროდადრო აქვეყნებდა ამ თარგმანებს, მეტწილად — ინგლისში. მაგრამ ლუი ბონაპარტის ყველაზე დიდი დამსახურება ისაა, რომ მან 1863 წელს შეადგინა ბასკური ენის დიალექტთა შესანიშნავი ლინგვისტური რუკა, რომელზედაც ნაჩვენებია ბასკური ენის გავრცელების არე XIX ს. პირველ ნახევარში. ამ რუკის შედარება თანამედროვე დიალექტოლოგიურ რუკებთან თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ბოლო ასი წლის განმავლობაში ესპანეთის ბასკური პროვინციების ესპანიზაციის პროცესი ძალიან სწრაფად წასულა წინ. შუა და აღმოსავლეთ ნაგარის დიდი ტერიტორია უკვე აღარ იყენებს ბასკურ ენას, სრული გაქრობის გზაზე დგანან მთელი დიალექტები, როგორცაა, მაგალითად, რონკალური ბასკური ენის გავრცელების ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ასევე სამხრეთ-ნაგარული და სხვანი.

ბონაპარტის შემდეგ, XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე, ბასკური ენის ყველაზე გამოჩენილი მკვლევარია ცნობილი ავსტრიელი ენათმეცნიერი ჰუგო შუხარდტი, რომელსაც მნიშვნელოვანი გამოკვლევები მოეპოვება როგორც ბასკურის, ისე კავკასიურ ენათა სფეროში. მას ეკუთვნის „ბასკური შტუდიები“ („Baskische Studien“), გამოცემული ვენაში 1893 წელს, აგრეთვე კარგად მოფიქრებული ნაშრომი „ბასკური ენის ელემენტები“ („Primitiae Linguae Vasconum: Einführung ins Baskische“, Halle, 1923), რომელიც თითქოს თვითმასწავლებლის სახეს ატარებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, დიდად სცილდება თვითმასწავლებლის ფარგლებს. განსაკუთრებით ფასეულია მისი ის ნა-



წილი, რომელიც ბასკური ენათმეცნიერების შესავალს წარმოადგენს ამ ნაშრომის სათაურში სპეციალურად ასოცირებულია პირველი წიგნი ბასკურ ენაზე, ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ბერნარდ დეშეპარის "Linguae Vasconum Primitiae". 3. შუხარდტმა მხოლოდ სიტყვათა რიგი შეცვალა და თავის წიგნს სათაურად მისცა "Primitiae Linguae Vasconum".

თავის წიგნში შუხარდტმა გამოაქვეყნა უძღები შვილის იგავი სახარების XVI საუკუნეში შესრულებული პირველი თარგმანიდან და მოგვცა მისი დეტალური ანალიზი გერმანული თარგმანითურთ. თარგმანი სიტყვა-სიტყვით მისდევს დედანს და ამასთანავე იცავს ბასკურის სიტყვათა რიგსაც, შემდეგ კი წარმოდგენილია მეორე თარგმანიც გერმანული ენის სიტყვათა წყობის კანონების დაცვით. ამ წიგნმა დიდი როლი შეასრულა ევროპელ მკვლევართათვის ბასკური ენის სტრუქტურის გაცნობის საქმეში. მისი ნაკლია ის, რომ შუხარდტი ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის თეორიას იცავდა და ამიტომ მისი გერმანული თარგმანები ძალიან არაბუნებრივია.

ჩვენი საუკუნის დამდეგს ბასკური ენისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევას შეუდგა მეორე გამოჩენილი ევროპელი მკვლევარი კარლ ულენბეკი (C. C. Uhlenbeck). უკვე 1904 წელს მან ამსტერდამში გამოაქვეყნა ძალზე მნიშვნელოვანი ნაშრომი ბასკური ენისა და მისი დიალექტების ფონეტიკის საკითხებზე: "Beiträge zu einer vergleichenden Lautlehre der baskischen Dialekte".

შემდეგ, ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში, კარლ ულენბეკმა ბასკოლოგია გაამდიდრა მთელი რიგი მნიშვნელოვანი და ფასეული გამოკვლევებით, რომლებიც ეძღვნება სიტყვის სტრუქტურას ბასკურში და ბასკური ენის ურთიერთობას სხვა ენებთან. მათ ჩვენ უფრო დაწვრილებით შევვხებით მოგვიანებით, როცა ბასკური ენის წარმოშობის საკითხზე გვექნება საუბარი.

XX საუკუნის დამდეგს ბასკურ ენათმეცნიერებაში შეიქმნა ერთი უძვირფასესი ნაშრომი, რომელსაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს ბასკოლოგიისათვის: 1905—1906 წლებში ბისკაიის პროვინციის პატარა ქალაქ ლეკეითოს (Lekeitio) კათოლიკე მღვდელმა რესურექსიონ მარია დე ასკუემ (Resurrección María de Azkue) გამოსცა ბასკური ენის დიდი ორტომიანი ლექსიკონი — Diccionario vasco-español-francés, I, Bilbao, 1905; II, Bilbao-Paris, 1906. ეს ლექსიკონი იძ-

ლევა ყველა ბასკური დიალექტის სიტყვათა ფონდის ყოველმხრივ სრულ სურათს. ეს არის ჩვენი საუკუნის დამდევის ბასკური სამეტყველო ენის ლექსიკონი. როგორც ვიცით, ერთიანი ბასკური სალიტერატურო ენა მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა, იყო მხოლოდ სალიტერატურო დიალექტების შექმნის ცდები.

დღეს პირდაპირ გაოცებას იწვევს, როგორ შეძლო ერთმა კაცმა ასეთი ლექსიკონის შექმნა, რომელიც თავისი სიზუსტითა და დოკუმენტაციის სიმდიდრით იმ ტიპისაა, როგორიც არის, ვთქვათ, ქართული ენის რეატომიანი განმარტებითი ლექსიკონი ან პოლონური ენის მრავალტომიანი ლექსიკონი, რომელიც ახლა იცემა. ეს ლექსიკონები მრავალრიცხოვან თანამშრომელთა კოლექტივის მიერ არის შექმნილი, ბასკური ენის ლექსიკონი კი ერთი კაცის შრომის ნაყოფია, სადაც წარმოდგენილია ბასკური ენის მთელი ლექსიკური სიმდიდრე ყველა დიალექტის მიხედვით, ყოველ სალექსიკონო სტატიას ახლავს მდიდარი დოკუმენტაცია, მითითებულია ყველა დიალექტი, სადაც ეს სიტყვა გვხვდება, და ყველა სოფელიც კი, როცა სიტყვა იშვიათი ხმარებისაა. ასე რომ, ლექსიკონი დაფუძნებულია ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპებზე. ამავე დროს მასში წარმოდგენილია ბასკური ენის კლასიკოსებად ქცეულ ძველ ავტორთა თხზულებებში დამოწმებული სიტყვებიც სათანადო დოკუმენტაციით.

დღეისათვის ვისაც სურს იმუშაოს ბასკურ დიალექტოლოგიაში ან იკვლიოს ბასკური ენის ისტორია და მისი მიმართება სხვა ენებთან, მას უთუოდ ყოველ ნაბიჯზე დასჭირდება ჩაიხედოს დე ასკუეს ლექსიკონში. ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ეს ლექსიკონი ხელახლა გამოსცეს ესპანეთში 1969 წელს და მას ბოლოში დაურთეს ის სიტყვები, რომლებიც ავტორს თავისი ლექსიკონის გამოცემის შემდეგ კიდევ შეუტკრებია. აღსანიშნავია, რომ დე ასკუეს ლექსიკონის პირველი გამოცემის ერთი ცალი დაცულია თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერმუშაკთა სამკითხველო დარბაზში.

დე ასკუე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა არამარტო ბასკურ ლექსიკოგრაფიაში, ის გატაცებული იყო აგრეთვე ბასკური ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხების კვლევითაც. მისი „ბასკური ფონეტიკა“ („Fonética vasca“) გამოიცა ბილბაოში 1919 წელს, რამდენიმე წლის შემდეგ კი მას მოჰყვა დიდი, 930-გვერდიანი ნაშრომი მორფოლოგიის შესახებ („Morfología vasca“, Bilbao, 1925).

დე ასკუე ყველაზე ავტორიტეტულ ენათმეცნიერად ითვლებოდა ბასკოლოგთა შორის, ის იყო პირველი პრეზიდენტი ბასკურ ენის აკადემიისა, რომელიც 1919 წელს დაარსდა ბილბაოში, და სიკვდილამდე (1951 წ.) მეთაურობდა ამ აკადემიას.

იმ ბასკ ენათმეცნიერთა შორის, ვინც განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ბასკური ენის მორფოლოგიის საკითხებით, უნდა მოვიხსენიოთ არტურო კამპიონი (Arturo Campión), ნავარელი მკვლევარი, რომელმაც დავიტოვა ბასკური ენის ვრცელი გრამატიკა, დაწერილი ყველა დიალექტის მონაცემების მიხედვით. ა. კამპიონი XIX ს. ბოლოს მოღვაწეობდა.

ბასკური ენის იმ მეცნიერული გრამატიკებიდან, რომლებიც ჩვენს საუკუნეში დაიწერა და თანამედროვე მეთოდოლოგიის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, სავსებით სანდოა, ვრცელი და უხვ მასალაზე დამყარებული, უნდა დავასახელოთ ფრანგი ბასკოლოგის, ტულუზის უნივერსიტეტის პროფესორის ანრი გაველის „ბასკური გრამატიკა“ (Henri Gavel, Grammaire basque, I, Bauonne, 1929). პირველ ტომში განხილულია ბასკური ენის სახელები — როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, და ა. შ. მეორე ტომი, რომელსაც ქვესათაურად აქვს „ზმნა“ და მთლიანად ზმნის ანალიზს ეძღვნება, დაწერილია ბასკი ლაკომბის (G. Lacombe) თანაავტორობით. ის გამოიცა ბაიონში 1937 წელს.

მალე ამის შემდეგ ბაიონშივე გამოქვეყნდა ბასკური ენის გრამატიკა, რომლის ავტორია ბასკი კათოლიკე მღვდელი პიერ ლაფიტე (Pierre Lafitte, Grammaire basque, Bayonne, 1944. არსებობს ამ გრამატიკის მეორე გამოცემაც — 1962 წ.). ესაა ბასკური ენის გრამატიკული წყობის ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი მიმოხილვა, რომელსაც საფუძვლად უდევს საფრანგეთის ბასკეთის სალიტერატურო დიალექტი — ლაბურული, გათვალისწინებულია აგრეთვე მეორე დიალექტის — ქვემონაგარულის მონაცემებიც. თუ ბასკური ენის ლექსიკის შესასწავლად დაინტერესებულმა პირმა აუცილებლად უნდა მიმართოს დე ასკუეს ლექსიკონს, ასევე აუცილებელია პიერ ლაფიტის გრამატიკა ყველასთვის, ვისაც სურს სრული წარმოდგენა ჰქონდეს ბასკური ენის გრამატიკულ სტრუქტურაზე, მის სინტაქსურ წყობაზე.

გარდა პიერ ლაფიტის აღწერითი გრამატიკისა, რომელიც ლაბურულ დიალექტს ემყარება, არსებობს კიდევ ორი ვრცელი გრამატი-

კული მიმოხილვა, რომელთაგანაც ერთი ეძღვნება გიპუსკოურ დიალექტს, მეორე — ბისკაიურს. ესენია: I. L. Mendizabal, *La lengua vasca*, Buenos Aires, 1949; P. de Zamarripa y Uranga, *Gramática vasca (dialecto vizcaino Bilbao, 1928* (მე-7 გამოცემა — 1955 წ.).

შედარებით კარგად არის შესწავლილი აგრეთვე სულური დიალექტი, რომელიც საფრანგეთის ბასკეთის ყველაზე აღმოსავლეთით მდებარეობს, ოღონდ ამ შემთხვევაში გამოკვლევა ეხება არა მთელ დიალექტს, არამედ მის მხოლოდ ერთ კილოკავს — ჩრდილო-აღმოსავლურს. მისი ავტორია ჟან ლარასკე (Jean Larrasquet). გამოცემა პარიზში 1939 წელს. ეს იყო რიგით მეორე საფუძვლიანი ნაშრომი თანამედროვე ბასკური ენის დიალექტების აღწერითი გრამატიკების სფეროში.

ბასკური ენის დანარჩენი დიალექტების შესახებ ამომწურავი გრამატიკული მიმოხილვები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება (როგორც ვიცით, ბასკურში სულ 8 დიალექტია).

უახლესი ლიტერატურიდან, ბასკური ენის ზოგად მიმოხილვას რომ ისახავს მიზნად, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სამი ვრცელი წერილი, წარმოდგენილი სხვადასხვა გამოცემებში, სადაც მოცემულია აუცილებელი ცნობები ბასკური ენის შესახებ და შეკუმშული ფორმით, მაგრამ საკმაოდ სრულად დახასიათებულია მისი გრამატიკული წყობა.

ასეთია, უპირველეს ყოვლისა, ჟორჟ ლაკომბის (George Lacombe) წერილი „ბასკური ენა“, მოთავსებული ფრანგ ენათმეცნიერთა ცნობილ კოლექტიურ ნაშრომში „Les langues du monde“ („მსოფლიოს ენები“. მე-2 გამ., პარიზი, 1952 წ.). ეს ნაშრომი თავის დროზე ანტუან მეიესა და მარსელ კოენის რედაქციით მომზადდა.

მეორე სინთეზური გამოკვლევა ბასკური ენის შესახებ ეკუთვნის ცნობილ ფრანგ ბასკოლოგს რენე ლაფონს. ის მოთავსებულია ესპანურ ლინგვისტურ ენციკლოპედიაში („Enciclopedia Lingüística Hispánica“, 1959, გვ. 67—97). 30-ოდე გვერდზე რენე ლაფონი იძლევა ბასკური ენის საკმაოდ ვრცელ და ზუსტ დახასიათებას.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ლაფონის მეორე ნაშრომიც („La langue basque“ („ბასკური ენა“), რომელიც დაიბეჭდა ბასკური მუზეუმის ბიულეტენში ბაიონში (60/2, 1973, გვ. 58—120). მასში ავტორი ახა-

სიათებს ბასკური ენის სტრუქტურას, აშუქებს მის შესწავლასთან დაკავშირებულ საკითხებს და უთითებს საჭირო ლიტერატურას.

რაც შეეხება ლექსიკონებს, რომლებიც პრაქტიკულად დაეხმარება ბასკური ენის შესწავლის მსურველთ, ბუნებრივია, დაწყებით ეტაპზე ამ მხრივ დიდად სასარგებლოა შებრუნებული ლექსიკონები: ფრანგულ-ბასკური ან ესპანურ-ბასკური, სადაც მკითხველს ადვილად შეუძლია იპოვოს მისთვის საინტერესო სიტყვები.

ასეთი პრაქტიკული დანიშნულების ლექსიკონებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ა. ტურნიესა და პ. ლაფიტის „ფრანგულ-ბასკური ლექსიკონი“, გამოცემული ბაიონში 1964 წელს (A. Tournier, P. Lafitte, *Lexique français-basque*, Bayonne, 1964). ესაა ადვილად მოსახმარი ლექსიკონი, რომელიც საკმაოდ ვრცლად ასახავს საფრანგეთის ტერიტორიაზე მყოფი ბასკური დიალექტების ლექსიკას. ესპანეთის ბასკური დიალექტების ლექსიკის გასაცნობად კი ყველაზე სანდო და მარჯვე პრაქტიკული ლექსიკონია ხოსე ანტონიო დე მონტიანოსა და ხოსე რამონ დე ურკიხოს ბასკურ-ესპანური და ესპანურ-ბასკური ჯიბის ლექსიკონი (J. A. de Montano, J. R. de Urquijo, *Diccionario... euskera-castellano, castellano-euskera*, Bilbao, 1927), რომელიც დაახლოებით 10.000 სიტყვას შეიცავს.

ზედმეტი არ იქნება ორიოდ სიტყვა ვთქვათ იმ უმთავრეს სამეცნიერო ჟურნალებზეც, რომლებიც ბასკური ენისა და ლიტერატურის საკითხების გაშუქებას ისახავენ მიზნად.

პირველი ასეთი ბასკოლოგიური სამეცნიერო ჟურნალები ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება. საერთოდ, ჟურნალები ბასკურ ენაზე ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებიდან გამოდის, მაგრამ ისინი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის იყო განკუთვნილი, პირველი სამეცნიერო ბასკოლოგიური ჟურნალი კი დაარსდა 1907 წელს სანსებასტიანში. ჟურნალი თავის ფურცლებს ხალისით უთმობდა არა მარტო ბასკებს, არამედ მსოფლიოს ყველა მეცნიერს, ვინც კი ბასკოლოგიის საკითხებს ეხებოდა. ეს კარგად ჩანს თვით ჟურნალის სათაურიდანაც „*Revista Internacional de Estudios Vascos*“ — „ბასკურ შტუდიების საერთაშორისო მიმომხილველი“. ბასკოლოგიისათვის თავისი მნიშვნელობით ფუნდამენტურ ამ ჟურნალს შემოკლებით ეწოდება RIEV. ჟურნალი გამოდიოდა 1907 წლიდან 1936 წლამდე, ვიდრე გენერალ ფრანკოს ფაშისტურმა დიქტატურამ ბოლო არ მოუღო ყოველგვარ კულტურულ საქმიანობას ბასკეთში.

მეორე უმნიშვნელოვანესი ბასკოლოგიური სამეცნიერო ჟურნალია ბასკური ენის აკადემიის ორგანო "Euskera" („ეუშკერა“), რომელიც გამოდის ბილბაოში აკადემიის დაარსების დროიდანვე (1919 წლიდან). 1935 წელს „ეუშკერას“ გამოცემა შეწყვეტილ იქნა. ფრანკოს მთავრობამ მისი განახლების ნება დართო მხოლოდ 1956 წელს და ამ დროიდან დღემდე იგი უკვე სისტემატურად გამოდის. ჟურნალი როგორც აკადემიის ოფიციალური ორგანო აქვეყნებს აკადემიის სხდომათა ანგარიშებს, აგრეთვე გამოკვლევებს ბასკური ენათმეცნიერების სხვადასხვა საკითხებზე.

გერმანიის ფაშიზმის განადგურების შემდეგ ესპანეთში ერთხანს კვლავ განაგრძობდა არსებობას ფრანკოს ფაშისტური დიქტატურა, რომელიც ყოველმხრივ ახშობდა ბასკთა ნაციონალურ მოძრაობას, საფრანგეთში კი გერმანიის ოკუპაციისაგან განთავისუფლების შემდეგ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა და პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბასკების უდიდესმა ნაწილმაც აქ მოიყარა თავი. ბაიონში, სენ-ჟან-დე-ლუში (Saint-Jean-de-Luz), ესპანეთის საზღვრის მახლობლად, დიდი მუშაობა გაიშალა დანგრეულისა და განადგურებულის აღსადგენად, განახლდა მეცნიერული და კულტურული მოღვაწეობა ბასკოლოგიის დარგში. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ცნობილი ბასკი ეთნოლოგი ხოსე მიგელ დე ბარანდიარანი (José Miguel de Barandiarán), რომელიც სამოქალაქო ომამდე ესპანეთის ბასკეთში ცხოვრობდა, შემდეგ კი საფრანგეთის ბასკთა მხარეში გადავიდა და იქ პატარა დაბაში — შარაში 1947 წელს საფუძველი ჩაუყარა ბასკოლოგიის დარგში მეცნიერული კვლევა-ძიების ფრიად მნიშვნელოვან და აქტიურ ცენტრს. სწორედ მისი ინიციატივით ამავე წელს დაარსდა ახალი ბასკოლოგიური სამეცნიერო ჟურნალი "Gernika Eusko-Jakintza" („გერნიკა ეუშკო-იაკინცა“—ამ სათაურის პირველ ნაწილში წარმოდგენილია ბასკთა წმინდა ქალაქის სახელწოდება გერნიკა, მეორე ნაწილი კი ბასკურად ნიშნავს ბასკთმცოდნეობას, ბასკოლოგიას).

აღნიშნული ჟურნალი გამოდიოდა 1947—1957 წლებში. სხვათა შორის, ეს პერიოდი ნაყოფიერი იყო ბასკური ენის გენეზისისა და კავკასიურ ენებთან მისი ნათესაობის პრობლემის კვლევის ხაზით. ამ მხრივ ფრიად საყურადღებო ნაშრომები გამოაქვეყნეს რენე ლაფონმა და კარლ ბოუდამ, რომლებმაც დააყენეს ბასკური და კავკასიური ენების შედარებითი შესწავლის მთელი რიგი საკითხები. მაგრამ „გერ-



ნიკა ეუშკო-იაკინცა“ მცირე ტირაჟით გამოდიოდა და მისი ციტირებაც იშვიათად ხდება, რადგან ძნელად ხელმისაწვდომია.

1969 წელს ესპანეთის პროვინცია ნავარაში, სახელდობრ ქ. პამპლონაში, დაარსდა ახალი ბასკური ჟურნალი ლათინური სახელწოდებით: “Fontes Linguae Vasconum” (შემოკლებით: FLV), რაც ვასკონების (ძველი ბასკების) ენის წყაროებს ნიშნავს. ჟურნალი გამოდის წელიწადში სამჯერ და ძირითად მიზნად ისახავს ძველი ბასკური ტექსტების პუბლიკაციას, მაგრამ ამავე დროს მასში იბეჭდება ზოგადლინგვისტური ხასიათის წერილებიც, მათ შორის კავკასიური ენათმეცნიერებიდანაც. სამწუხაროდ, ეს ნაშრომები ქართველი კავკასიოლოგებისათვის ჯერჯერობით სრულიად უცნობია.

IV

ვიდრე ბასკური ენის სტრუქტურის სისტემურ ანალიზზე და მისი შინაგანი და გარეგანი ლინგვისტური პროფილის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, მანამდე ნება მომეცით რამდენიმე სიტყვით გაგაცნოთ ბასკური ენის გეოგრაფიული განფენილობა საფრანგეთსა და ესპანეთში.

ბასკურ ენას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკავია ტერიტორია საფრანგეთისა და ესპანეთის საზღვარზე, დაახლოებით საფრანგეთის ქალაქ ბაიონიდან ესპანეთის ქალაქ ბილბაომდე. მაგრამ თუ ჩვენ მოვიხილავთ ჰორიზონტალური ხაზით აღვნიშნოთ ბასკურენოვანი ტერიტორია, მაშინ აღმოსავლეთიდან საწყის პუნქტად უნდა ავიღოთ სულის პროვინცია და გავემართოთ დასავლეთისაკენ ქვემო ნავარის, ლაბურის, ზემო ნავარის, გიპუსკოას, ბისკაიის პროვინციების გავლით ბილბაომდე, სადაც მთავრდება ბასკური ენა და იწყება ესპანური.

როცა ვლაპარაკობთ ბასკურის შესახებ, უნდა გვახსოვდეს, რომ ბასკური ენა არ არსებობს როგორც ერთი განუყოფელი მთლიანობა, არამედ წარმოდგენილია რვა ტერიტორიული დიალექტის სახით. პირენეის მთებში საფრანგეთის მხარეს მოქცეულია ოთხი დიალექტი, დანარჩენი ოთხი კი ესპანეთის საზღვრებშია.

ატლანტის ოკეანის სანაპიროს გასწვრივ ქალაქ ბაიონიდან სასაზღვრო ქალაქ ანდაიმდე (Hendaye) გავრცელებულია ლაბურული, რომელსაც ბასკურ დიალექტებს შორის ყველაზე ძველი ლიტერატურული ტრადიციები ახასიათებს. ამ დიალექტზე XVII—XVIII საუკუნე-



ებში დაიწერა საკმაოდ ბევრი წიგნი, ორიგინალურიცა და თარგმნილიც, რის გამოც ლაბურული საფრანგეთის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი პრესტიჟით სარგებლობს და მისი ავტორიტეტი ესპანეთის ბასკეთსაც სწვდება. ლაბურული დიალექტი ძირითადად გავრცელებულია საფრანგეთში, მაგრამ მასთან ახლოს დგას მდინარე ბასტანის (Bastán) ხეობის ბასკური, რომელიც პირენეის მთების მეორე მხარესაა, ესპანეთში, ზემო ნავარაში. დიალექტოლოგიური კლასიფიკაციის დროს ბასტანურს ლაბურული დიალექტის კილოკავად მიიჩნევენ.

ქვემო ნავარის პროვინციაში საფრანგეთის ბასკური იყოფა ორ დიალექტად: დასავლურ და აღმოსავლურ ქვემონავარულად. დასავლურ ქვემონავარულს უკავია ძირითადად მდინარე ჰერობის (Herrobi) ხეობა დაბა ბაიგორითურთ (Baigorri) საფრანგეთის ბასკეთში, აგრეთვე რონსევალის უღელტეხილის საფრანგეთის მხარე. აღმოსავლური ქვემონავარული გავრცელებულია დაბა სენ-ჟან-პიე-დე-პორის (Saint-Jean-Pied-de-Port) აღმოსავლეთით. ორივე ამ დიალექტს მოეპოვება თავიანთი განშტოებანი ესპანეთის ტერიტორიაზე.

დასავლური ქვემონავარულის საპირისპირო მხარეს, უკვე პირენეის მთების ესპანეთის ნაწილში, აესკოას (Aezcoa) ხეობა წარმოადგენს ერთგვარ კუნძულს (ენკლავას), სადაც ბასკები ლაპარაკობენ დასავლურ ქვემონავარულ დიალექტთან ახლოს მდგომ კილოზე, რომელსაც დიალექტოლოგები დასავლური ქვემონავარულის აესკოურ კილოკავს უწოდებენ. ესპანეთის ტერიტორიაზევე მეორე მთაგორიან ტაფობზე, მდინარე სალაზარის (Salazar) ხეობაში, ლაპარაკობენ აღმოსავლურ ქვემონავარულთან ახლოს მდგომ კილოზე, რომელსაც აღმოსავლური ქვემონავარულის სალაზარულ კილოკავს უწოდებენ.

თუ გზას განვაგრძობთ საფრანგეთის ბასკთა მხარეში ქვემო ნავარიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, წავაწყდებით კიდევ ერთ დიალექტს — სულურს, რომელზედაც მეტყველებენ სულის პროვინციაში მცხოვრები ბასკები. ესაა ქალაქების მოლეონისა (Mauleon) და ტარდესი (Tardets) შემოგარენი.

სულის დიალექტსაც აქვს თავისი განშტოება ესპანეთის ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, პირენეის მთები არ წარმოადგენდა განსაკუთრებულსა და გადაულახავ ზღუდეს ბასკურის დიალექტებისათვის.

ჩვეულებრივ, მთები ბუნებრივ საზღვრებს ქმნიან ენებსა თუ დიალექტებს შორის, მაგრამ ბასკურში საქმე სხვაგვარადაა: უღელტეხილ-

თა სიხშირე, საერთო მეცხოველეობა, ჯოგების ზშირი გადარეკვა მთის ერთი კალთიდან მეორეზე ხელს უწყობდა იმას, რომ პირენეის მთების ორივე მხარის მცხოვრებთა მეტყველება დიალექტურად ან-ლოს ყოფილიყო ერთიმეორესთან, დასავლეთით და სამხრეთით კი დიალექტური დიფერენციაცია უფრო საგრძნობია.

ესპანეთის ტერიტორიაზე, როგორც ვთქვით, ბასკური ენის ოთხი დიალექტია წარმოდგენილი. ესენია: ჩრდილოური ზემონავარული, სამხრული ზემონავარული, გიპუსკოური და ბისკაიური.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნავარა იყოფა ორ ნაწილად, რომელთაგანაც ერთი, უფრო მსხვილი ერთეული — ზემო ნავარა — ესპანეთის ტერიტორიაზეა, მეორე კი, უფრო მცირე — ქვემო ნავარა — საფრანგეთის ტერიტორიაზე. ზემო ნავარა ემთხვევა თანამედროვე ნავარის პროვინციას ესპანეთში და ენობრივი მონაცემების მიხედვით იყოფა ორ დიალექტად: ჩრდილოურად და სამხრულად.

ბასკური ენის ჩრდილოური ზემონავარული დიალექტი მოიცავს ნავარის პროვინციის იმ ნაწილს, რომელიც ველატეს (Velate) უღელტეხილისა და ქალაქ ირურსუნის (Irurzun) ჩრდილოეთით მდებარეობს. ეს ნავარის მთელი ტერიტორიის დაახლოებით ერთ მეოთხედს შეადგენს. გაცილებით უფრო ვრცელია ნავარის პროვინციის სამხრეთ ნაწილი, სადაც დაბლობები ჭარბობს. ამ ნაწილში მდებარეობს ქალაქი პამპლონა.

თითქმის მთელი ნავარის პროვინცია, სამხრეთის განაპირა ზოლის გამოკლებით, XVI საუკუნეში ჯერ კიდევ ბასკურ ენაზე მეტყველებდა. სამხრული ზემონავარული წარმოადგენდა ბასკური ენის უმძლავრეს დიალექტს, რომელზედაც ყველაზე მეტი ბასკი ლაპარაკობდა. მაგრამ დროთა ვითარებაში სამხრეთ და შუა ნავარა ესპანური ენისა და ესპანური კულტურის განსაკუთრებით ძლიერი ზეგავლენის ქვეშ მოექცა, ასე რომ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე, იმ დროიდან, რაც ლუი ლუსიენ ბონაპარტი სწავლობდა ბასკური ენის დიალექტებს, სამხრეთ-ნავარული დიალექტი თითქმის მთლიანად გაქრა და მისი ადგილი ესპანურმა ენამ დაიკავა. ამჟამად ეს დიალექტი შემორჩენილია ძველი ტერიტორიის მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეზე, მდინარე არაგის ზემოწელში მდებარე რამდენიმე სოფელში. თავისთავად ცხადია, რამდენად საშური საქმეა ფიქსირება ამ სოფლების მცხოვრებთა მეტყველებისა, შესწავლა ძველთაძველი დიალექტისა, რომელიც XV—XVI



საუკუნეებში მნიშვნელოვან სალიტერატურო დიალექტს წარმოადგენდა, დღეს კი ჩვენს თვალწინ ქრება.

როცა ჩვენ დასავლეთით მივიწევთ, ნავარის პროვინციიდან გადავდივართ გიპუსკოას პროვინციაში, რომლის ცენტრია ქალაქი სან-სებასტიანი (San Sebastián). ამ პროვინციის მცხოვრებლებმა დღემდე კარგად — შეიძლება ითქვას, ყველაზე უკეთ — შემოინახეს ბასკური ენა. ეს იმიტომ, რომ გიპუსკოა სხვა ბასკური პროვინციებით არის გარშემორტყმული და დაცული, ენობრივი ეროზია კი ყველაზე მეტად საზღვრებს აზიანებს, სადაც ბასკური ენა ესპანურს ხვდება.

ბასკური ენის გიპუსკოური დიალექტის გავრცელების არე მთლიანად არ ემთხვევა გიპუსკოას პროვინციის ტერიტორიას, რადგანაც ამ პროვინციის დასავლეთ ნაწილში იწყება უკვე სხვა დიალექტი — ბისკაიური, რომელიც მოიცავს აგრეთვე ბისკაიის პროვინციის ტერიტორიასაც. ესაა უკანასკნელი დიალექტი ბასკური ენისა. ამ დიალექტზე ლაპარაკობენ მარკინის (Markina), გერნიკის (Gernika), ოროსკოს (Orozko), მონდრაგონის (Mondragón) მცხოვრებნი. რაც შეეხება ბილბაოს (Bilbao), რომელიც არამართ ამ პროვინციის, არამედ მთელი ესპანეთის მსხვილი სამრეწველო ცენტრია, იქ ბასკურად უკვე აღარ ლაპარაკობენ, რადგან მცხოვრებთაგან ბევრი ჩამოსულია სხვადასხვა კუთხიდან, მოსახლეობა ნარევია და ყველანი გადასული არიან ესპანურ ენაზე.

ესპანური ისმის მეტწილად სან-სებასტიანშიც. იგივე შეიძლება ითქვას პამპლონაზეც. ბასკურს ვეღარ გაიგონებთ ბაიონშიც, სადაც გაბატონებულია ფრანგული ენა. ბასკური დაცულია ძირითადად სოფლებში და პატარა დაბა-ქალაქებში, რომლებიც შორს არიან მთავარი გზებისაგან.

ბასკური ენა დავიწყებას ეძლევა ალავის პროვინციაშიც, რომელიც თითქმის მთლიანად ესპანურენოვანი გამხდარა, თუ არ ჩავთვლით არამაიონის ხეობის მიდამოებს, სადაც ერთმანეთს ხვდება გიპუსკოას, ბისკაიისა და ალავის პროვინციათა საზღვრები. სხვათა შორის, არამაიონის ხეობა გარშემორტყმულია მთებით და ბუნებრივმა პირობებმა ხელი შეუწყო ბასკური ენის დაცვას ამ რაიონში. არამაიონის ხეობის მცხოვრებნი ბისკაიურ დიალექტზე ლაპარაკობენ.

როგორც ვნახეთ, ბასკური ენის დიალექტებს სახელები ძირითადად შერქმეული აქვთ ბასკეთის ისტორიული პროვინციების სახელწოდებათა მიხედვით, მაგრამ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცი-

ლებლად უნდა შევნიშნოთ და კარგად გვახსოვდეს, რომ ბასკეთის პროვინციების სახელწოდებანი და ბასკური დიალექტების ცნებები ზუსტად არ ფარავენ ერთმანეთს.

ბასკეთი ისტორიულად შვიდ პროვინციად იყოფა. მათგან სამი საფრანგეთშია, ოთხი — ესპანეთში. საფრანგეთში ყველაზე დასავლეთით მდებარეობს ლაბურის პროვინცია (Labourd), რომელიც ზღვას ებჯინება, მის აღმოსავლეთით არის ქვემო ნავარა (Basse Navarre), კიდევ უფრო აღმოსავლეთით — სულის (Soule) პროვინცია. ესპანეთში ოთხი ბასკური პროვინციაა: ზემო ნავარა (Alta Navarra), რომელსაც საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უკავია, ოღონდ ზღვისპირეთამდე არ აღწევს, ზღვის პირას მდებარეობენ გიპუსკოა (Guipúzcoa) და ბისკაია (Vizcaya), რომელთაგანაც პირველი თითქმის საფრანგეთის საზღვრამდე აღწევს. დასასრულ, უკანასკნელია ალავის პროვინცია (Alava).

სპეციალურ ლიტერატურაში ეს პროვინციები უფრო ცნობილია ფრანგული და ესპანური სახელებით, თვითონ ბასკები კი მათ რამდენადმე სხვაგვარად უწოდებენ: Lapurdi, Baxenbarra, Zuberoa, Nafarroa, Gipuzkoa, Bizkaia, Araba.

ბასკებს ძველთაგანვე შეგნებული აქვთ, რომ მათი ქვეყანა ადმინისტრაციულად და პოლიტიკურად დანაწევრებულია და ამიტომ თანამედროვე ბასკურმა ნაციონალისტურმა მოძრაობამ წამოაყენა ლოზუნგი: „zazpiak bat“, რაც ბასკურად „შვიდთა ერთობას“ ნიშნავს (zazpi — შვიდი, zazpiak — შვიდნი, bat — ერთი), ე. ი. შვიდივე ბასკური პროვინცია ერთ მთელს შეადგენსო. ამით ხაზი ესმება ბასკების მისწრაფებას, რომ ბასკეთი აღიქვან როგორც ერთი ისტორიული მთლიანობა, თუმცა მისი სამი პროვინცია ეკუთვნის ერთ სახელმწიფოს — საფრანგეთს, ოთხი კი მეორე სახელმწიფოს — ესპანეთს.


\* \* \*

როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ბასკური ერთადერთი ენაა დასავლეთ ევროპაში, რომელიც ნათესაურად არ უკავშირდება ინდოევროპულ ენებს და რომლის წარმომავლობაც დღემდე არ არის სათანადოდ გამოჩვენებული. ბასკური ენის წარმოშობის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და უაღრესად საინტერესო პრობლემაა ისტორიულ ენათმეცნიერებაში.

ბასკური ენა ადრიდანვე იწვევდა ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა ინტერესს. იყო მრავალგვარი ცდები, გაერკვიათ, რა წარმოშობისა და რა ენათა ჯგუფს ეკუთვნის იგი, მაგრამ დამაჯერებელი ახსნა ვერავინ მოგვცა. ბასკურ ენას უდარებდნენ სხვადასხვა ჯგუფის ენებს — უგრო-ფინურს, სემიტურ-ქამიტურს, აგრეთვე კავკასიურ ენებს. ბასკურის შესაძლო კავშირს კავკასიურ ენებთან ყურადღება მიექცა იმის გამო, რომ თავისი სტრუქტურის სხვადასხვა ელემენტებით ბასკური უფრო ახლოს აღმოჩნდა კავკასიურ ენებთან, ვიდრე ენათა სხვა ჯგუფებთან. მაგალითად, უკვე XIX საუკუნეში ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ბასკურში, ისევე როგორც კავკასიურ ენებში, არსებობს წინადადების ერგატიული კონსტრუქცია, ბასკური ზმნაც სუბიექტურ-ობიექტური წყობისაა, ე. ი. მასში გარკვეული ნიშნით გამოიხატება არა მარტო სუბიექტის პირი, როგორც ეს ინდო-ევროპულ ენებშია, არამედ პირდაპირი და ირიბი ობიექტებიც. ჩვენი საუკუნის დამდეგიდან ევროპელმა მეცნიერებმა, — მათ შორის საბჭოთა მეცნიერებმა, კერძოდ, ნიკო მარმა, — შენიშნეს ლექსიკური მსგავსებაც ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის. განსაკუთრებით თვალსაჩინო აღმოჩნდა ეს მსგავსება ქართველურ ენებთან. მაგრამ თუ ტიპოლოგიური მსგავსება ბასკურისა კავკასიურ ენებთან სრულიად აშკარაა და დავას არ იწვევს, ლექსიკური მასალის შედარების მხრივ საქმე უფრო რთულია. ყველა ადრინდელი შედარება როდი იქნა გაზიარებული შემდგომდროინდელ მკვლევართა მიერ, რომლებიც კრიტიკულად სწავლობდნენ მათ.

ბასკურ ენასა და კავკასიურ ენებს შორის შესაძლო ისტორიული კავშირის საკითხს უკანასკნელი 50 წლის მანძილზე მიეძღვნა ბევრი მეცნიერული ნაშრომი, წერილი თუ მონოგრაფია, ზოგი მეტი და ზოგი ნაკლები ღირებულებისა. იმ ნაშრომთა შორის, რომლებიც დიდი რაოდენობით წარმოგვიდგენენ შესადარებელ ლექსიკურ და გრამატიკულ მასალას, პირველ ყოვლისა, უნდა გამოვყოთ ორი ევროპელი მკვლევრის — კარლ ულენბეკის (C. C. Uhlenbeck) და რენე ლაფონის (R. Lafon) ნაშრომები.

კარლ ულენბეკის დამსახურებას შეადგენს ბასკური ენისა და კავკასიური ენების სიტყვის ფუძეთა მატერიალურ სტრუქტურებს შორის არსებითი მსგავსების აღმოჩენა. მან პირველმა შენიშნა, რომ უძველესი ბასკური სახელური და ზმნური ძირები, რომლებიც თანხმოვნისა, ხმოვნისა და თანხმოვნისაგან შედგება (CVC ტიპი), ჩვეულებრივ,



ბოლოვდება r, l ან n თანხმონით, როგორც ამას ადგილი აქვს ქართველურ ენებში. ულენბეკმა დაამტკიცა აგრეთვე, რომ ბასკურ ენაში, სადაც ამჟამად სიტყვაწარმოების დროს სახელებისათვის მხოლოდ სუფიქსაცია არის დამახასიათებელი, უძველეს ხანაში პრეფიქსაცია გავრცელებული ყოფილა. მან გამოყო გაქვევებულ პრეფიქსთა ნაშთები ბასკური ენის სახელთა ძირებში და სცადა მათი ფუნქციის ახსნა იმით, რომ ოდესღაც არსებული გრამატიკული კლასის კატეგორიის ნიშნებად მიიჩნია ისინი. ასეთნაირი პრეფიქსაცია ბევრ კავკასიურ ენაშიც გვხვდება.

ზემოხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებით დასავლეთში წარმოებული კვლევა-ძიება დაკავშირებული იყო გარკვეულ სიძნელეებთან, ობიექტურ შეზღუდვებთან. მეცნიერებს, რომლებიც ბასკურსა და კავკასიურ ენებს უღარებდნენ ერთმანეთს, საკმაო მეცნიერული კავშირ-ურთიერთობა არ ჰქონდათ საბჭოთა კავშირის კავკასიოლოგიურ ცენტრებთან, კერძოდ თბილისთან. საბჭოთა კავკასიოლოგიის განვითარების მრავალი წლის მანძილზე დაგროვილ მასალას დასავლელი კავკასიოლოგები მხოლოდ ნაწილობრივ თუ ითვალისწინებდნენ თავიანთი მუშაობის პროცესში, ან სულაც არ იცნობდნენ, რის შედეგადაც ისინი სრულად ვერ იყენებდნენ ქართველური ენებისა და, საერთოდ, კავკასიური ენების ისტორიული და შედარებითი შესწავლის დარგში საბჭოთა კოლეგების მიერ მოპოვებულ შედეგებს. ამას უარყოფითი შედეგები მოჰყვა. ბევრი შედარება, რომელსაც ამ სფეროში აწარმოებდნენ დასავლელი მეცნიერები, კერძოდ, ცნობილი გერმანელი კომპარატივისტი კარლ ბოუდა (K. Bouda), სცოდავს მასალისადმი ზედპირული მიდგომით, კავკასიურ ენათა ისტორიული შესწავლის შედეგების გაუთვალისწინებლობით (იმ ნაწილში, რომელიც ადგილობრივი სამეცნიერო წრეების მიერ იქნა მოპოვებული).

ბასკური ენის წარმოშობისა და კავკასიურ ენებთან მისი შესაძლო კავშირის პრობლემა თავისთავად მეტად საინტერესოა, იგი ეხება უძველეს ეთნიკურ ურთიერთობებს ხმელთაშუა ზღვის აუზში და სამხრეთ ევროპის ისტორიას ამ ტერიტორიაზე ინდო-ევროპული ტომებისა და ენების გავრცელებამდე. ამ რთული პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა მასზე მომუშავეთა მთელი ძალების გაერთიანება, მათი მჭიდრო მეცნიერული თანამშრომლობა, აუცილებელია საბჭოთა კავკასიოლოგების, პირველ რიგში ქართველ ენათმეცნიერთა ჩაბმა მუშაობაში.

მეორე მხრივ, ასევე აუცილებელია სათანადოდ გათვალისწინება და-  
სავლელ მეცნიერთა ჭეშმარიტი მიღწევებისა ამ დარგში. უფროდ სა-  
ინტერესო და სასარგებლოა თვით ბასკი მეცნიერების ნაშრომების  
გაცნობა. ისინი უკვე მთელი ათწლეულებია მუშაობენ თავიანთი ენის  
სტრუქტურის აღწერაზე და მისი ისტორიის აღდგენაზე ისეთ სამეც-  
ნიერო ცენტრებში, როგორცაა ბილბაო, სალამანკა, პამპლონა, ბორ-  
დო, ტულუზა.

თუ ბასკური ენისა და კავკასიური ენების ნათესაობის პრობლე-  
მის გადასაჭრელად წინამძღვრები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, ჩემ-  
აზრით, მთავარი მიზეზი სწორედ ისაა, რომ სპეციალისტები დღემდე  
იზოლირებულად მუშაობდნენ: ბასკოლოგები — თავის სფეროში, კავ-  
კასიოლოგები — თავისაში. არ ყოფილა ცდები მათი მუშაობის შედე-  
გების გაერთიანებისა, უშუალო თანამშრომლობისა. რაც უფრო მალე  
დაიწყება და ფართოდ გაიშლება ასეთი თანამშრომლობა, მით უფრო  
მალე გამოჩნდება შედეგები.

საერთოდ, იმისათვის, რომ გავარკვიოთ ენათა გენეტური ნათესა-  
ობის საკითხი, კერძოდ, რომელიმე იზოლირებული ენა მივაკუთვნოთ  
ამა თუ იმ ცნობილ ენათა ოჯახს, საჭიროა გამოვავლინოთ რეგულა-  
რული ბგერათშესატყვისობანი შესადარებელ ენებს შორის და ამის  
საფუძველზე ვცადოთ გათვალისწინება მთელი ისტორიული გზისა,  
რომელიც გაიარეს შესადარებელმა ენებმა იმ დროიდან, როცა ჯერ  
კიდევ ერთი საერთო ენის — ფუძე-ენის შემადგენელ ნაწილებს წარ-  
მოდგენდნენ.

ამიტომ ბასკური ენისა და კავკასიურ ენათა გენეტური ნათესაობის  
საკითხებზე დადებითი პასუხის გასაცემად აუცილებელია მოვიხმოთ  
მასალა როგორც სიტყვის ძირების, ისე გრამატიკული ფორმანტების  
სახით, რომლებიც რეგულარულ ბგერათს შესატყვისობებს გვიჩვენე-  
ბენ. ზოგი რეგულარული შესატყვისობა უკვე მითითებულია რენე ლა-  
ფონის შრომებში, შედარებით მცირე რაოდენობით — კარლ ბოუდას  
შრომებში. ვფიქრობ, მეც შევძელი ზოგიერთი ბგერითი შესატყვისო-  
ბის დადგენა. ასე რომ, გენეტური კავშირი ბასკურისა კავკასიურ ენებ-  
თან — განსაკუთრებით ამ ენათა ქართველურ ჯგუფთან — მე სავსე-  
ბით შესაძლებლად მიმაჩნია.

მე ეს პრობლემა დიდი ხანია მაინტერესებს. ეს ინტერესი აღმეძრა  
იმის გამო, რომ ზოგადი სტრუქტურა, ლინგვისტური ტიპი ბასკური  
ენისა ყველაზე მეტად ქართველურ ენათა ლინგვისტურ ტიპს უდგება.

ჯერ კიდევ ასპირანტობის დროს, როცა თბილისის უნივერსიტეტში  
ესწავლობდი, — ეს იყო კარგა ხნის წინათ, ორმოცდაათიანი წლებს  
დასაწყისში, — ცვდილობდი კრიტიკულად შემესწავლა და შემემოწმე-  
ბინა ბასკურ-ქართველური ენობრივი ურთიერთობის შესახებ არსებუ-  
ლი ლიტერატურა. ვმუშაობდი ძირითადად შედარებითი ლექსიკოლო-  
გიის სფეროში და საკმაოდ ვრცელი მასალიდან, რომელსაც ერთმა-  
ნეთს უდარებდნენ ბასკურსა და ქართველურ ენებში და რომელიც  
რამდენიმე ასეულ სიტყვას მოიცავდა, ცვდილობდი შემერჩია უფრო  
საიმედო, სანდო მასალა, რომელიც ყოველმხრივ უძლებდა კრიტიკას  
ქართველურ ენათა ისტორიის თვალსაზრისით. ამ დაკვირვებებმა მომ-  
ცა შემდეგ საშუალება შემომეტანა ახალი მასალა და დამედგინა რამ-  
დენიმე ბგერითი შესატყვისობა.

ბასკური ენისა და კავკასიური ენების ნათესაობის პრობლემაზე  
დადებითი თუ უარყოფითი პასუხის გაცემა ჯერჯერობით მაინც ნაად-  
რევია. როგორ გადაწყდება ეს პრობლემა, ამას მომავალი მუშაობის  
შედეგები გვიჩვენებს.

## V

გადავიდეთ ბასკური ენის ლინგვისტური სისტემის დეტალურ და-  
ხასიათებაზე და პირველ რიგში შევხვთ მის ფონემურ ინვენტარს.

ბასკური ენის ფონეტიკისა და ფონოლოგიის დარგში ნაშრომები  
ბევრი არ არის, მაგრამ რაც კია, ყველა საკმაოდ ფასეულია. მათ შო-  
რის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ანრი გაველის „ბასკური ფო-  
ნეტიკის ელემენტები“ (Henri Gavel, *Éléments de phonétique bas-  
que*), გამოცემული პარიზში 1920 წელს. ამ 543-გვერდიან ნაშრომში  
ავტორს მომარჯვებული აქვს ფონეტიკური მეთოდი და იძლევა ბას-  
კური ენის ფონეტიკის დეტალურ ანალიზს, მაგრამ მასში ჯერ კიდევ  
არ გვხვდება ენობრივი მოვლენებისადმი ფონოლოგიური მიდგომა.

შემდეგ აღსანიშნავია ლუის მიჩელენას ნაშრომი „ბასკური ენის  
ისტორიული ფონეტიკა“ (Luis Michelena, *Fonética histórica vas-  
ca*). ეს 455-გვერდიანი ნაშრომი, რომელიც გამოიცა სან-სებასტიანში  
1961 წელს, ერთი მხრივ, მოიცავს თანამედროვე ბასკური ენის აღწე-  
რითს ფონეტიკასა და ფონოლოგიას, მეორე მხრივ კი წარმოადგენს  
ცდას, განსაზღვროს ბასკური ენის ბგერითი შემადგენლობა უკანასკ-  
ნელი ორი ათასი წლის მანძილზე. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება უც-

ნაურად გვეჩვენოს: როგორ უნდა განისაზღვროს ბასკური ენის ფონოლოგიური სისტემა ორი ათასი წლის მანძილზე, მაშინ რატომ ტექსტები ამ ენაზე მხოლოდ XVI საუკუნიდან მოგვეპოვება? ლუის მიჩელენამ საამისოდ გამოიყენა სამი სხვადასხვა წყარო, რამაც საშუალება მისცა მკვლევარს, ღრმად ჩაეხედა ბასკური ენის ფონეტიკურ სისტემაში. ბასკური ენის ბგერითი წყაროს ისტორიის აღდგენის მიზნით მიჩელენა ერთმანეთს უდარებს ტერიტორიულ დიალექტთა მონაცემებს, რომლებიც გარკვეულ სხვაობას გვიჩვენებენ ბგერითი შემადგენლობის მხრივ. მეორე წყაროს წარმოადგენს ძველი ბასკური ტექსტები, რომლებიც XVI საუკუნიდან არის დაცული. მაგრამ მკვლევარი ამაზე კი არ ჩერდება, არამედ იკვლევს აგრეთვე ბასკურ საკუთარ სახელებს, ტოპონიმებს და გლოსებს, რომლებსაც უხვად შეიცავს შუა საუკუნეთა ესპანური და ლათინური ლიტერატურა. თუ არ ჩავთვლით ფრანგი ისტორიკოსის ლუშერის (Luchaire) შრომებს, შეიძლება ითქვას, რომ მიჩელენამ პირველმა გამოიყენა ფართო მასშტაბით ბასკეთის ყველა პროვინციის მდიდარი საარქივო მასალა, რომელიც დიდად საინტერესოა როგორც ლექსიკურად, ისე ფონეტიკურ ცვლილებათა გასათვალისწინებლად. მკვლევარმა მიმართა მესამე წყაროსაც — რომაულ წარწერებს, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ოთხ საუკუნეს მიეკუთვნება და ძირითადად ადმინისტრაციული ან რელიგიური ხასიათისაა. მან შეისწავლა აგრეთვე საფლავის წარწერები, სადაც ლათინურ ტექსტში წარმოდგენილია ადგილობრივ ღვთაებათა და ცალკეულ პიროვნებათა სახელები, რომლებიც ვასკონთა ენას და პირენეის ჩრდილო კალთებზე ერთ დროს გავრცელებულ აკვიტანელთა ენას შეიძლება დაუკავშირდეს. ამ გზით მიჩელენამ შეკრიბა რამდენიმე ათეული აკვიტანური და ვასკონური პიროვნული სახელი, რამდენიმე ათეული გეოგრაფიული სახელწოდება და შეუდარა ისინი უფრო გვიანდელი ტექსტებიდან და თანამედროვე ბასკური ენიდან ცნობილ ლექსიკურ ერთეულებს. აღმოჩნდა, რომ ეს ფრაგმენტული ვასკონური და აკვიტანური ლექსიკური მასალა სრულ მსგავსებას ამჟღავნებს გვიანდელ ბასკურთან, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა საკითხი ბასკური ენის მიმართებისა ძველ ვასკონურ და აკვიტანურ ენებთან, რომლებიც გავრცელებული იყო პირენეის მთების დასავლეთ ნაწილში და მის მახლობელ ოლქებში ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.



რა გვიჩვენა მიჩელენას მიერ ისტორიული ფონეტიკისა და ფონოლოგიის ხაზით ჩატარებულმა კვლევამ? აღმოჩნდა, რომ როგორც ფონემური შემადგენლობის, ასევე ძირთა სტრუქტურის მხრივ ბასკურ ენას უკანასკნელი ორი ათასწლეულის მანძილზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია. ანალოგიური სურათია ქართულშიც: როცა ჩვენ ხანმეტ ტექსტებს ვუდარებთ თანამედროვე ქართულს, ნათლად ჩანს, რომ მათ შორის ფონემური შემადგენლობისა და სიტყვის სტრუქტურის მხრივ დიდი სხვაობა არაა. სულ სხვაგვარი ვითარებაა ბასკურის მეზობელ ფრანგულ ენაში, რომლის ბგერითი შემადგენლობაცა და სიტყვათა სტრუქტურაც ბოლო ორი ათასწლეულის მანძილზე ძლიერ შეიცვალა, რაც კარგად ჩანს ფრანგულის შედარებით კლასიკურ ლათინურთან, რომლისაგანაც ის წარმოიშვა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ბგერითი სისტემის ცვალებადობის ტემპი ბასკურში ქართულის მსგავსია. ამ ფაქტს გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს იმ მკვლევართათვის, რომლებსაც სურთ ბასკური ენის შედარება-შეპირისპირება სხვა ენებთან.

ლუის მიჩელენას ნაშრომი „ბასკური ენის ისტორიული ფონეტიკა“ აუცილებელი სამაგიდო წიგნია ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია ბასკური ენის შედარებითი შესწავლით. შეიძლება ითქვას, რომ 1961 წლამდე, ვიდრე ეს ნაშრომი გამოიცემოდა, ყოველგვარი ეტიმოლოგიური ძიება ბასკური ენის სფეროში შეიცავდა საფრთხეს, რომ ერთმანეთთან არ შეედარებინათ ისეთი ერთეულები, რომელთა შედარებაც სინამდვილეში შეუძლებელია. ამჟამად ასეთი შედარებითი ძიებისათვის ნიადაგი გაცილებით უკეთ არის მომზადებული.

გარდა ზემოხსენებული ნაშრომისა, მიჩელენას ეკუთვნის კიდევ ორი მნიშვნელოვანი წიგნი. ერთია წერილების კრებული სათაურით „Sobre el pasado de la lengua vasca“ „ბასკური ენის წარსულის შესახებ“), რომელიც შეიცავს გამოკვლევებს ბასკური ენის ისტორიის, დიალექტოლოგიის, ფონოლოგიის, სიტყვის სტრუქტურული აგებულების სხვადასხვა საკითხზე. მეორეა ფრიალ საჭირო და სასარგებლო კრებული უძველესი ბასკური ტექსტებისა — „Textos arcaicos vascos“, სადაც თავმოყრილია ძნელად ხელმისაწვდომი ბასკური ტექსტები XVI საუკუნისა და XVII საუკუნის დასაწყისისა და კიდევ უფრო ადრინდელი ფრაგმენტები ბასკური წინადადებებიდან და გლოსები. ორივე ეს წიგნი გამოიცა მადრიდში 1964 წელს.



დასასრულ, როცა ლაპარაკია ბასკური ენის შესახებ არსებულ ფონეტიკურ და ფონოლოგიურ ლიტერატურაზე, უთუოდ უნდა მოვიხსენიოთ უახლესი ნაშრომი, რომელიც ეკუთვნის განსვენებული პროფესორის რენე ლაფონის მოწაფეს ნიკოლ მუტარს (Nicole Moutard) და სულ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა ჟურნალში "Fontes Linauae vasconum" (ტ. 7, № 19, 1975, გვ. 5—42; ტ. 7, № 20, 1975, გვ. 141—189; ტ. 8, № 28, 1976, გვ. 9—54) სათაურით: Etude phonologique sur les dialectes basques" („ფონოლოგიური შტუდიები ბასკური დიალექტების შესახებ“). ესაა ყველაზე სრული და თანამედროვე მეთოდით შესრულებული ცდა ბასკური ენის რვავე დიალექტის ფონოლოგიური სისტემის და ფონემური ინვენტარის გამოკვლევისა. მასში წარმოდგენილია შესაბამისი ტაბულები დიალექტების მიხედვით, ნაჩვენებია საერთო-ბასკური ენის რომელი ფონემებია დაცული ცალკეულ დიალექტებში, რა ვარიანტები მოეპოვება ამა თუ იმ ფონემას და სხვა. ამ ნაშრომის გაუთვალისწინებლად ახლა ბასკოლოგიაში რაიმეს გაკეთება ძნელია.

ახლა გადავიდეთ თვით ფონოლოგიური სისტემის დახასიათებაზე. ლაპარაკი გვექნება საერთო-ბასკური ენის აბსტრაქტიზებულ სისტემაზე, გაგაცნობთ ფონემებს, რომლებიც გვხვდება ყველა დიალექტში, მოვიხსენიებთ იმ ფონემებსაც, რომლებიც მხოლოდ ერთ ან რამდენიმე დიალექტს ახასიათებს, სხვა დიალექტებში კი სათანადო ვარიანტები მოეპოვება. ზოგიერთ სპეციფიკურ ფონემას ან მის დიალექტურ ვარიანტებს მე შემდეგ კიდევ დავუბრუნდები. ჯერ გავეცნოთ იმას, რაც გარკვეული თვალსაზრისით ამოსავალია და დამახასიათებელია ბასკური ენის ყველა დიალექტისათვის.

ბასკურ ენას, ისევე როგორც ქართულს, მოეპოვება 5 ხმოვანი ფონემა: a, e, i, o, u. სულურ დიალექტში, საფრანგეთის ტერიტორიაზე, გვხვდება კიდევ ერთი ხმოვანი ფონემა ü, რომელიც გამოითქმის როგორც ფრანგული u, მაგალითად, სიტყვაში la lune („მთვარე“). მაგრამ ყველა ბასკოლოგი ერთხმად აღიარებს, რომ ეს ფონემა ბასკურში ინოვაციაა, გაჩენილი გარემომცველი გასკონური დიალექტისა და ფრანგული წარმოთქმის გავლენით.

ზემოხსენებულ ხმოვანთაგან ბასკურში წარმოქმნილია აგრეთვე დიფთონგები. ესენია: ai, ei, oi, au და eu.

ამათ გარდა, ბასკურ ენაში 23 თანხმოვანი ფონემაა. ისინი ქმნიან გარკვეულ ჯგუფებს, რომლებიც ამა თუ იმ ნიშნით უპირისპირდებიან

ერთმანეთს. ასე, მაგალითად, ბასკურისათვის დამახასიათებელია ყრუ და მკლერი ხშული თანხმოვნების დაპირისპირება: p:b, t:d, k:g. ბასკური ენის ყრუ ხშული თანხმოვნები, როგორცაა p, t და k, განსხვავდებიან შესაბამისი ქართული ბგერებისაგან თავიანთი არტიკულაციით. ძნელია ისინი შევეუდაროთ ერთმანეთს, იმიტომ რომ ქართულში და საერთოდ კავკასიურ ენებში ერთმანეთს უპირისპირდებიან ყრუ ფშვინვიერები და ყრუ მკვეთრები, მაშინ როცა ბასკურში ასეთი დაპირისპირება არ არსებობს.

ბასკური ენის ყრუ ხშულები p, t, k შეეფარდებიან ჩრდილო-კავკასიურ ენათა ე. წ. პრერუპტივებს, აგრეთვე შესაბამის თანხმოვნებს პოლონურ, რუსულ და ზოგ სხვა ევროპულ ენაში. ისინი არ გამოირჩევიან განსაკუთრებული ფშვინვიერობით და არ ახასიათებთ სუპრაგლოტალური არტიკულაცია.

ბასკური ენის აფრიკატებისა და სიბილანტების ჯგუფში ერთმანეთს უპირისპირდებიან წმინდა აფრიკატები და სიბილანტები c, s და ნახევრადშიშინა აფრიკატები და სიბილანტები — č, š. ამათგან c, s ფონემების წარმოთქმა ჩვენთვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, ისინი დაახლოებით ემთხვევა ქართულ ც, ს ფონემებს. ბასკური ნახევრადშიშინა č, š ფონემების არტიკულაცია კი თავისებურია და სხვები, ბასკების გარდა, მათ ისე თავისუფლად ვერ წარმოთქვამენ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ასეთი ნახევრადშიშინა ფონემები ახასიათებს აგრეთვე აფხაზურ-ადიღეურ ენებს. ლათინური ტრანსკრიფციის დროს მე მათ გადმოსაცემად ვიყენებ იმავე ნიშნებს, რითაც გადმოიცემა ქართული შიშინა აფრიკატი ჩ (č) და სპირანტი შ (š), რადგანაც წარმოთქმის მიხედვით ისინი ყველაზე ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბასკური č მთლიანად არ ემთხვევა ქართულ ჩ-ს და ბასკური š — შ-ს: ქართულში ისინი სრული შიშინა ფონემებია, ბასკურში კი — ნახევრადშიშინა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბასკურ ენაში გვხვდება მხოლოდ ყრუ აფრიკატები და სპირანტები, ხშული თანხმოვნებისაგან განსხვავებით; იქ არა გვაქვს მკლერი აფრიკატები და სიბილანტები: ž, z.

ბასკური ენის თანხმოვნებში გამოიყოფა აგრეთვე რბილ პალატა-

ლიზებულ ფონემათა ჯგუფი. მათ მიეკუთვნება რბილი „ნ“ (п'), რბილი „ლ“ (л'), რბილი „ჩ“ (ч'), რბილი „ტ“ (т'), რბილი „შ“ (ш').

ამათ გარდა, გვაქვს აგრეთვე ყრუ ხშული პ, მჟღერი ბ, ყრუ ტ, მჟღერი ხშული დ, მჟღერი გ, მჟღერი ნ და პალატალიზებული „ნი“.

ბასკური ენისათვის დამახასიათებელია ორგვარი რ ფონემა: სუსტი „რ“ და ძლიერი „რ“. ასეთივე სურათია ბასკურის მეზობლად ესპანურ ენაში, სადაც ანალოგიურადვე განსხვავდება სუსტი და ძლიერი „რ“, მაგრამ შედარებისათვის შეიძლება მივმართოთ აგრეთვე სომხურ ენასაც. მახსოვს, ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკაში მეცადინეობის დროს აკადემიკოსი აკაკი შანიძე გამოთქვამდა ვარაუდს, რომ შესაძლოა რბილი და მაგარი „რ“ ერთ დროს ქართველურ ენებშიც გვექონდა და ეს დაპირისპირება რეფლექსების სახით თავს იჩინეს ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობებში.

ბასკურ ენაში თუმცა არსებობს კბილბაგისმიერი ფშვინვიერი ფონემა ჩ, მაგრამ ის მეორეულია; ძირეულ ბასკურ სიტყვებში ეს ფონემა არ დასტურდება, გვხვდება მხოლოდ რომანული ენებიდან ნასესხებ სიტყვებში და აფექტური ხასიათის ზოგიერთ გამოთქმაში. ბასკი ამ ფონემას ძნელად წარმოთქვამს. მაგალითად, ლათინური სიტყვა fagus („წიფელი“), რომელიც ნასესხები აქვს ბასკურს, იშვიათად გამოითქმის როგორც fago, უფრო ხშირად კი დიალექტებში ის გამოითქმის როგორც pago ან bago. არსებობს გვარი ფ ა გ ო ა გ ა, რომელიც ეტიმოლოგიურად აღნიშნავს ადგილს, სადაც წიფელი იზრდება. ასეთივე მნიშვნელობის მქონეა და იმავე ფუძეს შეიცავს ადგილის სახელწოდება პ ა გ ო ლ ა, ოღონდ გამოთქმაა სხვაგვარი.

შემდეგი ფონემა — ესაა ჯ (იოტი), რომელიც ძველბასკურ ენაში გამოითქმოდა როგორც უმარცვლო ი, ამჟამად კი დიალექტებში ის სხვადასხვაგვარად რეალიზდება. სახელდობრ, ნაწილი ბასკებისა ლაბურის პროვინციაში, განსაკუთრებით დაბების სენ-ჟან-დე-ლიუზისა და ბიდარტის მცხოვრებნი, ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ამ ბგერის ძველებურ წარმოთქმას, მაგრამ ამ პროვინციის დანარჩენ ნაწილში და აგრეთვე ქვემო ნავარაში ჯ გამოითქმის როგორც რბილი „დ“ — d' („დაა“), სულს პროვინციაში მას წარმოთქვამენ როგორც რბილ „ჟ“ — j („ჯანა“). პირენეის მთების მეორე მხარეს, ესპანეთში, j-ის გამოთქმა სულ სხვაგვარია: ესპანური ენის გავლენით ის გამოითქმის როგორც ჩვეულებრივი ყრუ სპირანტი — ხ. სხვათა შორის, იოტის წარმოთქმა კარგი კრიტერიუმია იმის გამოსაცნობად, თუ ბასკეთის

რომელი მხრიდან ან რომელი პროვინციიდან არის მთქმელი. მაგალითად, საფრანგეთის მხარის წარმომადგენელი ბასკი არასოდეს იტყვის: joaneš (ხოანეშ), არამედ—joaneš (ჯოანეშ) ან d'oaneš (ჯოანეშ), ესპანეთის პროვინციების წარმომადგენელი კი აუტრლებლად წარმოთქვამს; xoaneš.

დაბოლოს, უკანასკნელი ფონემა *li*, რომლის გამოთქმაც ქართულ ჰ-ს შეესაბამება. ის დაცულია მხოლოდ საფრანგეთის ბასკურ დიალექტებში — ლაბურულში, ქვემონვარულში და სულურში. ესპანეთის ბასკურ დიალექტებში ჰ უკვე გამქრალია და ესეც ერთი განმასხვავებელი ნიშანია ამ ორი ქვეყნის ბასკურ დიალექტებს შორის: ერთი და იმავე ბასკური ტექსტის კითხვისას საფრანგეთის ბასკეთის წარმომადგენელი ბევრი ხმოვნის წინ ანლაუტში ან ხმოვნებს შორის ინლაუტში ხმარობს „ჰ“-ს, ესპანეთის ბასკეთის წარმომადგენლისათვის კი ასეთი ფშვინვიერი შემართვა ხმოვნების წინ უჩვეულოა, ასევე ქრება ჰ-ს ატუსი (*hiatus*) ხმოვნებს შორისაც მათი შერწყმის თუ სინკოპირებას გზით. ამის გამო ბევრი ბასკური სიტყვა ესპანეთის მხარის დიალექტებში უფრო მოკლეა, ვიდრე საფრანგეთისაში. ბასკური ენის ისტორიის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ჰ იყო უძველეს ბასკურ ენაში, ის ესპანეთის ბასკურ დიალექტებში რეკონსტრუირებული უნდა იქნეს და საჭიროა ეს გავითვალისწინოთ ბასკური ლექსიკის სფეროში ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების დროსო.

ზემოთ ჩვენ მიერ დახასიათებული ფონეტიკური ინვენტარი დიალექტებში სხვადასხვაგვარ ცვლილებებს განიცდის, ექვემდებარება სხვადასხვა სახის ფონეტიკურ პროცესებსა და ტენდენციებს, რომელთაგანაც ზოგი უკვე ვახსენეთ. შეიძლება დავუმატოთ, რომ სულურში და ესპანეთის ზოგიერთ სხვა ბასკურ დიალექტში რ თანხმოვანი გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთი პირველადი ბასკური ძირი არ იწყება რ ფონემით, ხოლო რომანული ენებიდან ნასესხებ სიტყვებს, რომლებსაც თავში რ მოუდის, ბასკურში წინ უთუოდ უჩნდება პროთეტული ე ან ა ხმოვანი. მაგალითად, ლათინური *rex* ბასკურში შესულია *errege*-ს ფორმით, ლათინური *Roma* ბასკურში იძლევა *Erroma*-ს, ლათინური *ratio* — ბასკურშია *arrazoin* და ა. შ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ განსხვავება წმინდა სიბილანტებსა და ნახევრადშიშინა სიბილანტებს შორის, რაც ძალზე დამახასიათებელი და არსებითია საერთოდ ბასკური ენის ფონოლოგიური სისტემი-

სათვის, ბასკური ენის დასავლურ განაპირა დიალექტში, ბისკაიურში, უკვე გამქრალია. ბისკაიელი აღარ განასხვავებს s და ზ, c და ჯ და ნემებს და გამოთქვამს ორსავე შემთხვევაში მხოლოდ წმინდა სიბილანტებს (s, c). მაგალითად, ბილბაოში გამოცემულ ბასკურ ჟურნალებში და ბასკური ნაციონალისტური პარტიის გამოცემებში (ამ პარტიის ლიდერები ძირითადად ბისკაიელები იყვნენ) ბასკეთის სახელწოდებად წარმოდგენილია არა Euskadi, არამედ Euskadi (s ს და არა ზ შ: ეუშკადი → ეუსკადი).

მართალია, ბისკაიელები ნახევრადშიშინა ფონემებს უკვე აღარ გამოთქვამენ, ეს ფონემები ამ დიალექტში გამქრალია, მაგრამ ბასკური ენის შესწავლისას მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. როგორც ლაფონის გამოკვლევებმა ცხადყო, განსხვავება წმინდა და ნახევრადშიშინა სიბილანტებს შორის ასახავს ინფრაგლოტალურ და სუპრაგლოტალურ ფონემათა ოპოზიციას, რომელიც შორეული წარსულიდან მომდინარეობს და მეტად მნიშვნელოვან ფონოლოგიურ ოპოზიციას წარმოადგენს.

ლაფონმა თავის ერთ-ერთ ნაშრომში დიდძალი მასალის საფუძველზე დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ კავკასიურ ენათა ყველა ინფრაგლოტალურ აფრიკატსა და სიბილანტურ სპირანტს (z, z, c, s) შეესატყვისება ამავე ტიპის ყრუ ფონემები ბასკურში, ხოლო კავკასიურ ენათა სუპრაგლოტალურ სიბილანტებსა და აფრიკატებს (č, č, s) ყოველთვის შეესატყვისება ბასკურის ნახევრადშიშინა ფონემები. აქედან მკვლევარი აკეთებს ძალიან მნიშვნელოვან დასკვნებს ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენების ზოგადი ფონოლოგიური სისტემების თავდაპირველი სიახლოვის შესახებ, რადგანაც თუკი არსებობს გარკვეული განსხვავება კავკასიურ ენათა ინფრაგლოტალური და სუპრაგლოტალური ფონემების რეფლექსებს შორის ბასკურ ენაში, მაშინ სავარაუდებელია, რომ ოდესღაც, შორეულ წარსულში, — ძნელი სათქმელია, რომელ ათასწლეულში, — წინარებასკურ ენაშიც არსებულა განსხვავება, ყოველ შემთხვევაში აფრიკატთა ჯგუფში მაინც, ინფრაგლოტალურ და სუპრაგლოტალურ თანხმოვნებს შორის, როგორც ეს დამახასიათებელია იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონოლოგიური სისტემისათვის. შემდეგ, როგორც ლაფონი ფიქრობს, ეს განსხვავება ბასკურში გაქრა ალბათ გარემომცველი ინდო-ევროპული ენების გავ-

ლენით, რომელთათვისაც ამგვარი განსხვავება ინფრაგლოტალებისა და სუპრაგლოტალებისა უცხო იყო.

საქართველოს  
ენათმეცნიერებათა  
ინსტიტუტი

\* \* \*

ახლა შეიძლება წარმოვადგინოთ სრული ინვენტარი ბასკური ენის ფონემებისა:

ხმოვნები: a, e, i, o, u.

/დიფთონგები: ai, ei, oi, au, eu/.

თანხმოვნები: p, b, t, t', d, k, g, m, n, n', r, l, l',

c, č, č', f, s, š, š', j, h.

ბასკური ანბანი:

a, e, i, o, u.

p, b, t, tt, d, k, g, m, n, ñ, r, rr, l, ll, tz, ts, tx, f, z, s, x, j, h.

ზემოთ წარმოდგენილია ფონემების სია, ქვემოთ კი მოცემულია მათი გამომხატველი გრაფიკული ნიშნები ბასკური ენის პრაქტიკულ ანბანში. ამის მიხედვით ჩვენ ადვილად შეგვიძლია ბასკური ტექსტების კითხვისას ვიპოვოთ თვითეული გრაფემის შესატყვისი ბასკური ფონემა.

როგორც ვხედავთ, ბასკური ანბანი იყენებს ლათინურ გრაფიკას, რომელიც ძირითადად აკმაყოფილებს ბასკური ენის მოთხოვნილებას. ლათინური ასოების უმეტესობა ზუსტ შესატყვისს პოვებს ბასკური ბგერების სახით, ზოგ შემთხვევაში კი შემოღებულია დამატებითი ასოები. ასევეა პოლონურშიც, სადაც ზოგი ბგერა ზუსტად შეესატყვისება ლათინურ ფონემას და თავისუფლად გადმოიცემა შესაბამისი გრაფემით, განსხვავებული ფონემები კი აღინიშნება ლათინურ ასოთა შენაერთით ან დიაკრიტიკული ნიშნებით.

ბასკები ერიდებიან დიაკრიტიკული ნიშნების ხმარებას. მათ მხოლოდ ერთ შემთხვევაში — რბილი ნ-ს აღსანიშნავად — აქვთ გამოყენებული დამატებითი ნიშანი ~ (ტილდა). დანარჩენი რბილი თანხმოვნების გადმოსაცემად მიმართავენ სათანადო ასოს გამეორებას. სახელდობრ, რბილი ტ (t') გადმოიცემა გაორმაგებული გრაფემით (tt). ასევე ასოს გაორკეცებით გამოიხატება რბილი ლ (l') და ~~ლ (ll)~~ არსებითად ეს მეთოდი აღებულია ესპანური ორთოგრაფიიდან, სადაც ზოგი ფონემა ორი ასოთი გადმოიცემა.



ორი ასოთია გადმოცემული ბასკური ც და ჩ ფონემებიც: პირველი აღნიშნება, iz, მეორე კი — ts ასოებით.

მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებასაც, რომ z ასო ბასკურში აღნიშნავს ს ბგერას, s კი — შ ბგერას. ეს მხოლოდ გრაფიკული გამოხატულებაა და მან არ უნდა შეგვიშალოს ხელი, არ გამოიწვიოს ყრუ და მქლერი თანხმოვნების არეგ-დარევა.

რბილი აფრიკატი ჩ\* (č') გადმოიცემა t და x ასოების შეერთებით, რბილი შ (š') კი x ასოთი. ესეც ესპანური ორთოგრაფიის გავლენის შედეგია. საფრანგეთის ნაწილში მცხოვრები ბასკები რბილ აფრიკატებსა და რბილ სიბილანტებს სხვაგვარად გამოხატავენ: tx-ს მაგიერ ისინი წერენ tch-ს, x-ს მაგიერ კი — ch-ს.

ცხადია, საფრანგეთის მხარეში ფრანგულმა ორთოგრაფიამ იქონია გავლენა ბასკურ ანბანზე, ესპანეთის მხარეში კი — ესპანურმა, მაგრამ საერთოდ ამ ორი ნაწილის ბასკურს შორის ორთოგრაფიის მხრივ განსხვავება მინიმალურია.

## VI

გადავიდეთ ბასკური ენის მორფოლოგიური სტრუქტურის დახასიათებებზე და სიტყვათცვალებადობის წესებზე, სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღვლილების საკითხებზე.

ბასკური, ისევე როგორც მსოფლიოს ენათა უმეტესობა, აგლუტინაციური ტიპისაა. სიტყვის ფუძესა და აფიქსებს შორის კავშირი შედარებით სუსტია, სიტყვის შემადგენლობაში გრამატიკული ელემენტები ადვილად გამოიყოფა.

თანამედროვე ბასკურ ენაში სიტყვაწარმოება და სახელთა ბრუნება მხოლოდ სუფიქსაციით ხასიათდება, ზმნის უღვლილებისა და ფორმაცვლილების დროს კი გვხვდება როგორც სუფიქსაცია, ისე პრეფიქსაცია. გარდა ამისა, სიტყვაწარმოების საშუალებად სახელებში ფართოდ არის გამოყენებული სიტყვათშეერთება ანუ კომპოზიცია. შორეულ წარსულში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრეფიქსაცია ბასკურში სახელთა წარმოების დროსაც ყოფილა გამოყენებული. ასე რომ, ძველად პრეფიქსებითა და სუფიქსებით იწარმოებოდა როგორც ზმნა, ისე სახელი. შემდეგ სახელებში პრეფიქსაცია გადავარდა და დარჩა მხოლოდ სუფიქსაცია როგორც სიტყვაწარმოებისა და სიტყ-

ვათცვალებადობის საშუალება, ზმნის სტრუქტურაში კი შენარჩუნებული იქნა ორივე — პრეფიქსული დერივაცია და სუფიქსური. უმთავრესი მეტყველების ნაწილი ბასკურში, ისევე როგორც ესა თა უდიდეს ნაწილში, არის სახელი. არსებითი სახელი (nomen substantivum) და ზედსართავი (nomen adiectivum) ფორმალურად არ გაირჩევა. სახელებში გვაქვს აგრეთვე რიცხვითი სახელი (nomen numerale) და სხვადასხვა სახის ნაცვალსახელი (pronomen). ერთ-ერთ დიდსა და მნიშვნელოვან მეტყველების ნაწილს წარმოადგენს ზმნა (verbum). გარდა ამისა, გვხვდება რამდენიმე უცვლელი მეტყველების ნაწილი, როგორცაა ზმნისართი (adverbium), თანდებული (postpositio), კავშირი (coniunctio) და სხვადასხვა სახის დამხმარე ნაწილაკები.

უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას სახელის მიმოხრის შესახებ. ბასკური ენის სახელთა მიმოხრაში გარჩეულია რამდენიმე კატეგორია. განსაზღვრულობისა და განუსაზღვრელობის კატეგორია აღნიშნავს, რომ არსებითი სახელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს განსაზღვრული ნაწევრით (არტიკლით) ან უნაწევროდ; მაგალითად, gizon („კაცი“, ადამიანი“) განუსაზღვრელი ფორმაა, ის აღნიშნავს ადამიანს, რომლის შესახებაც ჩვენ ჯერ არაფერი ვიცით, gizon-a („კაცი იგი“) კი არტიკლით განსაზღვრული ფორმაა და აღნიშნავს ადამიანს, რომელიც ჩვენთვის უკვე ცნობილია ან ადრე უკვე ნახსენები იყო საუბარში. განსაზღვრული ნაწევარი ბასკურში პოსტპოზიციურია, ისევე როგორც ძველ ქართულში, ასევე თანამედროვე რუმინულ და შვედურ ენებში. არსებითი სახელის განუსაზღვრელი ფორმის გამოსახატავად გამოიყენება აგრეთვე რიცხვითი სახელი bat („ერთი“); მაგალითად, gizon bat („კაცი ერთი“) ნიშნავს ვილაც კაცს, უცნობ ადამიანს, ასეთი ფორმა განსაკუთრებით ხშირია ზღაპრებში.

სახელის განუსაზღვრელ ფორმას თავისი ბრუნვის ნიშნები აქვს, განსაზღვრულ ფორმას — თავისი, ასე რომ განსაზღვრული და განუსაზღვრელი ფორმით წარმოდგენილ სახელთა ბრუნება რამდენადმე სხვადასხვაგვარია, მაგრამ ეს განსხვავება მხოლოდ ბრუნვის ნიშნებს ეხება და ერთი და იმავე ბრუნვის ნიშანთა ვარიაციების ხასიათი აქვს. უფრო თავისებურია არსებითი სახელის ბრუნება, როცა მას დართული აქვს bat რიცხვითი სახელი განუსაზღვრელი ნაწევრის ფუნქციით. ასეთ შემთხვევაში იბრუნვის მხოლოდ რიცხვითი სახელი, არსებითი

სახელი კი უცვლელი რჩება: gizon bat — „კაცი ერთი“ (სახ. ბრ.), gizon bat-en — „კაცისა ერთის“ (ნათ. ბრ.) და ა. შ.

სახელებში გარჩეულია აგრეთვე რიცხვის კატეგორია — მხოლოდობითი და მრავლობითი. მრავლობით რიცხვს აწარმოებს მხოლოდ განსაზღვრული ფორმის მქონე სახელი, განუსაზღვრელ სახელს მრავლობითი რიცხვის ფორმა არ მოეპოვება; მაგალითად: gizon „კაცი“, gizon-a — „კაცი იგი“, gizon-a-k — „კაცნი იგი“. მრავლობით რიცხვს აწარმოებს სუფიქსი k.

ბრუნების სისტემაში გარჩეულია 8 ძირითადი ბრუნვა, რომელთაც ჩამოვთვლით ბასკური ენის გრამატიკაში დამკვიდრებული რიგით, მათი სახელწოდებისათვის კი ვისარგებლებთ ლათინური ტერმინოლოგიით, როგორც ეს მიღებულია ბასკოლოგიურ ლიტერატურაში.

ბრუნვათა შორის პირველია nominativus (სახელობითი), რომლითაც ყოველთვის ვადმოიცემა გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი. ამავე ფუნქციებს ასრულებს, როგორც ცნობილია, სახელობითი ბრუნვა ქართულშიც, ოღონდ აქ სახელობითში დგას გარდამავალი ზმნის სუბიექტიც I სერიაში, პირდაპირი ობიექტი კი ამ დროს მიცემითშია. ნომინატივი ბასკურში უნიშნოა, მას სპეციალური ნიშანი არ მოეპოვება.

ნიმუშისათვის ავიღოთ წინადადება: gizon-a d-a-tza „კაცი წევს“. შევეუდაროთ მას გარდამავალ-ზმნიანი წინადადება: ahizlari-a-k orein-a hiltzen d-u „მონადირე ირემს კლავს“ (სიტყვასიტყვით: „მონადირემ ირემი კლავს“). პირველ წინადადებაში gizon-a („კაცი“) ნაწევრიანი სახელია ნომინატივში და ის წინადადებაში სუბიექტად გვევლინება. მეორე წინადადებაში კი ისეთივე ფორმით წარმოდგენილი orein-a („ირემი“) პირდაპირი ობიექტია; ასე რომ, ნომინატივის ფუნქცია იცვლება. ამის მიზეზია გარდამავალი ზმნა hiltzen d-u („ის მას კლავს“) — რთული ზმნური ფორმა აწმყო დროისა. ahizlari-a-k აგენტის ფორმაა, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით.

Casus agentivus, რომელსაც მეორე ადგილი უკავია ბასკური ენის ბრუნვათა რიგში, მოქმედი სუბიექტის ბრუნვაა, ბადალი ქართული მოთხრობითისა. მისთვის შეიძლებოდა გვეწოდებინა აგრეთვე ergativus. აგენტივი ბასკურში k სუფიქსით იწარმოება. მისი ნიმუშია სწორედ ზემოთ მოყვანილი ahizlari-a-k („მონადირემ“). ერგატიული კონსტრუქცია ბასკურ ენაში წარმოდგენილია კლასიკური სახით: გარდამავალი ზმნის სუბიექტი ყველგან და ყოველთვის აგენტის ფორ-

მით გვევლინება. მსგავსი სურათია, მაგალითად, ჭანურში, ხუნძურ (ავარულ) ენაში და სხვ.

ბასკებს, რომლებიც მეცნიერულად სწავლობდნენ თავის ენას, არასოდეს მიუჩნევიათ ერგატიული კონსტრუქცია პასიურ კონსტრუქციად, არამედ ყოველთვის თვლიდნენ მას აქტიურ ან ნეიტრალურ კონსტრუქციად. საერთოდ, ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ბასკურ ენაში ზმნები არ იყოფა მოქმედებითად და ვნებითად, არ არსებობს ზმნური ოპოზიცია აქტივისა და პასივის მიხედვით.

მართალია, შეიძლება ბასკურ ენაშიც ვაწარმოოთ ზმნური ფორმა, რომელიც პასივის შესატყვისი იქნება, მაგრამ ეს ხდება გარდამავალი მეშველი ზმნის მაგიერ გარდაუვალი მეშველი ზმნის ჩასმით, რაც უახლესი ტენდენციაა, გაჩენილი ინდო-ევროპული ენების გავლენით, და ბასკური ზმნის ისტორიულ თვისებას არ წარმოადგენს. სახელდობრ, გარდამავალ მეშველ-ზმნიანი კონსტრუქცია e-ma-te-n d-u („ის რაღაცას აძლევს, ის რაღაცას იძლევა“) შეიძლება შეიცვალოს გარდაუვალ მეშველ-ზმნიანი კონსტრუქციით: e-ma-te-n d-a („ეს მოცემულია“). ასეთი პასიური კონსტრუქცია ნაკლებ დამახასიათებელია ბასკური ენისათვის და იშვიათად გვხვდება, ძირითადად კი უღლებისას ერთმანეთს უპირისპირდება გარდაუვალი, ინტრანზიტიული და გარდამავალი, ტრანზიტიული ფორმები. ესაა უღლებად ფორმათა დაპირისპირების ძირითადი სახე.

ნომინატივისა და აგენტივის მომდევნო ადგილი უკავია ნათესაობით ბრუნვას, რომელსაც genetivus-ს უწოდებენ. ის იწარმოება -en სუფიქსის მეშვეობით; მაგალითად gizon-a-r-en semea („კაცის შვილი“).

მომდევნო ბრუნვა dativus („მიცემითი“) იწარმოება i სუფიქსით; მაგალითად: har-k gizon-a-r-i diru-a e-ma-n („მან ამ კაცს ფული მისცა“).

შემდეგია casus instrumentalis — მოქმედებითი ბრუნვა, რომელიც -z სუფიქსით ბოლოვდება; მაგალითად: nabarr-a-z („დანით“, nabar — „დანა“).

ამათ მოსდევს allativus — მიმართულებითი ბრუნვა; მაგალითად: hura etxe-r-a(t) d-oa („ის მიდის შინ, სახლისაკენ“). აქ ბრუნვის ნიშნის აღნაგობა ისეთია, რომ -r- საკუთრივ ბრუნვის დაბოლოებას არ ეკუთვნის, ის არის, როგორც გერმანელები უწოდებენ, Hiatusstilger, ე. ი. თანხმოვანი, რომელიც ჩნდება ორ ხმოვანს შორის ჰიატუსის თა-

ვიდან ასაცილებლად. თვით მიმართულებითი ბრუნვის ნიშანს კი ორი ფაკულტატური ფორმა აქვს: -a და -at. ამათგან უფრო გრძელი ფორმა (-at) ბასკური ენის ბრუნების პარადიგმებში ჩვეულებრივ ფრჩხილებში არის ხოლმე მოქცეული ნიშნად იმისა, რომ ის თუმცა შესაძლებელი, მაგრამ არასავალდებულო ფორმაა.

შემდეგი ბრუნვაა locativus — ადგილობითი ბრუნვა, რომელიც -n ბოლოსართით გადმოიცემა: hura etxe-a-n d-a-gio („ის სახლში არის“).

დაბოლოს, ამ ლოკალურ ბრუნვათა ჯგუფს, რომელიც სივრცობრივ მიმართებებს გამოხატავს, მიეკუთვნება აგრეთვე separativus, ანუ როგორც ზოგი ავტორი უწოდებს, elativus — გამოსვლითი ბრუნვა. მისი ნიშანია — tik სუფიქსი. მაგალითად: hura etxe-tik ateratze-n d-a („ის სახლიდან გამოდის“).

ამ რვა ძირითადი ბრუნვის გარდა არის კიდევ ორი ბრუნვა, რომლებიც, მართალია, შეაქვთ ბრუნების პარადიგმებში, მაგრამ წარმოშობით უთუოდ სხვა ფორმებია და არა ბრუნვები. ასეთია ე. წ. genitivus secundus — მეორე ნათესაობითი ბრუნვა, რომელიც იწარმოება -ko სუფიქსით და გვხვდება მხოლოდ უსულო საგანთა აღმნიშვნელ სახელებთან, ადამიანის აღმნიშვნელი არსებითი სახელებისაგან კი ის ნათესაობითს არ აწარმოებს. როგორც ჩანს, ის ზედსართავი სახელის ფორმებისაგან უნდა იყოს წარმოშობილი. მაგალითად, ბასკურად ქალაქ რომს ეწოდება Erroma, ხოლო რომაელს — erromako. აქ აშკარად ჩანს ამ ფორმის ადიექტიური წარმომავლობა.

მეორე ნათესაობითი წინადადებაში ჩვეულებრივ გვევლინება როგორც რომელიმე ადგილიდან წარმომავლობის ან რაიმე უსულო საგნისადმი კუთვნილების აღმნიშვნელი განსაზღვრება. მაგალითად, Baiona-ko erakustoki-a („ბაიონის მუზეუმი“) — ასე ეწოდება ბასკური კულტურის ცნობილ ცენტრს საფრანგეთის ქალაქ ბაიონში. ბასკური ტრადიციული ოჯახის უფროსს, ტიპობრივი ბასკური ფერმის მეთაურს უწოდებენ etxe-ko jaun-a („სახლის უფალი“, „სახლის ბატონი“, ძველი ქართულით რომ ვთქვათ, „მამასახლისი“). სოფლის ოჯახის უფროს დიასახლისს ჰქვია etxe-ko andre-a („ოჯახის დიასახლისი, ქალბატონი“).

ბრუნვებს ამ სიტყვის ფართო გაგებით მიეკუთვნება კიდევ ერთი ბრუნვა — casus partitivus, რომელიც გამოიყენება მთელიდან რაღაც ნაწილის გამოყოფის აღსანიშნავად. მისი ნიშანია სუფიქსი -ik. მაგალითად, წინადადებაში har-k ez-d-u diru-r-ik („მას არა აქვს ფუ-

ლი“) diru-r-ik სიტყვასიტყვით ნიშნავს „ნაწილს ფულიდან“) -r- აქაც ხმოვანთგასაყარად გვევლინება), ez-d-u — „არა აქვს“. ეს თავისებური სიტყვის საქცევი ფრანგული ენის ცნობილ სინტაქსურ კონსტრუქციას მოგვაგონებს, მაგრამ მაინც ძნელია, რომ პარტიტივის ასეთი გამოყენება ბასკურში ფრანგული ენის გავლენას მივაწეროთ, რადგან ის გვხვდება ძველ ბასკურ ტექსტებში, დაწყებული XVI საუკუნიდან.

მრავლობით რიცხვში არსებითი სახელის ბრუნება განსაზღვრულ ფორმაში ასე წარმოგვიდგება: რომ ავიღოთ ნიმუშისათვის ისევ სახელი gizon-a („კაცი“), მრავლობით რიცხვში მისი ნომინატივია gizon-a-k, აგენტივი — gizon-e-k, გენეტივი — gizon-en, დატივი — gizon-ei, ინსტრუმენტალისი — gizon-ez, ალატივი — gizon-eta-r-a, ლოკატივი — gizon-eta-n და სეპარატივი — gizon-eta-rik. უკანასკნელ სამ ბრუნვაში (ლოკალურ ბრუნვებში) სახელის ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ჩართულია მორფემა -eta.

ახლა მოვიყვანოთ სრული პარადიგმა gizon („კაცი“) არსებითი სახელის ბრუნებისა განსაზღვრულ ფორმაში:

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
ნომინატივი	gizon-a	gizon-a-k
აგენტივი	gizon-a-k	gizon-ek
გენეტივი	gizon-ar-en	gizon-en
დატივი	gizon-ar-i	gizon-ei
ინსტრუმენტალისი	gizon-a-z	gizon-ez
ალატივი	gizon-e-r-a (t)	gizon-eta-r-a (t)
ლოკატივი	gizon-a-n	gizon-eta-n
სეპარატივი	gizon-e-tik	gizon-eta-rik
გენეტივი II	[Baiona-ko „ბაიონური“, „ბაიონისა“]	[mendi-eta-ko „მთებისა“]

\* \* \*

კომიტატივი	gizon-ar-e-kin	gizon-e-kin
------------	----------------	-------------

მე წარმოვადგინე ბასკური ენის არსებითი სახელის ბრუნების პარადიგმა განსაზღვრულ ფორმაში იმიტომ, რომ მხოლოდ განსაზღვრულ სახელს მოეპოვება ორივე რიცხვი — მხოლოდითი და მრავლობითი. რაც შეეხება არსებითი სახელის ბრუნებას განუსაზღვრელ ფორმაში, ბუნებრივია, ამავე ბრუნებას მიეკუთვნება ყველა საკუთარი სახელიც, როგორც ეს იყო ძველ ქართულ ენაში.

როცა ვეცნობით არსებით სახელთა ბრუნების პარადიგმას განუსაზღვრელ ფორმაში, მაშინ უკეთ ვხედავთ, როგორია ბრუნვის დაბოლოებათა სტრუქტურა, რადგან დაბოლოება აქ უშუალოდ წარმოგვიდგება არსებითი სახელის ფუძის შემდეგ, მაშინ როცა განსაზღვრულ ფორმაში ბრუნებისას არსებითი სახელის ფუძესა და ბრუნვის დაბოლოებას შორის ჩართულია განსაზღვრებითი ნაწევარი, რომელიც წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელია.

ვაბრუნოთ საკუთარი სახელი Joanes („იოანე“) და მის მაგალითზე ვნახოთ როგორ იბრუნვის ბასკურში განუსაზღვრელი ფორმის არსებითი სახელი:

ნომინატივი	Joanes
აგენტივი	Joanes-ek
გენეტივი	Joanes-en
დატივი	Joanes-i
ინსტრუმენტალისი	Joanes-ez
ალატივი	Joanes-e-r-a (t)
ლოკატივი	Joanes-en
სეპარატივი	Joanes-e-tik
გენეტივი II	[Sara-ko „შარული“, ქალაქ შარას კუთვნილი]
პარტიტივი	[gizon-ik „კაცი“]

პარტიტივის ეს ფორმა განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება როგორც პირდაპირი დამატება უკუთქმითს წინადადებაში.

გარდა ორგანული ბრუნვებისა, ბასკურ ენაში არსებობს აგრეთვე თანდებულიანი ბრუნვები, რომელთა ფორმებიც მიღებულია ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის შერწყმის შედეგად, ისევე როგორც თანამედროვე ქართულშია, მაგალითად, სახლში, სახლიდან და სხვ. ასე-



თია ბასკურში, სახელდობრ, comitativus — ბრუნვა, რომელიც გამო-  
ხატავს არსებითი სახელის კავშირს სხვა სახელთან. იგი იწარმოება  
-kin სუფიქსით, მაგალითად: gizon-e-kin („კაცთან ერთად“). ბევრა  
ბასკოლოგი ამ ბრუნვას ძირითად ბრუნვად მიიჩნევს და ბრუნვათა  
რიგში მეცხრე ადგილს მიაკუთვნებს, მაგრამ როგორც ბასკური ბრუ-  
ნების ისტორიკოსებმა გამოარკვეეს, ეს ფორმა მიღებულია სახელის  
ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე -kin თანდებულის დართვით: \*gi-  
zon-en-kin > gizon-e-kin. n-ს ამოვარდნის შედეგად გენეტივის გაგე-  
ზა დაეკარგა და არსებითად ახალი ბრუნვის ფორმა ჩამოყალიბდა.

არსებობს ასეთივე წარმოშობის სხვა თანდებულიანი ფორმებიც,  
სადაც გენეტივის ნიშანი ჯერ კიდევ კარგად ჩანს. მაგალითად, როცა  
ამბობენ „ის მიდის მისკენ“, მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი  
hura („ის“) წარმოგვიდგება შემდეგი ფორმით: har-en-gan-a. სადაც  
har-en გენეტივია, -gan — მიმართულების გამოხატველი თანდებული,  
რომელსაც დამატებით დართული აქვს კიდევ ბრუნვის დაბოლოება -a  
რისკენმე მიმართულების გადმოსაცემად. ისტორიულად gan ბასკურ  
ენაში აღნიშნავდა „ადგილს“, ხოლო har-en-gan-a ნიშნავდა „მისი  
ადგილისაკენ“, ე. ი. „მისკენ“. როცა უნდათ თქვან, რომ ის მოდის  
მისგან, იტყვიან: har-en-gan-ik, სადაც -ik შემოკლებული სახეა სე-  
პარატივის დაბოლოებისა: -tik > ik. har-en-tzat ნიშნავს „მისთვის“.  
აქაც თანდებულიანი გენეტივი გვაქვს.

სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით ბასკურ ენაში აღსანიშნავია  
აგრეთვე, რომ როცა არსებით სახელს მოსდევს მსაზღვრელად ზედ-  
სართავი სახელი ან ნაცვალსახელი, ორივე ცალ-ცალკე კი არ დაირ-  
თავს ბრუნვის ნიშნებს, არამედ იბრუნვის ერთად, როგორც ერთობ-  
ლივი სინტაგმა. მაგალითად: etxe-a („სახლი იგი“), ხოლო etxe berri-a  
(„სახლი ახალი იგი“, ძველი ქართულით რომ ვთქვათ, „სახლი იგი  
ახალი“), ე. ი. განსაზღვრული ნაწევარი ცალ-ცალკე კი არ ერთვის  
თვითეულ სიტყვას, არამედ ერთვის მთლიანად არსებითი სახელისა და  
ზედსართავის ჯგუფს (მსაზღვრელ-საზღვრულს). ასევე: etxe handi  
bat-en („იმ დიდი სახლის“, ძველი ქართულით: „სახლისა მის დიდი-  
სა“). ასეთი ტიპის ბრუნება დამახასიათებელია ჭანურისათვის, სადაც  
არსებითი პლუს ზედსართავი სახელი ისე იბრუნვის, რომ ბრუნვის  
დაბოლოებებს მხოლოდ მეორე წევრი იღებს.

თუ სურთ ზუსტად განსაზღვრონ ვინმეს ან რაიმეს ადგილსამყო-  
ფელი სივრცეში, ზემოხსენებულ თანდებულიან ბრუნვათა გარდა ბას-



კები იყენებენ აგრეთვე არსებითი სახელის გენეტივის ფორმასთან დაკავშირებით, რომელიც თავის მხრივ ლოკატივში დასმული სახელია. ვთქვათ, „სახლში“ ბასკურად ასე გადმოიცემა: etxe-ar-en bar-ne-a-n, ე. ი. „სახლის შიგნით“, ძველი ქართულით რომ ვთქვათ, „სახლსა შინა“. ეს ძველი ქართული ფორმა თავისი სტრუქტურით საკმაოდ ახლოს დგას ბასკურთან და უკეთ შეესაბამება მას, ვიდრე თანამედროვე ქართული „სახლში“. ასევე etxe-ar-en aintzine-a-n ნიშნავს „სახლის წინ“, ხოლო ცალკე აღებული aintzina ნიშნავს სახლის წინა ნაწილს, წინკარს; etxe-ar-en gibeles-a-n ნიშნავს „სახლის უკან“, სიტყვასიტყვით — „სახლის ზურგს უკან“ (ცალკე gibel ნიშნავს „ზურგს“). თუ სურს თქვას „მთაზე“, ბასკი ამბობს „მთის თავზე“ — mendi-ar-en gaine-a-n; როცა სურს თქვას „ხის ქვეშ“, — ამბობს: „ხის ძირში“ — arbol-ar-en azpi-a-n (azpi — „ის, რაც ქვემოთაა“); iturri-ar-en ondo-a-n — „წყაროსთან, წყაროს მახლობლად“ და ასე სხვანი.

აი, დაახლოებით ყველაფერი ის, რაც უნდა გვეთქვა ბრუნების პროცესის შესახებ ბასკურ ენაში.

## VII

ახლა რამდენიმე სიტყვით შევხვით ნაცვალსახელებს (pronomina), სახელდობრ, განვიხილოთ პირის ნაცვალსახელები (pronomina personalia), კუთვნილებითი ნაცვალსახელები (pronomina possessiva), ჩვენებითი ნაცვალსახელები (pronomina demonstrativa). დავიწყოთ პირის ნაცვალსახელებით.

პირველი პირის ნაცვალსახელია ni („მე“). მას მოეპოვება შემდეგი ფორმები:

- N. ni
- A. ni-k
- G. ni-r-e

გენეტივის ფორმა ასრულებს კუთვნილებითი ნაცვალსახელის როლს. ასე რომ, კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩემი“ გადმოიცემა ორი ფორმით: ene და nire. nire — ესაა გენეტივი ni პირის ნაცვალსახელისა, რომელსაც ერთვის en სუფიქსი, ფუძესა და სუფიქსს შორის კი ჩნდება ჰიატუს ტილგერი r თანხმოვნის სახით, აღრინდელ ფორ-

მად სავარაუდებელია \*ni-en—ni-r-en, შემდეგ კი ბოლოკიდური **n** დაკარგულა.

მეორე პირის ნაცვალსახელია hi („შენ“). თავკიდური ლარინგალური **h** დაცულია საფრანგეთის ბასკურ დიალექტებში, ესპანეთის ბასკურში კი, მაგალითად, გიპუსკოურსა და ბისკაიურში, ეს **h** უკვე გამჭრალია და hi გამოითქმის როგორც მხოლოდ i. ის იბრუნება პირველი პირის ნაცვალსახელის მსგავსად:

N. hi  
A. hi-k  
G. hi-r-e

hire წარმოადგენს აგრეთვე კუთვნილებით ნაცვალსახელს — „შენი“. მისი აგებულება ისეთივეა, როგორც პირველი პირის ნაცვალსახელისა.

მესამე პირის ნაცვალსახელი იგივე ჩვენებითი ნაცვალსახელია: hura („ის“). მას უკვე ძირითადად ყველა ბრუნვის ფორმა მოეპოვება, ოღონდ ირიბ ბრუნვებში ფუძე ეცვლება:

N. hura  
A. har-k  
G. har-en  
D. har-i  
I. har-ta-z  
Al. har-ta-r-a  
L. har-ta-n  
S. har-ta-tik

თუ ამ ბრუნების პარადიგმას დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ სწორედ ეს ნაცვალსახელი არის გამოყენებული განსაზღვრულ ნაწევრად. განსაზღვრულ არსებით სახელთა ბრუნებისას სახელის ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ჩნდება -r- ელემენტი, რომელიც წარმოშობით მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუძის დაბოლოებას წარმოადგენს (შეადარეთ, მაგალითად: gizon-a, gizon-a-k, gizon-ar-en, gizon-ar-i და hura, har-k, har-en, har-i და ა. შ.).

მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი ბასკურად ასე ელერს: gu („ჩვენ“). შესაძლოა, თავდაპირველად იყო ku და არა



gu, რადგან ძველად ბასკურ ენაში არსებობდა ძლიერი ტენდენცია ყრუ ხშულ თანხმოვანთა გამჟღერებისა სიტყვის თავში. ამის მაგალითად გამოდგება ჩემ მიერ მოხმობილი ძველი ლათინური ნასესხობანი ბასკურში. ლათინური სიტყვა paks („მშვიდობა“) აკუზატივშია pakem (სწორედ ამ ფორმით შევიდა იგი ხალხურ ლათინურში), ბასკურში კი ის ასე უღერს: bake, საიდანაც ჩანს, რომ ლათინურის ყრუ ხშული p სიტყვის თავში ბასკურში მჟღერ ხ-დ იქცა. ლათინური tempus („დრო“), მრ. რ.: tempora — ბასკურშია denbora. აქაც თავკიდური ყრუ თანხმოვანი გამჟღერებულია. ამ ფონეტიკური კანონზომიერების დამახსოვრება საერთოდ სასურველია ბასკურში ეტიმოლოგიური კვლევა-ძიებისათვის, რადგან მჟღერი თანხმოვნები ბასკურ ძირთა ანლაუტში ხშირად შესაძლოა ყრუ თანხმოვნებისაგან იყოს მიღებული. დავუბრუნდეთ ისევ gu ნაცვალსახელს, რომელიც ასე იბრუნვის:

N. gu

A. gu-k

G. gu-r-e

gure ასრულებს კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუნქციას („ჩვენი“).

მეორე პირის ნაცვალსახელად მრავლობით რიცხვში ძველ ბასკურ ენაში უნდა გვექონოდა zu, რომელიც ასე იბრუნვის:

N. zu

A. zu-k

G. zu-r-e

zura გრძელად კუთვნილებითი ნაცვალსახელია („თქვენი“). zu იხმარებოდა, როგორც ჩანს, მეორე პირის ნაცვალსახელად მრავლობით რიცხვში და ამავე დროს ზრდილობიანი მიმართვის ფორმადაც მხოლოდ რიცხვში. დროთა განმავლობაში მას დაუკარგავს ძირითადი მნიშვნელობა და შეუწარჩუნებია მხოლოდ ზრდილობიანი მიმართვის გაგება. ამჟამად zu იხმარება საპატიო პიროვნებისადმი მიმართვის დროს, ნიშნად პატივისცემისა. რაკი ბასკურ ენაში გაჩნდა ზრდილობიანი მიმართვისა და გრამატიკული მრავლობითის ფორმათა გამოიყენეს ტენდენცია, რაც უთუოდ ბოლო საუკუნეების ამბავია,

ზრდილობიანი მიმართვის ფორმის (zu) გვერდით ბასკებმა წარმოქმნეს ახალი ფორმა გრამატიკული მრავლობითისა zu-ek („თქვენ“). ამ უკანასკნელს მოეპოვება აგრეთვე გენეტივის ფორმა: zu-en („თქვენი“).

მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოსახატავად მხოლოდით რიცხვში იხმარება ფორმა, რომელიც ემყარება არა har ფუძეს, არამედ სხვას. სახელდობრ, ეს ფუძეა be, რომლისგანაც მიღებულია ფორმები: მხოლოდით რიცხვში be-r-e („მისი“) და მრავლობითში be-r-en („მათი“).

რაც შეეხება მესამე პირის ნაცვალსახელს მრავლობით რიცხვში, ის ნაწარმოებია hura-საგან და ნომინატივშია haik („ისინი“), აგენტის რიცხვში კი — haiek (ისინი, რომლებიც ასრულებენ გარდამავალ მოქმედებას), გენეტივში — haien („მათი“). ერთი სიტყვით, hai ფუძისაგან მრავლობითში ყველა ბრუნვის ფორმა ნორმალურად იწარმოება ბრუნვის ნიშნების დართვით.

ბასკურ ენაში გარჩეულია ჩვენებით ნაცვალსახელთა სამი რიგი იმის მიხედვით, თუ სად იმყოფება ის პირიან საგანი, რომელზეც უთითებენ. ასე, მაგალითად, თუ მე ვლაპარაკობ წიგნზე, რომელიც ხელთა მაქვს, ვიტყვი: liburu hau („ეს წიგნი“), სადაც hau ზუსტად შეესატყვისება ქართულ „ეს“ ნაცვალსახელს. ხოლო თუ მე ვახსენებ წიგნს, რომელიც ჩემს მოსაუბრეს უკავია ხელში, მაშინ გამოვიყენებ hori („ეგ“) ნაცვალსახელს: liburu hori („ეგ წიგნი“). როცა საუბარია წიგნზე, რომელიც აქვს მოუბართაგან შორს მყოფ პირს, მესამე პირს, მაშინ იტყვიან: liburu hura („ის წიგნი“). ასე რომ hura მნიშვნელობით იგივეა, რაც მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი „ის“ ქართულში. ამრიგად, ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემა ბასკურში ისეთივეა, როგორც ქართულში.

ჩვენებითი ნაცვალსახელები hau, hori და hura ირიბ ბრუნვებში ფუძეს იცვლიან: hau-ს ირიბ ბრუნვებში ენაცვლება hon, რომელსაც დაერთვის სათანადო ბრუნვის ნიშნები, ასევე hori-ს ენაცვლება hor ბოლოში მაგარი r თანხმოვნით, hura-ს ნაცვლად კი ირიბ ბრუნვებში გვაქვს har, როგორც ეს უკვე ვნახეთ ზემოთ პირის ნაცვალსახელთა ბრუნვის დროს მესამე პირის ნაცვალსახელის ბრუნვის პარადიგმაში.

ბასკური ენის ნაცვალსახელურ მასალაში, კავკასიურ ენებთან მათი შედარებისას, მკვლევარნი გარკვეულ ბევრით შესატყვისობებს

პოულობენ. მაგალითად, ni და hi ჯერჯერობით კიდევ არ არის გარკვეულად დაკავშირებული კავკასიურ ენათა მასალასთან, მაგრამ პირთა ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვში უკვე რეგულარულ შესატყვისობას გვიჩვენებს იბერიულ-კავკასიურ ენათა მთელ მასალაში. სახელდობრ, ბასკური gu (<\*ku) შესატყვისება ქართულ ჩვენა ნაცვალსახელს, სადაც ძირია ჩტე, მიღებული-უფრო ძველი \*ქტე ძირისაგან თავკიდური თანხმოვნის აფრიკატიზაციის შედეგად. ძნელი სათქმელია, ზუსტად რომელი თანხმოვანი იღგა აქ სიტყვის თავში, მაგრამ უეჭველია, რომ ეს უნდა ყოფილიყო უკანა წარმოების თანხმოვანი და არა აფრიკატი.

თუ ავიღებთ ბასკურ მეორე პირის ნაცვალსახელს მრავლობით რიცხვში za („თქვენ“), ის აგრეთვე სავსებით გარკვეულ ბგერით შესატყვისობას გვიჩვენებს კავკასიურ ენათა მასალასთან. მე მას ვუდარებ ქართულ თქვენ ნაცვალსახელს, რომლის ძველი სახეა თქტენა, სადაც ნა ნაცვალსახელური სუფიქსია, ძირი კი არის თქტე. თუ კიდევ უფრო ღრმად შევიჭრებით წარსულში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქდეცესიური რიგის ჰარმონიულ კომპლექსში განვითარებული ბგერაა, ხოლო ძირი აღდგება \*თუა ან \*თუე სახით; ეს ფორმა კარგულარულ ბგერათშესატყვისობას გვიჩვენებს ბასკურთან: ქართულისა და საერთოდ ქართველურ ენათა ფშვინვიერი თ ბასკურში მონათესავე ძირებში შესატყვისად გვიჩვენებს s სიბილანტს. მე ვიპოვე ამ შესატყვისობის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი. ბასკური sa მომდინარეობს \*ca-საგან, ეს უკანასკნელი კი \*tu-საგან, სადაც ჩანს კვალი ამ ნაცვალსახელისათვის დამახასიათებელი პირველადი ლაბიალიზაციისა.

ახლა განვიხილოთ კითხვითი ნაცვალსახელები, როგორცაა nor („ვინ“), zer („რა“). კითხვა nor? დაესმის მხოლოდ ადამიანთა სემანტიკური კატეგორიის სახელებს, კითხვა zer? დაესმის ყველა დანარჩენ არსებით სახელს, მათ შორის ცხოველებსაც. ასე რომ, ამ კითხვითი ნაცვალსახელების ფუნქცია ზუსტად ისეთივეა, როგორც ვინ და რა ნაცვალსახელებისა ქართულში და თითქოს ადამიანისა და ნივთის გრამატიკულ კლასთა დიქოტომიას ასახავს.

თუ გავაკეთებთ მცირე ექსკურსს კითხვით ნაცვალსახელთა ეტიმოლოგიის სფეროში, უნდა შევნიშნოთ, რომ zer („რა“) ნაცვალსახელის ძირეულ ნაწილს წარმოადგენს ze, -r კი გაქვევებული სუფიქსია. ბასკური ze ძირი შესატყვისებს პოვებს ქართველურ ენებში. სახელ-

დობრ, ქართული რა, იშვიათი ნიმუში როტაციზმისა სიტყვის თავში, მომდინარეობს უფრო ძველი \*სა კითხვითი ნაცვალსახელისაგან (შე-  
დარეთ სა-დ, სა-ით).

ნონ? ბასკურად ნიშნავს „სად?“ წარმოშობით ის ლოკატივის ფორ-  
მაა: ნი-ნი („სად, ვისთან, რომელ ადამიანთან“); ნორატ? — „საითკენ,  
ვისკენ?“ ნონდიკ? — „საიდან, ვისგან?“ (სეპარატივის ფორმა).

\* \* \*

ორიოდე სიტყვა ბასკური ენის რიცხვითი სახელების შესახებ. მარტივი და უმთავრესი რაოდენობითი რიცხვითი სახელები (cardinalia) ბასკურ ენაში ასე ეწერს: 1 — bat, 2 — bi, 3 — hiru, 4 — lau, 5 — bost (მისი დიალექტური ვარიანტია აგრეთვე bortz), 6 — sei, 7 — zazpi, 8 — zortzi, 9 — bederatzi, 10 — hamar.

შემდეგ მოდის უკვე ამ მარტივთაგან ნაწარმოები რთული რიცხვი-  
თი სახელები. სახელდობრ, 11 — hamaika მიღებულია „ათის“ აღმ-  
ნიშვნელ რიცხვით სახელზე ika-ს დართვით. აშკარაა, რომ ეს ika  
მნიშვნელობით იგივე „ერთია“, ლექსიკური სინონიმი bat („ერთი“)  
რიცხვითი სახელისა. ასე რომ, მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს „ერთის“  
აღმნიშვნელ რომელიღაც ძველ, გაქვავებულ ფუძესთან.

„ათისა“ და „ორის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელთა ჩვეულებრივი  
შეერთებით არის მიღებული hamabi — 12. ასევე იწარმოება მომდევ-  
ნო რიცხვითი სახელებიც.

„ოცი“ ბასკურად არის hogei, „ოცდაათი“ — hogei ta hamar  
(„ოცი და ათი“). აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბასკურში, ისევე როგორც  
ქართველურსა და მთელ რიგ კავკასიურ ენებში, თვლა ოცობითია და  
არა ინდო-ევროპულ ენათა მსგავსი — ათობით.

40 — berrogei სტრუქტურულად იგივეა, რაც „ორჯერ ოცი“. შემ-  
დეგ ათეულთა სახელები ასე გრძელდება: berrogei ta hamar („ორ-  
მოცი და ათი“), hirurogei („სამჯერ ოცი“), hirurogei ta hamar  
(„სამოცი და ათი“), laurogei („ოთხჯერ ოცი“), laurogei ta hamar  
(„ოთხმოცი და ათი“), ehun („ასი“). ეს რიცხვითი სახელი, ზოგი  
ენათმეცნიერის აზრით, ნასესხებია გერმანიკული ენებიდან, მაგრამ  
ეს მოსაზრება ჭერჯერობით საბოლოოდ დამტკიცებული არაა.

უდავოდ რომანული ენებიდან არის ნასესხები „ათასის“ აღმნიშვნე-  
ლი რიცხვითი სახელი — mila. ასე რომ, როგორც ჩანს, ძველი ბას-  
კები დიდ რიცხვებს არ იყენებდნენ.

რიგობითი რიცხვითი სახელები (ordinalia), გარდა „პირველისა“ — lehen ბასკურში ნაწარმოებია რაოდენობით რიცხვით სახელზე garren სუფიქსის დართვით; მაგალითად: bigarren („მეორე“), hirugarren („მესამე“) და ა. შ.

### VIII

გადავდივართ ზმნის კატეგორიების განხილვაზე. ზმნური ძირები ბასკურ ენაში, ჩვეულებრივ, ერთმარცველოვანია; მაგალითად: გო „ყოფნა, დარჩენა“, bil „სიარული“, tor „მოსვლა“, kuჭ „დანახვა“. ხმოვანი პრეფიქსით გავრცობილი სახით (radicalis); მაგალითად: e-kar ხმოვანი პრეფიქსით გავრცობილი სახით (radicalis); მაგალითად: e-kar „წაღება“, i-bil „სვლა“. უღლებისას ზოგ შემთხვევაში, — მაგალითად, ბრძანებითში, — გამოიყენება ეს გავრცობილი ფუძე, ამის გვერდით კი პარადიგმებში გვხვდება ისეთი ფორმებიც, სადაც radicalis წარმოდგენილია წმინდა ფუძის სახით; მაგალითად, har „აღება“.

radicalis ფორმისაგან -te სუფიქსის დართვით იწარმოება substantivum verbale ანუ მასდარი; მაგალითად: e-kar-te-a „(მი)ტანა“, „несение“ (ბოლო a განსაზღვრული ნაწევარია). i-bil („სვლა“) ფუძისაგან იწარმოება მასდარი i-bil-tze-a, სადაც tze ფონეტიკური ვარიანტია მასდარის მაწარმოებელი -te სუფიქსისა. har („აღება“)-საგან მასდარია har-tu-a, სადაც მასდარული სუფიქსი tu-ს სახით წარმოვდივება.

radicalis-ისაგან იწარმოება, გარდა მასდარისა, პარტიციპიუმი ანუ მიმღეობა, რომელიც გამოიყენება წარსული დროის გადმოსაცემად; მაგალითად, ekarri „მოტანილი“ (აქ მიმღეობა ნაწარმოებია e-პრეფიქსით და -i სუფიქსით), ibili „წასული“ (მაწარმოებელია i-პრეფიქსი და -i სუფიქსი), hartu „აღებული“ (ნაწარმოები -tu სუფიქსით).

e- და i-ძველი, საკუთრივ ბასკური ზმნური პრეფიქსებია, — სუფიქსი კი მიმღეობის ფორმებში ბასკურს ნასესხები აქვს რომანული ენებიდან, შესაძლოა — ლათინურიდან. ამგვარი წარმოების მოდელისათვის შეიძლებოდა ნიმუშად ქცეულიყო ისეთი ლათინური ფორმები, როგორიცაა lauda-tu-s „ქებული“, ama-tu-s „საყვარელი“ (любимый) და სხვ. რომანულ ენებთან მრავალსაუკუნოვანმა მეზობლობამ განაპირობა არამართო მრავალი სიტყვის სესხება, არამედ ზოგჯერ გრამატიკული მორფემების შექრაც ამ ენებიდან ბასკურში.

ამრიგად, ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები სახელადი ფორმები ბასკურში სულ სამი სახისაა: radicalis, substantivum verbale და participium.

ბასკურს ნამდვილი ვნებითის ფორმები არ გააჩნია, ამიტომ ჩვენ საუბარი გვექნება participium perfecti-ს შესახებ, თუ გვსურს ეს ლათინური ტერმინი გამოვიყენოთ. ესაა მიმღეობა, რომელიც აღნიშნავს წარსულის დასრულებულ მოქმედებას, მოქმედების შედეგს, განურჩევლად იმისა, გარდამავალია ეს მოქმედება (ekarri „მოტანილი“) თუ გარდაუვალი (ibili „წასული“).

საერთოდ ბასკური ზმნის ფორმები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: verba intransitiva — გარდაუვალი ზმნები და vebra transitiva — გარდამავალი ზმნები. ამ ძირითადი კატეგორიის მიხედვით დაპირისპირება (დიქტომია) ასახულია მიმღეობაშიც, სადაც გარჩეულია წარსულში შესრულებული გარდამავალი და გარდაუვალი მოქმედება. ასე, მაგალითად, ibili სულ სხვა მნიშვნელობას ატარებს, ვიდრე ekarri: ibili naiz „მე წასული ვიყავი“, ხოლო ekarri dut „მე მოტანილი მაქვს“. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი, როცა შევეჩებებით პერიფრასტულ უღვლილებას ბასკურში, მაგრამ მანამდე კი პირველ ყოვლისა მინდა გაგაცნოთ სინთეზური ფორმები, რადგან ბასკური ზმნის უღვლილების არსს ისინი უკეთ გამოხატავენ.

თანამედროვე ბასკურ ენაში 20-მდე ზმნას მოეპოვება უღვლილების საკუთარი, ორგანული ფორმები, ე. წ. სინთეზური ფორმები. მათგან ზოგი ზმნა გარდაუვალია, ზოგი — გარდამავალი. ზმნათა აბსოლუტური უმეტესობა ბასკურში ამჟამად პერიფრასტული უღვლილების სისტემას მისდევს, სადაც ზმნა წარმოდგენილია სახელადი ფორმით ანუ მასდარისა ან მიმღეობის პერფექტული ფორმით, რომელსაც თან ახლავს მეშველი ზმნა და იუღლება ეს უკანასკნელი.

აქ ერთი პრაქტიკული ხასიათის შენიშვნა უნდა გავაკეთოთ. ბასკური ენის ლექსიკონებში ზმნის ძირითად ლექსიკურ ფორმად ყოველთვის წარმოდგენილია მიმღეობა, რათა მკითხველმა იცოდეს, რით მთავრდება მისი ფუძე (-e, -i თუ -tu სუფიქსით). ფუძის დაბოლოების მიხედვით მიმღეობის ნებისმიერი ფორმა შეიძლება მივიკუთვნოთ ზემოხსენებული სამი ტიპიდან რომელიმეს.

ახლა გავეცნოთ ორგანული უღვლილების ნიმუშს, რისთვისაც ვა-

ულლოთ ზმნა e-გო-n „ყოფნა, დარჩენა“. აწმყოს მხოლობით რიცხვში  
ის ასე წარმოგვიდგება:

I ni n-a-გო „მე ვარ, ვრჩები“

II hi h-a-გო „შენ ხარ, რჩები“

III hura d-a-გო „ის არის, რჩება“

პრეფიქსი n- მიუთითებს გარდაუვალი ზმნის პირველ სუბიექტურ პირზე (მხოლობით რიცხვში), h- მიუთითებს მეორე სუბიექტურ პირზე, d- კი — მესამე სუბიექტურ პირზე. აქ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ პირველი და მეორე პირის პრეფიქსებად შესაბამისი პირის ნაცვალსახელის ძირეული ელემენტი წარმოგვიდგება: პრეფიქსი n- იმეორებს ni („მე“) ნაცვალსახელის თანხმოვნით ელემენტს, h- ასევე იმეორებს hi („შენ“) ნაცვალსახელის თანხმოვანს. მესამე პირის ნაცვალსახელისა და ზმნური პრეფიქსის აღნაგობა და ურთიერთმიმართება კი სხვაგვარია: გარდაუვალ ზმნაში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად წარმოდგენილი d- პრეფიქსი, ცხადია, ეტიმოლოგიურად hura („ის“) ნაცვალსახელს ვერ დაუკავშირდება, აქ სხვადასხვა მასალაა გამოყენებული.

ამრიგად, ბასკურ ენაში ზმნის პირის ნიშნებსა და პირის ნაცვალსახელებს შორის კავშირი პირველი და მეორე პირის მიხედვით თვალსაჩინო და უეჭველია, მესამე პირის ფორმა კი ამ მხრივ როგორღაც ცალკე დგას და დამატებით ძიებას მოითხოვს. არც ბასკურ დიალექტებში და არც სალიტერატურო ძეგლებში, უძველესი ტექსტების ჩათვლით, არსად არაა დადასტურებული მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი, რომელიც d თანხმოვნით იწყებოდეს. ეს ფაქტი ბასკური ენის ჰიპოთეზისტებისათვის, თუ ისინი მხოლოდ ამ ენას იკვლევენ, ძნელი ასახსნელია, მაგრამ ვინც ბასკური ენისა და იბერიულ-კავკასიურ ენათა ფაქტებს უდარებს ერთმანეთს. მათ შეუნიშნავი არ დარჩენიათ, რომ ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაშიც, სადაც ზმნის კლასოვანი უღვლილების ბაზაზე პიროვანი უღვლილება ჩამოყალიბდა, პირის ნიშნები, როგორც წესი, პირველსა და მეორე პირებს უფრო ადრე გაუჩნდათ, მესამე პირი კი ამ მხრივ როგორღაც ჩამორჩება.

გარდამავალი ზმნის უღვლილებისას ჩვენ ვნახავთ, რომ პირველი და მეორე სუბიექტური პირი ბასკურ ზმნაში სუფიქსებით აღინიშნება, მესამე სუბიექტური პირი კი საერთოდ არ არის რაიმე ნიშნით გამოხატული. ასე რომ, გარდაუვალ ზმნებშიცა და გარდამავლებშიც მესამე



პირის გამოხატვის მხრივ სიტუაცია სხვაგვარია, ვიდრე პირველი და მეორე პირის გამოხატვის მხრივ.

ბასკური ენისა და იბერიულ-კავკასიურ ენათა ფაქტების ამგვარა შეპირისპირების დროს მკვლევრის წინაშე თავისთავად წამოიჭრება კითხვა: ბასკური ენის ზმნაში მხოლოდით რიცხვში მესამე პირის ნიშნად წარმოდგენილი d ფორმანტი ხომ არ არის ისტორიულად ნივთის გრამატიკული კლასის გაქვავებული ნიშანი, რომელმაც შემდგომ მესამე პირის ნიშნის ფუნქცია იკისრა.

ჩვენ მიერ ნიმუშად აღებული egon ზმნა აწმყოს მრავლობით რიცხვში ასე იუღვლის:

- I gu g-a-go „ჩვენ ვართ, ვრჩებით“
- II zu z-a-go „თქვენ ხართ, რჩებით“
- III haik d-a-go-z „ისინი არიან, რჩებიან“

როგორც ვხედავთ, მრავლობით რიცხვშიაც ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმები g-a-go და z-a-go იმეორებენ შესაბამისი პირის ნაცვალსახელის ძირეულ თანხმოვანს, ე. ი. პირის ნიშანი კვლავ პირის ნაცვალსახელს ემთხვევა, მესამე პირში კი ვითარება სხვაგვარია: აქ პირის ნიშანი იგივე რჩება, რაც მხოლოდით რიცხვში (d), საერთოდ ზმნის ფუძეც იგივეა, ოღონდ მხოლოდითისაგან გასარჩევად ემატება -z სუფიქსი — მესამე პირის სუბიექტის მრავლობითის ნიშანი გარდაუვალ ზმნებში. ეს -z სუფიქსი, როგორც ბასკური ზმნის ისტორიისადმი მიძღვნილი გამოკვლევებიდან ჩანს, მიღებულია -de (-te) სუფიქსისაგან. ამის დამადასტურებელია ფორმები: dira-de „ისინი არიან“, du-te „მათ აქვთ“, სადაც დაცულია უფრო სრული სახე ამ სუფიქსისა. ასე რომ, მესამე პირში ამ სუფიქსის სახით თავს იჩენს მრავლობითობის კატეგორიის ნიშანი ბასკურ ზმნაში.

ღიალექტებში მრავლობითობის სუფიქსი ზმნას სამივე პირში დაერთვის; გვხვდება, სახელდობრ, ფორმები: gu g-a-go-z („ჩვენ ვრჩებით“) და zu z-a-go-z („თქვენ რჩებით“), მაგრამ შინაარსის დასაზუსტებლად აქ სუფიქსის დართვა აუცილებელი არაა, რადგან პირის პრეფიქსები g- და z- პირთან ერთად მრავლობით რიცხვზეც მიუთითებენ.

მოვიყვანთ კიდევ ორიოდ გარდაუვალი სინთეზური ზმნის უღვლილების ნიმუშს აწმყოში:



e-tz-a-n „წოლა“

მხ. რ.

I ni n-a-tza „მე ვწევარ“

II hi h-a-tza

III hura d-a-tza

e-torr-i „მოსვლა“

I ni n-a-tor

II hi h-a-tor

III hura d-a-tor

„მე მოვდივარ“

მრ. რ.

gu g-a-u-tza

zu z-a-u-tza

haik d-a-u-tza-z

gu g-a-to-z

zu z-a-to-z

haik d-a-to-z

წარმოდგენილი ნიმუშების მსგავსადვე იუღლებიან სხვა გარდაუვალი ზმნებიც, რომელთაც სინთეზური უღვლილება ახასიათებთ: i-bil-i „სვლა“, j-o-ha-n „სვლა“, j-arrai „მიყოლა, მიდევნება“ და სხვანი.

\* \* \*

ახლა თუ მივმართავთ გარდამავალ ზმნას და დავაკვირდებით მის უღვლილებას, ვნახავთ, რომ მისი ფორმები სულ სხვანაირია და პირის კატეგორია სხვაგვარად არის გამოხატული, ვიდრე გარდაუვალ ზმნაში. სინთეზური უღვლილების მქონე გარდამავალი ზმნის ნიმუშად შეიძლება ავიღოთ e-karr-i „ტარება, წაღება“.

ni-k d-a-kar-t „მე მიმაქვს ის“. აქ ჩვენ გვაქვს ნაცვალსახელი ni-k, რომელიც აგენტივში დგას და ამ ბრუნვის ნიშნად მოუღის -k სუფიქსი, ხოლო ზმნის ფორმა ასე დაიშლება: პრეფიქსი d- მიუთითებს პირდაპირ ობიექტზე, kar ძირია, -t სუფიქსი კი გარდამავალი მოქმედების სუბიექტს აღნიშნავს. მაშასადამე, გარდაუვალი ზმნისაგან განსხვავებით, გარდამავალი ზმნის ფორმაში სათანადო აფიქსებით წარმოდგენილია არა ერთი, არამედ ორი პირი: როგორც სუბიექტი, ასევე ობიექტიც. ამავე დროს სუბიექტის ნიშანი გარდამავალ ზმნას თავში კი არ მოუღის, როგორც გარდაუვალ ზმნას, არამედ ბოლოშია წარმოდგენილი, სუფიქსით არის გამოხატული, ხოლო პრეფიქსი გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს აღნიშნავს. გარდამავალი ზმნის მხოლოდობითი რიცხვის III პირის პირდაპირი ობიექტის აღსანიშნავად

გამოყენებულია სწორედ იგივე პრეფიქსი, რომელიც გარდაუვალ ზმნაში მხოლოდითი რიცხვის III სუბიექტურ პირს აღნიშნავს. ასე რომ, ეს პრეფიქსი გრამატიკულ ფუნქციას იცვლის და ერთ შემთხვევაში სუბიექტის აღმნიშვნელია, მეორე შემთხვევაში — ობიექტისა.

პირველი სუბიექტური პირის აღსანიშნავად გარდამავალ ზმნას, როგორც ვთქვით, ბოლოში ერთვის სუფიქსი -t. ეს არის, ასე ვთქვათ, მეორე რიგის სუბიექტური ნიშანი, პირველი რიგის სუბიექტური ნიშნები კი წარმოდგენილია გარდაუვალ ზმნაში პრეფიქსების სახით. ეს ორი რიგის სუბიექტური ნიშნები, პრეფიქსები და სუფიქსები, მატერიალურად ყოველთვის არ ემთხვევიან ერთმანეთს; სახელდობრ, გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ნიშანია პრეფიქსი n-, გარდამავალი ზმნის სუბიექტისა კი — სუფიქსი -t. ამ შემთხვევაში გამოყენებულია მეორე ნაცვალსახელური ძირი. ეს t ისტორიულად d-საგან მომდინარეობს, რომელიც აუსლაუტში დაყრუებულა.

ასეთივე სურათია მეორე სუბიექტური პირის ფორმაში: hi-k d-a--kar-k „შენ (აგენტივი) მიგაქვს ის“. აქ მეორე სუბიექტური პირის ნიშნად წარმოგვიდგება -k ფორმანტი, რომელსაც იგივე პოზიცია უკავია, რაც პირველი სუბიექტური პირის -t სუფიქსს და t-ს მსგავსად ისიც მიღებულია დაყრუების გზით მჟღერი g-საგან.

მესამე პირზე ითქმის: har-k d-a-kar „მას მიაქვს ის“. აქ უკვე მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ზმნაში წარმოდგენილი არაა, ასე რომ, გარდამავალი ზმნის მესამე პირის ფორმაში მხოლოდ პირდაპირ-ობიექტური პირი აღინიშნება.

მსგავსი ვითარება შეინიშნება ქართველურ ენათა ისტორიაშიც. როგორც თავის დროზე პროფ. არნ. ჩიქობავამ დაამტკიცა, მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ქართველურ ენებში გვიანდელი გაჩენილია, მეორეულია. როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირები პროტოქართველურში პრეფიქსებით გადმოიციემოდა.

ბასკური ზმნის სტრუქტურის ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებად შეიძლება ის ჩათვალოს, რომ გარდაუვალი ზმნის სუბიექტური პირის ნიშნის ადგილს გარდამავალ ზმნაში პირდაპირი ობიექტის ნიშანი იკავებს, რაც ძალზე დამახასიათებელია აგრეთვე იბერიულ-კავკასიური ენებისთვისაც. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ისეთ ენებზე, როგორცაა პროტოქართველური, ჩრდილოკავკასიური ენები ან ბასკური ენა, სადაც გარდაუვალ ზმნაში საქმე გვაქვს სუბიექტური პირის ნიშანთან, გარდამავალ ზმნაში კი, უწინარეს ყოვლისა, პირდაპირ-



ობიექტური პირის ნიშანთან, რომელიც ზმნის ფორმაში სუბიექტური პირის ადგილს იჭერს, ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, რომ ამ ენებს სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება ახასიათებს. ასეთი უღვლილება კავკასიურ ენებსა და ბასკურში არა მარტო საერთო პრინციპის მიხედვით, არამედ მატერიალური გამოხატვისა და პირის ნიშანთა განლაგების მიხედვითაც იდენტურია.

gu-k d-a-kar-gu („ჩვენ მიგვაქვს ის“) ამ ფორმაში პირველი პირის ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში წარმოდგენილია სუფიქსის სახით (-gu). ანალოგიური სურათია მეორე პირის მრ. რიცხვის ფორმაშიც: zu-k d-a-kar-zu („თქვენ მიგაქვთ ის“).

მესამე პირის მრავლობითი რიცხვი გადმოიცემა ფორმით: haiek d-a-kar-te („მათ მიაქვთ ის“), სადაც სუბიექტის მრავლობითობა აღინიშნება -te სუფიქსით. აქაც დაცულია ბასკური ზმნის პრინციპი, რომ მესამე სუბიექტური პირი ზმნაში არ აღინიშნება. ისევე როგორც მესამე სუბიექტური პირი აღნიშნული არ იყო მხოლოდითი რიცხვის ფორმაში (d-a-kar „მიაქვს“), ის არ აღინიშნება არც მრავლობითში (d-a-kar-te „მიაქვთ“), სადაც -te სუფიქსით სუბიექტის მხოლოდ რიცხვია გამოხატული და არა პირი. ამ შემთხვევაშიც ვითარება ანალოგიურია ქართულისა, სადაც მესამე პირის ფორმებში (მაგალითად, იცის — იციან) მხოლოდით რიცხვში წარმოდგენილი სუფიქსი -ს გვიანდელია, მეორეულია, მრავლობითში წარმოდგენილი -ან სუფიქსი კუძველია, პირველადია, ოღონდ წარმოშობით ის ოდენ მრავლობითი რიცხვის ნიშანია და არა პირისა.

მე სიმოკლისათვის წარმოვადგინე მხოლოდ ექვსფორმიანი პარადიგმა, როგორც ეს ტრადიციულად მიღებულია ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ ბასკური ზმნა, რომელსაც შეუძლია არა მარტო სუბიექტური პირის, არამედ პირდაპირი და ირიბი ობიექტური პირების გამოხატვაც, გაცილებით მდიდარია ფორმებით, ვიდრე ზმნა ინდოევროპულ ენებში, სადაც ყოველთვის ექვს-ექვსი პირის ფორმა გვაქვს და მეტი შეუძლებელია.

მრავალპირიანი ზმნის უღვლილებისას შესაბამის პირთა კომბინაციებით ფორმათა რაოდენობა იზრდება. სახელდობრ, ბასკურშიც გვაქვს ყველა ის კომბინაცია პირებისა, რომლებიც შესაძლებელია ქართულ ზმნაში. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ქართულში პირთა ზოგიერთი კომბინაცია ერთნაირი ფორმით გადმოიცემა, ე. ი. ადგილი



აქვს ფორმათა დამთხვევას, ბასკურში კი ამგვარი დამთხვევა არ ხდება, პირთა ყველა შესაძლო კომბინაციას თავისი განსხვავებული ფორმა აქვს, ასე რომ, პოლიპერსონალიზმის პრინციპი ბასკურში თავიდან ბოლომდე მკაცრად, ლოგიკურად არის გატარებული.

ზემოთ წარმოდგენილი გარდამავალი ზმნის უღვლილების პარადიგმა შევაკვსოთ ასეთი ფორმებით:

n-a-kar-k	„შენ მე მიგყავარ“
n-a-kar	„მას მე მივყავარ“
n-a-kar-zu	„თქვენ მე მიგყავართ“
n-a-kar-te	„მათ მე მივყავარ“
h-a-kar-t	„მე შენ მიყავხარ“
h-a-kar	„მას შენ მიყავხარ“
h-a-kar-gu	„ჩვენ შენ მიგყავხარ“
h-a-kar-te	„მათ შენ მიყავხარ“ და სხვა.

როცა ბასკური გარდაუვალი თუ გარდამავალი ზმნის უღვლილებას ვადარებთ კავკასიურ ენებთან, ტიპოლოგიურად მეტ მსგავსებას ვპოულობთ ქართველურ ენებში, სადაც პირის კატეგორია კარგად არის გამოხატული, მაგრამ, მეორე მხრივ, პოლიპერსონალური ზმნის უღვლილების ზოგადი პრინციპით ბასკური უფრო ახლოს დგას მთის კავკასიურ ენებთან, მაგალითად, ხუნძურთან, სადაც უღვლილება კლასოვანია, მაგრამ ამ კლასების აღნიშვნა ზმნაში იმავე პრინციპით ხდება, როგორც პირების აღნიშვნა ბასკურში: გარდაუვალ ზმნაში ყოველთვის პირველ ადგილზე დგას სუბიექტის გრამატიკული კლასის ნიშანი, გარდამავალ ზმნაში კი მის ადგილს იკავებს პირდაპირი ობიექტის გრამატიკული კლასის ნიშანი.

ამრიგად, სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ნიშანთა განლაგება პრეფიქსების სახით როგორც კლასოვანი, ისე პიროვანი უღვლილების მქონე კავკასიურ ენებში ძირითადად ერთნაირია და მათი მონაცვლეობის ძველთაძველ პრინციპს იცავს ბასკური ენაც. ამიტომ, ჩემი აზრით, არ კმარა მხოლოდ ზოგადი სტრუქტურული, ტიპოლოგიური მსგავსების აღნიშვნა ბასკურსა და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის, ეს მსგავსება უფრო არსებითია და თავს იჩენს ძირითადი გრამატიკული კატეგორიების გამოხატულების მსგავსებაშიც.

სუბიექტურთან ერთად ობიექტური პირების აღნიშვნა ახასიათებს სხვა ენებსაც, მაგალითად, სემიტურ ენებს, მაგრამ იქ სუბიექტურ და ობიექტურ პირის აფიქსთა განლაგება სულ სხვაგვარია, ვიდრე კავკასიურ ენებში. ამ მხრივ ბასკური მთლიანად კავკასიურ ენათა ყალიბს მისდევს. ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვაქვს გენეტურ ნათესაობასთან და არა ამ ენათა ტიპოლოგიური წყობის შემთხვევით მსგავსებასთან.

ტაბულები, სადაც წარმოდგენილია მარტივი ფორმები ბასკური გარდაუვალი e-გო-ი („ყოფნა, დარჩენა“) და გარდამავალი e-karr-i („წაღება“) ზმნების უღვლილებისა, ასახავს ბასკური ზმნის სტრუქტურის არსს.

გარდაუვალ ზმნაში გვაქვს სუბიექტური ფორმები, გამოხატული პრეფიქსებით, გარდამავალ ზმნაში კი — ობიექტური ფორმები, აგრეთვე გამოხატული პრეფიქსებით, მაგრამ შემდეგ პირველი და მეორე პირის სუბიექტიც არის სუფიქსებით გამოხატული, მესამე პირის სუბიექტი კი ზმნაში ბოლომდე აღუნიშნელი რჩება. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სუბიექტის კატეგორიის აღნიშვნა ბასკურ გარდაუვალ ზმნაში მეორეული მოვლენაა. ბასკური გარდამავალი ზმნის თავში სუბიექტური ნიშნებისათვის ადგილი არ იყო და ეს ნიშნები ზმნას მხოლოდ მოგვიანებით მიეკრა ბოლოში, სუფიქსებად, პირველი და მეორე სუბიექტური პირის აღსანიშნავად, მესამე პირს კი, სადაც პირის კატეგორია საერთოდ სუსტად იყო გამოხატული, გარდამავალ ზმნაში ბოლომდე არ გაუჩენია პირის ნიშანი და მასზე მხოლოდ ცალკე მდგომი ჩვენებითი ნაცვალსახელი მიუთითებს.

\* \* \*

წარმოშობით სინთეზური ზმნაა და უღვლილებისას სინთეზურ ფორმათა წარმოების პრინციპს მისდევს მეშველი ზმნა, რომელიც ერთის ძირითადი ზმნის სახელად ფორმებს ბასკურ ენაში პერიფრასტული უღვლილების დროს.

ასეთია, სახელდობრ, დამხმარე ზმნა i-za-ი, რომელიც „ყოფნას“, „არსებობას“ და „რისიმე ქონებას“ აღნიშნავს და ამ მნიშვნელობათა მიხედვით სხვადასხვანაირად იუღვლის, მაგრამ მასდარი კი საერთო აქვს. ეს დამხმარე ზმნა დაერთვის ლოკატივის ფორმით წარმოდგენილ მასდარს. ასე, მაგალითად, ნაცვლად ფორმისა hura da-გი („ის არსებობს“, „იმყოფება“) შეიძლება გამოყენებულ იქნას პერიფრასტული

ფორმა e-go-te-n da. e-go-te-a („ყოფნა, არსებობა“) არის მასდარი (substantivum verbale) -გო- ძირისაგან, e-go-te-n მისი ლოკატივი, რომელსაც ერთვის დამხმარე ზმნა da („არის“). ასე მიიღება egoten da, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ყოფაში (არსებობაში) არის“, ე. ი. „იმყოფება“.

ასევე „მას ეს მიაქვს“ ბასკურად შეიძლება გადმოიცეს როგორც სინთეზური ფორმით har-k da-kar, ისე პერიფრასტულად: e-kar-te-n du („წაღებაში აქვს“). e-kar-te-a მასდარია „წაღება“ ზმნისა (несение, нести).

ბასკურ ენაში სინთეზური ფორმა გადმოგვეცემს კონკრეტულ მოქმედებას, პერიფრასტული კი — ჰაბიტუალურს (მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივ ხდება). მაგრამ ასეთი სემანტიკური გარჩევა შესაძლებელია მხოლოდ ზმნათა მცირე ჯგუფში, რომლებსაც ერთდროულად მოეპოვებათ როგორც სინთეზური, ისე ანალიზური ფორმები. დღეისათვის ბასკური ენის ზმნათა აბსოლუტურ უმეტესობას მხოლოდ ანალიზური, პერიფრასტული ფორმები მოეპოვება და, რასაკვირველია, ეს ფორმები იხმარება როგორც კონკრეტული, ისე ჰაბიტუალური მოქმედების გამოსახატავად.

გადავიდეთ თვით მეშველი ზმნის უღვლილების დახასიათებაზე, რომელიც ყველაზე ხშირად ხმარებული ზმნური ფორმაა ბასკურ ენაში, სადაც რთულ ზმნებს მთავარი ადგილი უკავია უღვლილების სისტემაში. როგორც ვთქვით, მეშველ ზმნად ბასკურში გვევლინება i-za-n („ყოფნა“, „ქონება“).

ni n-a-iz

„მე ვარ“

hi h-a-iz

„შენ ხარ“

hura d-a

„ის არის“.

ზემოთ წარმოდგენილ პირველი პირის ფორმაში -iz უკავშირდება ძირეულ -za- ელემენტს, n- კი პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსია, რომელსაც ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით (შეადარეთ n-a-გი „მე ვარსებობ“). ასევე დაიშლება მეორე პირის ფორმაც — haiz, სადაც h მეორე სუბიექტური პირის ნიშანია (შეადარეთ h-a-გი „შენ არსებობ“). რაც შეეხება მესამე პირის ფორმას — da, ბასკოლოგთა აზრით, ესაა შემოკლებული ფორმა, რომლის პირვანდელი სახე უნდა ყოფილიყო daiz. დროთა განმავლობაში ის გაცვეთილა; ბოლო მოკვეცია

და დარჩენილა პირველი ნაწილი da, რომელიც ისტორიულად მხოლოდ პრეფიქსს წარმოადგენს, მაგრამ ამჟამად ძირის ფუნქციას ასრულებს.

მრავლობით რიცხვში მეშველი ზმნის უღვლილება ასეთ სახეს ატარებს:

gu g-a-ra	„ჩვენ ვართ“
zu z-a-ra	„თქვენ ხართ“
haik d-i-ra	„ისინი არიან“.

gara-ში g-პრეფიქსი პირველი სუბიექტური პირის ნიშანია მრავლობით რიცხვში, -ra კი ძირეულ მორფემად თუ მის ელემენტად გვევლინება. ასეთივე სურათია მეორე პირის ფორმაში za-ra. მესამე პირის ფორმაშიც გვაქვს იგივე ძირეული ელემენტი -ra, პრეფიქსი d-i კი მესამე სუბიექტურ პირზე მიუთითებს, მაგრამ ის იმდენად პირთან კი არ ჩანს დაკავშირებული, არამედ უფრო თითქოს მხოლოდ მრავლობითობის ნიშანია. უნდა აღინიშნოს, რომ დიალექტებში dira-ს გარდა გვხვდება აგრეთვე d-i-ra-de ფორმაც.

როგორც უკვე ვთქვით, i-za-n მეშველი ზმნა „ქონების“ მნიშვნელობასაც ატარებს და ამ დროს განსხვავებულად იუღვლის. სახელობრ, ამ შემთხვევაში მისი უღვლილება ასეთია:

ni-k d-u-t	„მე მაქვს“	gu-k d-u-gu	„ჩვენ გვაქვს“
hi-k { d-u-k	„შენ გაქვს (კაცო)“	zu-k d-u-zu	„თქვენ გაქვთ“
{ d-u-n	„შენ გაქვს (ქალი)“	hai-ek d-u-te	„მათ აქვთ“.
har-k d-u	„მას აქვს“		

ამ შემთხვევაში ზმნის ძირი წარმოგვიდგება -u- ხმოვნის სახით, რომელსაც წინ უძღვის პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელი პრეფიქსი d-, ბოლოში კი ერთვის სათანადო სუბიექტური პირის აღმნიშვნელი სუფიქსი. პირველი სუბიექტური პირისათვის მხოლოდობით რიცხვში ასეთი სუფიქსია -t. მეორე პირის მხოლოდობითი რიცხვის ფორმაში, რაგინდ მოულოდნელი და უცნაურიც გვეჩვენოს, გარდამავალ ზმნაში გარჩეულია სუბიექტის სქესი: როცა მამაკაცს მიმართავენ, იხმარება ფორმა duk, ქალისადმი მიმართვის დროს კი — dun, ე. ი. ერთმანეთს ენაცვლება -k და -n სუფიქსები.

ბასკოლოგებისათვის ამ განსხვავების წარმოშობის მიზეზი დღემდე

აუხსნელია, რადგანაც ბასკური ენა საზოგადოდ სქესის გრამატიკულ კატეგორიას არ იცნობს და ენის მთელ სტრუქტურაში ასეთი განსხვავებები სხვაგან არსად დასტურდება. შესაძლოა ეს იყოს იბერიული ენის გავლენის შედეგი, რომელიც უძველეს ხანაში ყოფილა გავრცელებული სამხრეთ ესპანეთში და რომელიც ბევრ ენათმეცნიერს ჩრდილო აფრიკის სემიტურ-ჰამიტურ ენათა მონათესავედ მიაჩნია. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა.

მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმაში, როგორც ვიცით, სუბიექტის პირი არ აღინიშნება, ამიტომ ფუძისეულ u ხმოვანთან წარმოდგენილია მხოლოდ პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელი d- პრეფიქსი.

მრავლობით რიცხვში პირველ სუბიექტურ პირზე მიუთითებს სუფიქსი -gu, მეორე პირზე — -zu. აქ უკვე სქესები აღარ არის გარჩეული. მესამე პირის d-u-te ფორმაში სუფიქსი -te უფრო სუბიექტის რიცხვის აღმნიშვნელია და არა პირისა.

დასასრულ, დაეძინოთ, რომ პირის ნაცვალსახელი ყველგან წარმოდგენილია აგენტის ფორმით, რაზედაც -k სუფიქსი მიუთითებს (ni-k, hi-k და ა. შ.).

ასეთია სურათი i-za-n („ყოფნა, ქონება“) ზმნის უღვლილების აწმყოში. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება აგრეთვე მისი უღვლილება პრეტერიტუმში, რომელსაც ამჟამად იმპერფექტის მნიშვნელობა აქვს, წინათ კი შესაძლოა ზოგადად აღნიშნავდა წარსულ დროს, იმიტომ რომ ბასკურ ენაში გარჩეული იყო მხოლოდ ორი დრო — აწმყო და პრეტერიტუმი, მომავალი დრო კი გერუნდივებით ან პოტენციალისის ტიპის მოდალური ფორმებით გადმოიციემოდა.

გავიცნოთ მეშველი ზმნის პრეტერიტუმის ფორმები, რომლებიც აგრეთვე ძალიან ხშირად გვხვდება პერიფრასტული უღვლილების დროს ზმნის ნომინალურ ფორმებთან შერწყმული სახით და მათი ცოდნა აუცილებელია.

ni n-i-n-tz-en

hi h-i-n-tz-en

hura z-en

gu g-i-n-en

zu z-i-n-en

haik z-i-r-en

„მე ვიყავი“

„შენ იყავი“

„ის იყო“

„ჩვენ ვიყავით“

„თქვენ იყავით“

„ისინი იყვნენ“.

აქ ყველგან თვალში საცემია სუფიქსი -en, რომელიც პრეტერიტუმს გამოხატავს (z-en < \*za-en). პირის პრეფიქსთა სტრუქტურა აქ უფრო რთულია, ვიდრე აწმყოში, მაგრამ აშკარაა, რომ თავიკიდური n- პირველ პირზე მიუთითებს, h- — მეორე პირზე და ა. შ.

ახლა ვნახოთ, როგორ იწარმოება პრეტერიტუმი ანუ იმპერფექტი, როცა ზმნა გარდამავალია:

ni-k n-u-en	„მე მქონდა“
hi-k h-u-en	„შენ გქონდა“
har-k z-u-en	„მას ჰქონდა“
gu-k g-e-n-u-en	„ჩვენ გვქონდა“
zu-k z-e-n-u-en	„თქვენ გქონდათ“
hai-ek z-u-te-n	„მათ ჰქონდათ“.

გარდამავალი ზმნის პრეტერიტუმის ფორმებს რომ ვაანალიზებთ, შეიძლება ვიფიქროთ, ზმნის მორფოლოგიური ბუნება შეიცვალაო, რადგან n-u-en თავისი შინაარსით უდრის მხოლოდ „მე მქონდა“-ს, ისე რომ, აწმყოსაგან განსხვავებით, ზმნას პრეტერიტუმში პირდაპირი ობიექტის არავითარი ნიშანი არ გააჩნია და გარდამავალი ზმნა აქ თითქოს სუბიექტურ უღვლილებაზე გადადის. ეს ჯერჯერობით ჩვენთვის არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ მე მაინც აღვნიშნავ იმისათვის, რომ მეშველი „მქონება“ ზმნის პრეტერიტუმის ფორმაში ობიექტურა პირის ნიშნებს არ დაუეწყოთ ძებნა. ni-k n-u-en ნიშნავს „მე ის მქონდა“, მაგრამ ეს შინაარსი სრულად გადმოცემულია ნაცვალსახელების მეშვეობით და არა უშუალოდ ზმნური ფორმით.

გადავიდეთ რთული ზმნის უღვლილების სისტემის დახასიათებაზე. აქაქი შანიძის ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ბასკურ ენაში ზმნის ექვსი მწკრივი გამოიყოფა: პრეზენსი, იმპერფექტი, აორისტი (პერფექტი), პლუსკვამპერფექტი, ფუტურუმი და ფუტურუმი-გზაქტუმი.

რთული ზმნის უღვლილების თანამედროვე სტრუქტურა ბასკურ ენაში ფორმით ლათინურ უღვლილებას მოგვაგონებს, რაც გარემოცველი რომანული ენების, პირველ რიგში სწორედ ლათინურის, შემდეგ კი ესპანური და ფრანგული ენების გავლენის შედეგი უნდა იყოს. ვფიქრობთ, თვით პრინციპი რთული ზმნური ფორმების მეშვეობით დროთა აღნიშვნისა ბასკურში შეიძლებოდა წარმოქმნილიყო რომანულ

ენათა ხანგრძლივი, ორიათასწლოვანი გავლენის შედეგად. ჯერ კიდევ ხალხურ ლათინურში იმის ნაცვლად, რომ ეთქვათ *is dedit* („მან მისცა რაღაც“), ამბობდნენ: *is habet datum* („მას მიცემული აქვს რაღაც“). ბასკურ ენაში კონსტრუქცია *har-k e-ma-n d-u* („მან მისცა ის“) ზუსტად შეესაბამება ზემოხსენებულ ხალხურ ლათინურ ფორმას. ბასკური ენის პერიფრასტულ უღვლილებასთან ასეთსავე ნათელ სტრუქტურულ ანალოგიებს იძლევა რთული დროები ფრანგულსა და ესპანურ ენებშიც.

როგორც სინთეზურ ფორმათა უღვლილებიდან ჩანს, ბასკურ ენას შეეძლო მთლიანად აეელო გვერდი პერიფრასტული ფორმებისათვის, რადგან სინთეზური ფორმები გამოხატავდნენ აწმყოს (პრეზენსს) და პრეტერიტუმს და გარკვეული მოდალური სუფიქსების დართვით შეეძლოთ გამოეხატათ აგრეთვე მომავალი დროც.

თანამედროვე ბასკურ ენაში თითქოს ორი სისტემა არსებობს ზმნის უღვლილებისა. ერთი მათგანია სინთეზურ ზმნათა უღვლილება, რომელიც, ბევრი ბასკოლოგის აზრით, უფრო ძველია. სწორედ ამ სისტემაში უფრო თვალსაჩინოა მსგავსება კავკასიურ ენებთან. მეორე ტიპს შეადგენს პერიფრასტული უღვლილება, სადაც კავკასიურ ენებთან ანალოგია მთლად ნათელი არ არის. რაღაც მისი მსგავსი თითქოს მოიპოვება ხუნძურ ენაში, მაგრამ მე არ ვიცი, რამდენად ძველია პერიფრასტული უღვლილების ტიპი ხუნძურში. ამას ალბათ სპეციალისტები გაარკვევენ. ბასკური მასალის მიხედვით და ბასკური ენის ისტორიის ფონზე კი პერიფრასტული უღვლილება შედარებით ახალი მოვლენა ჩანს, იმ პერიოდისა, როცა ბასკური ენა პირენეის ნახევარკუნძულზე რომანულ ენათა გარემოცვაში ვითარდებოდა. რაც შეეხება სინთეზურ უღვლილებას, ამ მხრივ ბასკური დიდად განსხვავდება ინდოევროპული ენებისაგან და მკაფიო ანალოგიებს პოულობს იბერიული-კავკასიურ ენებში.

\* \* \*

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ბასკური ზმნის სტრუქტურაზე, გარდაუვალი და გარდამავალი ზმნების ფორმათა დაპირისპირებაზე, ბასკურ ზმნისათვის დამახასიათებელ პოლიპერსონალიზმზე. ზმნურ ფორმაში გარჩეულია არა მარტო სუბიექტური პირი, არამედ პირდაპირი და ირიბი ობიექტური პირებიც. გარდაუვალ ზმნას შეუძლია აწარმოოს როგორც მხოლოდ სუბიექტური პირის შემცველი ერთპირიანი ფორ-



შები, ასევე ორპირიანი ფორმებიც, სადაც სუბიექტურ პირთან ერთად წარმოდგენილია ირიბი ობიექტიც. გარდამავალი ზმნები ორპირიანი ან სამპირიანია. ორპირიანი ფორმა გარდამავალი ზმნისა გამოხატავს ურთიერთობას სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს შორის, სამპირიანი კი — სუბიექტსა, პირდაპირ ობიექტსა და ირიბ ობიექტს შორის.

ჩვენ გავეცანით ერთპირიანი გარდაუვალი ზმნისა და ორპირიანი გარდამავალი ზმნის უღვლილების პარადიგმებს, აგრეთვე მეშვიდე ზმნას, რომელიც გამოყენებულია ბასკური ზმნის პერიფრასტული რთული ფორმების საწარმოებლად. ახლა მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ნიმუში ორპირიანი გარდაუვალი და სამპირიანი გარდამავალი ზმნის უღვლილების გასაცნობად, როცა ადგილი აქვს პირთა ცვალებას ირიბობიექტური პირის მიხედვითაც. მე შევჩერდები მხოლოდ ცალკეულ ფორმებზე და არ მოვიყვან სრული სახით მთელ პარადიგმებს, რადგან ეს დიდ ადგილს დაიკავებდა.

*hura da* („ის არის“) ერთპირიანი ფორმაა გარდაუვალი ზმნისა, მაგრამ თუ სურთ აღნიშნონ, რომ ის არის სხვისთვის (არსებობს ვილაცისთვის), მაშინ იტყვიან: *hura har-i za-i-o* („ის მისთვის არის“). ეს ისეთივე ფორმაა, როგორც სვანური **ხორი**. ქართული ენა „არის“ ზმნისაგან ორპირიან ფორმებს არ აწარმოებს, სვანურისათვის კი ამგვარი ფორმები ჩვეულებრივია. მას შეესატყვისება აგრეთვე ძველი ქართული უ ვ ი ს.

*za* ძირი ფონეტიკური ვარიანტია *da*-სი, ირიბი ობიექტის მიმართება სუბიექტთან გამოხატულია რთული *i-o* ფორმანტით, რომელიც ისტორიულად \**ki-o*-საგან მომდინარეობს, სადაც *ki* მიმართულების აღმნიშვნელი სუფიქსია, *-o* კი მიუთითებდა, რომ მდგომარეობა ან მოქმედება მესამე პირს და ირიბ ობიექტს მიეკუთვნება.

შეიძლება დავასახელოთ გარდაუვალი ზმნის ასეთ ორპირიან ფორმათა სხვა მაგალითებიც, როგორიცაა: *hura har-i da-tor-ki-o* „ის მას მოუღის“ („ის მისკენ მოღის“). აქ ობიექტად მესამე პირია, მაგრამ შეიძლება ორპირიანი გარდაუვალი ზმნა გამოხატავდეს მიმართებას პირველ ან მეორე პირთანაც; მაგალითად: *da-tor-ki-t* „ის მოღის ჩემთან“, „მომიღის“, *da-tor-ki-k* „ის მოღის შენთან“, „მოგიღის“, *da-tor-ki-gu* „ის მოღის ჩვენთან“, „მოგვიღის“, *da-tor-ki-zu* „ის მოღის თქვენთან“, „მოგიღით“, *da-tor-ki-e* „ის მოღის მათთან“, „მოუღით“.



ახლა ვნახოთ, როგორაა აგებული სამპირიანი ფორმები გადამავალი ზმნისა. აქაც გამოყენებულია ირიბი ობიექტის იგივე ნიშნები, რაც გარდაუვალ ზმნაში; მაგალითად: har-k d-u („მას ის აქვს“) — ეს ორპირიანი ზმნა ბასკურში გარდამავალია, მისგან კი იწარმოება სამპირიანი გადამავალი ზმნის ფორმაც: har-k har-i d-i-o („მას ის აქვს მისთვის, ვინმესათვის“). აქ d მიუთითებს პირდაპირ ობიექტზე, i-o კი — ირიბ ობიექტთან მიმართებაზე, ე. ი. რომ პირდაპირი ობიექტი ირიბისათვის არის განკუთვნილი. ზმნური ფორმა ამ შემთხვევაში იმდენად დაცვეთილია, რომ ძირი მთლიანად გამქრალია. ეს ძირი, რომელიც „ქონებას“ აღნიშნავდა, უნდა ყოფილიყო -u-. ასეთივე სურათია da ზმნაშიც, სადაც ძველი ზმნური ფორმიდან შემორჩენილია მხოლოდ პრეფიქსი, ძირი კი დაკარგულია.

„მე ის მაქვს მისთვის“ ბასკურად ასე გადმოიცემა: ni-k har-i d-i-o-t. შემდეგ მოდის ასეთი ფორმები: d-i-o-k („შენ ის გაქვს მისთვის“), d-i-o-gu („ჩვენ გვაქვს მისთვის“) d-i-o-zu („თქვენ გაქვთ მისთვის“), d-i-o-te („მათ აქვთ მისთვის“).

მაშასადამე, ორპირიანი გადამავალი ზმნის უღვლილებს პარადიგმა ასეთია:

მხ. რ.

მრ. რ.

- |            |                       |            |                    |
|------------|-----------------------|------------|--------------------|
| 1. nik dut | („მე ეს მაქვს“)       | guk dugu   | („ჩვენ ეს გვაქვს“) |
|            | („შენ ეს გაქვს,       |            |                    |
| 2. hik     | { duk ვაჟო“)          |            |                    |
|            | { dun („შენ ეს გაქვს, | zuk duzu   | („თქვენ ეს გაქვთ“) |
|            | ქალო“)                |            |                    |
| 3. hark du | („მას ეს აქვს“)       | haiek dute | („მათ ეს აქვთ“).   |

იმავე ზმნის სამპირიანი ფორმები კი ასეთი სახისაა:

მხ. რ.

მრ. რ.

- |             |        |             |
|-------------|--------|-------------|
| 1. nik diot |        | guk diogu   |
| 2. hik      | { diok | zuk diozu   |
|             | { dion |             |
| 3. hark dio |        | haiek diote |

წარსულ დროშიც ასევე გარჩეულია ზმნის ორპირიანი და სამპირიანი ფორმები. ასე, მაგალითად, ორპირიანი გარდაუვალი ზმნის-გმ-ი-ი იმპერატივში ასეთი სახით წარმოგვიდგება: zitza-i-o-n („ის არსებობდა, იყო მისთვის“). d-i-o-საგან წარსული დროის ფორმაა z-i-o-n („მას ის ჰქონდა მისთვის“).

სრული პარადიგმები უღვლილებისა წარმოდგენილია ბასკური ენის გრამატიკებში. ჩვენ აქ მხოლოდ ცალკეულ ნიმუშებს გავეცანით, რამდენადაც ეს აუცილებელია თვით ფორმათა წარმოების პრინციპის გასათვალისწინებლად.

\* \* \*

ზმნასთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ კიდევ ერთ ძირითად კატეგორიას — კილოს, რომელიც ბასკურ ზმნას სამი სახისა მოეპოვება: modus indicativus (თხრობითი კილო), modus subiunctivus (კავშირებითი კილო) და modus imperativus (ბრძანებითი კილო).

სუბიუნქტივი ბასკურში გამოიყენება არაძირითადი მოქმედების გადმოსაცემად, რომლის შესრულება რაღაც პირობაზეა დამოკიდებული, საექვოა. ყველაზე ხშირად სუბიუნქტივის ფორმით გადმოიციემა სასურველი მოქმედება ან მდგომარეობა. ბასკურ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში სუბიუნქტივი მთლიანად არ ემთხვევა კავშირებითს. Subiunctivus grosso modo შეიძლება კონიუნქტივის ტოლფარდად მიგვეჩნია, ბასკურში რომ მხოლოდ ინდიკატივის, სუბიუნქტივისა და იმპერატივის ფორმები არსებულებოდა, მაგრამ ამათ გარდა ბასკურს მოეპოვება აგრეთვე -en სუფიქსიანი ფორმები, რომლებიც უფრო ზუსტად შეეფარდებიან ინდო-ევროპულ ენათა კონიუნქტივის ფორმებს და გადმოგვცემენ დამოკიდებული წინადადების მოქმედებას მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მოქმედებასთან მიმართებით. ამიტომ ბასკოლოგებმა ტერმინი კონიუნქტივი გამოიყენეს სწორედ ამ -en სუფიქსიანი ფორმებისათვის, ხოლო მთლიანად იმ კილოს, რომელიც თავისი პირის ფორმებით უპირისპირდება ინდიკატივს, სუბიუნქტივი უწოდეს.

გავეცნოთ ამ კილოს ფორმებს etorri („მოსვლა“) გარდაუვალი ზმნისა და ekarri („მოტანა“) გარდამავალი ზმნის მაგალითზე. ინდიკატივში გვაქვს: dator და პერიფრასტული ფორმა etortzen da („მოდის“); ასევე: dakar და პერიფრასტული ფორმა ekarten du („მო-

აქვს“). სუბიუნქტივში კი გვაქვს: etor dedin („მოვიდეს“); მაგალითად: nik erraiten dio etor dedin („მე ვეუბნები მას, რომ მოვიდეს“). გარდამავალი ზმნის ekarri-ს სუბიუნქტივია ekar dezan („მოიტანოს“); მაგალითად: nik erraiten dio ekar dezan („მე ვეუბნები მას, რომ ეს მოიტანოს“). როგორც ვხედავთ, სუბიუნქტივი აქ გამოხატულია პერიფრასტული ფორმით, ისევე როგორც ზმნათა უმეტესობა ინდიკატივში.

სუბიუნქტივი, ანალოგიურად ინდიკატივისა, შეადგენს ზმნის უღვლილების სრულ პარადიგმას, ასე რომ ბასკური ზმნის უღვლილება ორი ასეთი პარალელური რიგით არის თავიდან ბოლომდე წარმოდგენილი: ერთი მხრივ გვაქვს ინდიკატივის ფორმები, მეორე მხრივ — სუბიუნქტივისა. რაც შეეხება იმპერატივს, მას სისრულე აკლია: ჩვეულებრივ, მოეპოვება მხოლოდ მეორე და მესამე პირის ფორმები, აკლია პირველი პირი. საჭიროების შემთხვევაში პირველი პირისადმი ბრძანების გადმოსაცემად გამოიყენება სუბიუნქტივის ფორმა; მაგალითად: gaitezen („ვიყოთ“).

იმპერატივის ფორმები საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია და მის სრულ პარადიგმებს მე აქ არ წარმოგიდგენთ, მოვიყვან მხოლოდ ცალკეულ მაგალითებს; სახელდობრ: ha-di („იყავ“), be-di („იყოს“), sar-tu („შემოსვლა“) ზმნისაგან ბრძანებითი იქნება რადიკალის ფორმა sar პლუს hadi:sar hadi („შემოდ“). etor bedi ნიშნავს „მოვიდეს! შემოვიდეს!“ sar bebi gelan „(ის) შემოვიდეს ოთახში“. ესენი გარდაუვალი ზმნის იმპერატივის მაგალითებია. გარდამავალი ზმნა კი იმპერატივში იყენებს ფორმებს: მეორე პირისათვის e-za-k („ჰქონდეს, იქონიე!“ და მესამე პირისათვის be-za („ჰქონდეს“), მაგალითად: ekar ezak („მოიტანე“), egin beza („გააკეთოს“).

ზრდილობიანი მიმართვისათვის ხშირად გამოიყენება მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმები; მაგალითად, igor ezazu („გაგზავნეთ ის!“).

ჩემს ლექციებში ბასკური ზმნის უღვლილების ნიმუშები მე მომყავს იმ ფორმით, რომელიც სავალდებულოა ერთიანი ბასკური სალიტერატურო ენისათვის. ეს ენა, ე. წ. euskara batua მკვიდრდება ახლა ესპანეთის მხარის ბასკეთის სკოლაში.

როცა ვკითხულობთ ტექსტებს სხვადასხვა ბასკურ დიალექტზე, მათ შორის სალიტერატურო ენის ფუძე-დიალექტებზე, როგორიცაა გიპუსკოური, ლაბურული, ბისკაიური ან სულური, ადვილად შევ-

ნიშნავთ გადახრებს იმ ნორმებიდან, რომელთაც გვთავაზობს ამჟამად ბასკური ენის აკადემია და რომელთა დაცვაც მას სავალდებულოდ მიუ-  
ახნია. მაგრამ ეს გადახრები და თავისებურებანი დიდი არაა, განსაკუთ-  
რებით სალიტერატურო დიალექტებში, რომლებიც ბასკური ენის ცენ-  
ტრალურ და აღმოსავლურ ზონებს ეკუთვნიან. ტრადიციულ სალიტე-  
რატურო ენასა და euskara batua-ს შორის განსხვავება მცირეა. ეს  
განსხვავება უფრო საგრძნობია იმ ნაწილში, სადაც გავრცელებულია  
ბისკაიური დიალექტი, რომელსაც სალიტერატურო ენის ნორმებისაგან  
განსხვავებული მკაფიო თავისებურებანი ახასიათებს.

როცა ჩვენ ლაბურული დიალექტური ტექსტების კითხვას დავიწე-  
ყებთ, შევნიშნავთ ზოგიერთ სხვაობას ზმნურ ფორმებში ერთიან ბას-  
კურ სალიტერატურო ენასთან — euskara batua-სთან შედარებით.  
მაგალითად, ლაბურულ დიალექტში ფორმა igor ezazu ჩვეულებრივ  
გამოითქმის როგორც igor zazu ანდა სულაც igor azu, ე. ი. იმპერა-  
ტივში მეშველი ზმნა შემოკლებული ფორმით იხმარება.

ბოლო დროს, როცა ბასკურ ენაში უკვე შემუშავდა სალიტერატუ-  
რო ნორმა და ესპანეთის ბასკეთში გაჩაღდა ფართო მოძრაობა ბასკუ-  
რი ეროვნული სკოლის (ikastola) განსამტკიცებლად, ხშირად სალიტე-  
რატურო ენის ნორმებისაგან განსხვავებულ, დიალექტურ გრამატიკულ  
ფორმებს იქვე ფრჩხილებში უწერენ ლიტერატურულ შესატყვისს. ეს  
აიოლებს ტექსტის გაგებას და ხელს უწყობს სალიტერატურო ენის  
ნორმათა განმტკიცებას. მაგრამ ჭერჯერობით ბასკურ ენაზე დაწერილი  
ტექსტების უმეტესობა დიალექტური ხასიათისაა.

ბასკური სალიტერატურო ენის ნორმები ჩვენთვის დამხმარე სა-  
შუალებაა დიალექტური ფორმების გასაგებად, რომლებიც ხშირად იმ-  
დენად შემოკლებულია, სინკოპირებულია ან ფონეტიკურად გაცვეთი-  
ლია, რომ ბასკურ სალიტერატურო ენას დაუფლებული პირი, მოხ-  
ვედრილი ამა თუ იმ დიალექტის გარემოცვაში, პირველ ხანებში ვერც  
კი ცნობს იმ სიტყვებსა და ფორმებს, რომელთაც მისი თანამოსაუბრე-  
ნი (ამ დიალექტის წარმომადგენლები) ხმარობენ.

\* \* \*

გრამატიკულ დროთა სისტემა ბასკურ ენაში შემდეგი სახით წარ-  
მოგვიდგება. სინთეზური ზმნები განასხვავებენ არსებითად მხოლოდ  
ორ დროს: პრეზენსს (აწმყოს) და პრეტერიტუმს (ნამყოს), რომელიც



ამჟამად უფრო კონკრეტულად იმპერფექტის სახეს ატარებს. რაც შეეხება ანალიზურ ზმნებს ანუ პერიფრასტულ უღვლილებას, აქ გრამატიკულ დროთა რაოდენობა მეტია: გვაქვს ექვსი დრო, რომელთა სტრუქტურაც, როგორც ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ლათინური უღვლილების სისტემას მოგვაგონებს. სახელდობრ, გარდა პრეზენტისა და იმპერფექტისა, გამოიყოფა აგრეთვე ფუტურუმი (მომავალი დროის აღმნიშვნელი ფორმა), პერფექტი (წარსული დრო ანუ აორისტი), პლუსკვამპერფექტი (წარსულში შესრულებული მოქმედება, რომელიც წის უსწრებს წარსულშივე შესრულებულ სხვა მოქმედებას) და futurum secundum ანუ ფუტურუმ-მეორე (მომავალი დროის ფორმა, რომელიც გამოიყენება მომავალში შესასრულებელი მოქმედების აღსანიშნავად, როცა ძირითადი ზმნა წარსული დროის ფორმითაა წარმოდგენილი).

მოვიყვანოთ სინთეზურ ზმნათა აწყყოსა და ნამყო დროის წარმოების ნიმუშები. dago („ის არსებობს, რჩება“) ნამყოში ასეთი ფორმით წარმოგვიდგება: z-e-gi-en („ის არსებობდა, იყოფებოდა სადმე“), სადაც ფუძეს ერთვის ნამყო დროის მაწარმოებელი -en სუფიქსი, ამავე დროს გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის მესამე პირის ხიშანი: აწყყოს d- პრეფიქსი იცვლება სიბილანტური z-თი. როგორც ჩანს, d- ჯერ აფრიკატმა შეცვალა, შემდეგ კი მისი გამარტივება-დეაფრიკატიზაციის შედეგად მივიღეთ z-.

სინთეზური გარდამავალი ზმნა daki („იცის“) ნამყო დროში, მსგავსად გარდაუვალ ზმნებისა, წარმოგვიდგება შემდეგი ფორმით: z-e-ki-en („იცოდა“).

ანალიზური ზმნის დროთა პარადიგმა აწყყოში შედგება substantivum verbale-სა, ლოკატივში დასმული სახელზმნისა და izan მეშველი ზმნისაგან. გარდაუვალ ზმნის ანალიზური უღვლილების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ibili („სვლა“) ზმნის ფორმები. აწყყოს მესამე პირის ფორმა მხოლოდით რიცხვში ასეთია: ibiltzen da („მიდის“). იმპერფექტი მიიღება მეშველი ზმნის აწყყოდან იმპერფექტში გადაყვანით: ibiltzen zen („მიდიოდა“).

ფუტურუმის (მყოფადის) საწარმოებლად გამოიყენება უკვე არა სახელზმნის ფუძე, არამედ მხოლოდ მიმღეობური ფორმა ibili, რომელიც ნათესაობით ბრუნვაში დაისმის და დიალექტების მიხედვით წარმოგვიდგება ibiliren ან ibiliko ფორმით.

ახალი აღთქმის უძველეს ბასკურ თარგმანში, რომელიც ძველ ლა-



ბურულ დიალექტზეა შესრულებული, ჭარბობდა *ibiliren*-ის მსგავსად *-en* დაბოლოებიანი ფორმები, მაგრამ ამჟამად კი დიალექტთა უმეტესობა პერიფრასტული უღვლილებისას მომავალი დროის საწარმოებლად *-ko* დაბოლოებიან ფორმებს მიმართავს.

ნათესაობით ბრუნვაში დასმულ ზემოხსენებულ მიმღეობურ ფორმებს მყოფადის საწარმოებლად ერთვის მეშველი ზმნა *da: ibiliko* (*|| ibiliren*) *da* ნიშნავს: „ის წავა“, გენეტურად კი მისი მნიშვნელობაა „ის აუცილებლად წავა, ის ვალდებულია წავიდეს, უნდა წავიდეს“.

პერფექტის ანუ აორისტის ფორმა თანამედროვე ბასკურ ენაში გამოიყენება წარსულში მიმდინარე და თქმის მომენტისათვის უკვე დასრულებული მოქმედების აღსანიშნავად. ის იწარმოება მიმღეობის ფორმაზე მეშველი ზმნის დართვით: *ibili da* „წავიდა“ („ის წასული არის“).

პლუსკვამპერფექტი გამოხატავს წარსულში შესრულებულ მოქმედებას, რომელიც წინ უსწრებდა სხვა მოქმედებას. ის იწარმოება აგრეთვე მიმღეობურ ფორმაზე მეშველი ზმნის დართვით, ოღონდ მეშველი ზმნა ამ შემთხვევაში იმპერფექტში დგას და არა აწმყოში: *ibili zen* „წასულიყო“.

ფუტურუმ მეორე იწარმოება, ისევე როგორც პირველი ფუტურუმი, ნათესაობით ბრუნვაში დასმული მიმღეობური ფორმისა და მეშველი ზმნის შეერთებით, ოღონდ მეშველი ზმნა აქ, მსგავსად პლუსკვამპერფექტისა, იმპერფექტში დგას: *ibiliren zen* ან *ibiliko zen* „წავიდოდა“.

რაც შეეხება გარდამავალ ზმნათა პერიფრასტულ უღვლილებას, აქ სახელადი ნაწილი ისეთივე ფორმით წარმოგვიდგება, როგორც გარდაუვალ ზმნებში, მაგრამ განსხვავებას ქმნის მეშველი ზმნა, რომელიც აქ არის *izan* („ქონება“) და არა *izan* („ყოფნა“). სახელდობრ, გვაქვს ასეთი ფორმები: პრეზენსი — *ikusten du* („ხედავს“), იმპერფექტი — *ikusten zuen* („ხედავდა“), ფუტურუმი — *ikusiren du* ან *ikusiko du* („შეხედავს“, „დაინახავს“), პერფექტი — *ikusi du* („დაინახა“, „შეხედა“), პლუსკვამპერფექტი — *ikusi zuen* („დაენახა“), ფუტურუმ მეორე — *ikusiren zuen* ან *ikusiko zuen* („დაინახავდა“).

ზემოხსენებული ყველა დროის ფორმა წარმოდგენილი იყო ინდიკატივში (თხრობით კილოში). ყველა ამ ფორმის წარმოება შესაბამისად შესაძლებელია სუბიუნქტივშიც.



გადავიდეთ ბასკური ენის სინტაქსურ დახასიათებაზე, რა თქმა უნდა, ძალიან მოკლედ.

აი როგორია წინადადების წევრთა წყობა ჩვეულებრივ ბასკურ თხრობით წინადადებაში: *Atzo txistulari batek bost txerri hil zituen Legazpin*. მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი ასეთია: *atzo* — „გუშინ“, *txistulari batek* — „ერთმა მესალამურემ“ *bost txerri* — „ხუთი ღორი“, *hil zituen* — „მოკლა“, *Legazpin* — ადგილის სახელწოდებაა თანდებულთ. მთლიანად წინადადება ასე ითარგმნება: „გუშინ ერთმა მესალამურემ ხუთი ღორი მოკლა ლეგასპიში“.

როგორც ვხედავთ, ჩვეულებრივ ბასკურ სრულ წინადადებაში ზმნი-ზედას პირველი ადგილი უკავია, მას მოსდევს ქვემდებარე, შემდეგ — პირდაპირი ობიექტი, ბოლოს კი წარმოდგენილია შემასმენელი. აღებულ მაგალითში შემასმენლის შემდეგ კიდევ დგას ერთი წევრი — ადგილის გარემოება, მაგრამ საერთოდ პოზიტიური შინაარსის ბასკურ წინადადებაში შემასმენელი ბოლოსკენ მიისწრაფვის.

ზემოთ წარმოდგენილი წინადადების გრამატიკული ანალიზის დროს ახსნას მოითხოვს ფორმა *hil zituen*. ბასკური ზმნის პოლიპერსონალიზმის დახასიათებისას ამგვარი ფორმების შესახებ მე არაფერი მითქვამს. ბასკურ გარდამავალ ზმნაში შეიძლება აღინიშნოს სუბიექტური, პირდაპირ-ობიექტური და ირიბ-ობიექტური პირები, ამავე დროს აღინიშნება სუბიექტის რიცხვი და, გარდა ამისა, აღინიშნება აგრეთვე პირდაპირი ობიექტის რიცხვიც. ამ მხრივ ვითარება ბასკურში ძველი ქართულის მსგავსია: „მონადირემან მოკლნა ირემნი“ — აქ ნარიან მრავლობითში დასმული პირდაპირი ობიექტის რიცხვი ზმნაში გამოხატულია -5 სუფიქსით. ასევე ბასკურშიც, როცა პირდაპირი ობიექტი მხოლოდ ერთ რიცხვშია, ამბობენ: *ihizlariak oreina hil du* („მონადირემ მოკლა ირემი“), მაგრამ თუ ობიექტი მრავლობით რიცხვშია, მაშინ საჭიროა *d-it-u* ფორმის გამოყენება, სადაც ინფიქსი *-it-* სწორედ პირდაპირი ობიექტის მრავლობითობაზე მიუთითებს: *ihizlariak oreinak hil ditu* („მონადირემ მოკლა ირემები“).

ძველ ქართულში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნა ზმნის ფუძისეული მორფემის შემდეგ არის წარმოდგენილი, ბასკურში კი წინ უსწრებს მას. როგორც ჩანს, ეს ელემენტი ბასკურში ნაცვალ-სახელური წარმოშობისაა. † სუბიექტის მრავლობითობის ნიშნად ცნო-

ბილია როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებში. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ წარმომავლობით იგივე ელემენტია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშანი, წარმოდგენილი უშუალოდ მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშნის d ელემენტის შემდეგ.

აი კიდევ ერთი მაგალითი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნისა ბასკურში: *Gizon batek zituen bi seme* (ესაა ნაწყვეტ) სახარების იგავიდან: „კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე“, რომელიც თანამედროვე ქართულით ასე ითარგმნება: „ერთ კაცს ჰყავდა ორი ვაჟი“. *zituen* („ჰყავდა მას იგინი“ „ესხნეს ორ ძე“) ზმნის ამ ფორმაში, რომელიც გარდამავალი ზმნის იმპერფექტს წარმოადგენს, *-z-it* მიუთითებს პირდაპირ ობიექტზე მრავლობით რიცხვში. ამ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა სახელში უკვე აღარაა აუცილებელი, საკმარისია მის მრავლობითობაზე მითითება თვით ზმნის ფორმაში.

ახლა დავებრუნდეთ ისევ სიტყვათა რიგს ბასკურ წინადადებაში. გარდამავალზმნიანი წინადადების მთავარი წევრების რიგი ასეთია: წინ დგას ქვემდებარე, შემდეგ — პირდაპირი ობიექტი და ბოლოს — ზმნა. ესაა ყველაზე გავრცელებული მოდელი, თუმცა მისი დაცვა ყოველთვის სავალდებულო არაა.

როგორც კავკასიოლოგები ფიქრობენ, ასეთივე მოდელია ამოსავალი იბერიულ-კავკასიური ენებისთვისაც, სადაც პირდაპირი დამატება უშუალოდ გარდამავალი ზმნის წინ დგას.

აღსანიშნავია, რომ როცა ბასკურში მიმართავენ ზმნის შედგენილ პერიფრასტულ ფორმებს, მეშველი ზმნა ხშირად გამოტოვებულია. მაგალითად, ერთი ბასკური ანდაზა, რომელიც მოჰყავს XVII ს. ცნობილ ბასკ მწერალს, ბასკური ხალხური ანდაზების კრებულის შემდგენელს არნოლდ ოიჰენარტს, ასე უღერს: *Astoak ardoa ekarten eta ura edaten* — „ვირს ღვინო დააქვს, მაგრამ წყალს სვამს“.

ეს წინადადება სისრულისას ზმნის სახელად ფორმებთან ერთად მეშველ ზმნასაც საჭიროებდა: *astoak ardoa ekarten du* და *eta ura edaten du*, მაგრამ მეშველი ზმნის ელიზია ხელს არ უშლის ბასკს წინადადების შინაარსის გაგებაში. ეს უნდა გვახსოვდეს, რადგან როცა უურს ვუგდებთ ბასკურ მეტყველებას, ხშირად ვამჩნევთ, რომ ზმნა წინადადებაში მხოლოდ სახელადი ელემენტებით არის გადმოცემული, ზოლო პირიანი ფორმები გამოტოვებულია, სრულ წინადადებაში კი ისინიც წარმოდგენილია.

ახლა მოვიყვანოთ ნიმუშები წინადადების სამი ძირითადი ტიპისა. თხრობითი წინადადება (sententia indicativa): Bettiri untziz doa („პეტრე ნავით ცურავს“). ამავე ტიპის მეორე წინადადება გარდამავალზმნიანი ავილოთ: Gizonak artoa ekarri du („კაცმა მოიტანა სიმინდი“).

პირველ წინადადებაში ზმნა წარმოდგენილია სინთეზური ფორმით (doa), მეორეში კი პერიფრასტული ფორმა გვაქვს (ekarri du), სუბიექტიცა და ობიექტიც მოცემულია განსაზღვრული სახით.

კითხვითი წინადადება (sententia interrogativa) შეიძლება განსხვავდებოდეს თხრობითისაგან მხოლოდ ინტონაციით: Bettiri untziz doa? („პეტრე ნავით ცურავს?“). მაგრამ ჩვეულებრივ კითხვითი შინაარსის მქონე წინადადებაში ზმნის წინ დაისმის ნაწილაკი ote: Bettiri untziz ote doa? („პეტრე ცურავს ნავით?“).

კითხვითი ნაწილაკი ote იხმარება საფრანგეთის ბასკურ დიალექტებში, გიპუსკოურში კი ამ ფუნქციით გვხვდება al ნაწილაკი: ondo al zara? („კარგადა ხართ?“).

ბრძანებითი წინადადება (sententia imperativa): Sarbedi gelan! („შემოვიდეს ოთახში!“).

ბასკურ ენაში გარჩეულია ზმნის სამგვარი ფორმა: დადებითი, უარყოფითი და კითხვითი, დაახლოებით ისევე, როგორც ეს გვაქვს თანამედროვე ინგლისურში. ამ ფორმათაგან თვითეული იცავს წინადადებაში სიტყვათა განლაგების სავალდებულო რიგს. სახელდობრ, forma positiva verbi სიტყვათა შემდეგნაირ განლაგებას მისდევს: Hark dirua eman dio („მან ფული მისცა“).

რაიმე ფაქტის უარყოფისას სიტყვათა რიგი წინადადებაში სხვაგვარია: Nik ez dut dirurik („მე არ მაქვს ფული“). აქ ez უარყოფითი ნაწილაკია, რომელიც ზმნა-შემასმენლის წინ დგას: dut — „მაქვს“, ez dut „არა მაქვს“. იმის გამო, რომ უარყოფით ნაწილაკს ცალკე მახვილი არ მოუღის და მომდევნო ზმნასთან ერთად ქმნის ერთ აქცენტუაციურ ჯგუფს, უარყოფითი ნაწილაკი და ზმნა დიალექტურ წარმოთქმაში ერთ მთლიანობად წარმოგვიდგება და ამდენად უფრო სწორი იქნება ვილაპარაკოთ უარყოფის აღმნიშვნელი პრეფიქსის შესახებ ზმნაში, ვიდრე დამოუკიდებელი უარყოფითი ნაწილაკის შესახებ. ბევრი ავტორი მათ სწორედ ერთად წერს: ezdut (და არა: ez dut). როგორც ვხედავთ, ამ დროს ზმნის თავიღიური d ყრუვდება და t-დ

იქცევა. ამიტომ ბასკური გრამატიკის თეორეტიკოსები დავობენ, ბასკურ ენაში უარყოფითი ფორმები გვაქვს თუ უბრალო შეერთება უარყოფითი ნაწილაკისა ზმნის პოზიტიურ ფორმასთან. მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში მაინც ისაა, რომ უკუთქმით წინადადებაში იცვლება სიტყვათა რიგი და შემასმენელი სხვა ადგილს იკავებს. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პოზიტიურ ფორმაში ჯერ სუბიექტია წარმოდგენილი, შემდეგ — პირდაპირი ობიექტი და ბოლოს — შემასმენელი, ნეგატიურ ფორმაში კი შემასმენელი წინ გადადის და უშუალოდ მოსდევს სუბიექტს.

გარდა პოზიტიური და ნეგატიური ფორმებისა, ბასკურს მოეპოვება აგრეთვე კითხვითი ფორმა — *forma interrogativa verbi*, რომელსაც ახასიათებს ზმნა-შემასმენლის მოქცევა წინადადების თავში და მისი აღჭურვა კითხვითობის გამომხატველი პრეფიქსით. მაგალითად, კაცი შედის დუქანში და კითხულობს: *Baduzu Irulegiko arnorik?* („გაქვთ თუ არა თქვენ ირულეგური ღვინო?“). *Baduzu* ზმნის კითხვითი ფორმაა: *duzu* — „გაქვთ“, *ha* კი წარმოშობით სუპოზიტივის ან კონდიციონალის პრეფიქსია, რომელიც მთელ წინადადებას კითხვითს შინარსს აძლევს. *Irulegi* კარგი ბასკური ღვინით ქებული ადგილია ქვემო ნავარაში, *arnorik* — „ღვინო“ პარტიტივის ფორმით, *casus partitivus* ამ შემთხვევაში აუცილებელია. ეს კონსტრუქცია დაკავშირებულია კონსტრუქციებთან, რომლებიც გამოხატავენ დიდისა და მთლიანის მიმართებას ნაწილისადმი.

როცა პირდაპირი დამატება პოსტპოზიციური *-a* არტიკლით განსაზღვრულ ფორმაში წარმოგვიდგება, მაშინ ის, თანახმად ბასკური ენის გრამატიკული წყობის მოთხოვნებისა, ნომინატივში დაისმის, მაგრამ როცა ის განუსაზღვრელი ფორმით არის წარმოდგენილი, მაშინ პარტიტივშია. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს.

სხვათა შორის, მე ზემოთ გაგაცანით ერთი სულური ანდაზა, სადაც „ღვინო“ გადმოცემულია სიტყვით *ardo*, ახლა კი მოვიყვანეთ წინადადება ლაზურულ დიალექტზე, სადაც იგივე სიტყვა ჟღერს როგორც *arno*. ამ სიტყვის უძველეს ფორმად ბასკოლოგები აღადგენენ \**ardano*-ს, რომელსაც დიალექტებში სხვადასხვაგვარი ცვლილება განუცდია.



ამით ჩვენ დავასრულეთ ბასკური ენის მარტივი წინადადების წიკ-  
ლე და ზოგადი მიმოხილვა. ახლა გადავიდეთ რთული წინადადების,  
კერძოდ, ქვეწყობილი წინადადების განხილვაზე: უფრო სწორად, გა-  
ვეცნოთ, რა ფორმებით გადმოიცემა ბასკურად ის აზრი, რომელიც  
რომანულ ენებში რთული ქვეწყობილი წინადადებით არის გამოხატუ-  
ლი. რაც შეეხება ნამდვილ ქვეწყობილ წინადადებას, ჰიპოტაქსი ბას-  
კურ ენაში ძალიან სუსტად არის განვითარებული.

როგორ გადმოიცემა ბასკურ ენაში ის აზრი, რაც ინდო-ევროპულ  
ენებში სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადებით არის გაფორ-  
მებული?

ინდო-ევროპულ ენათა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადე-  
ბის ადგილას ბასკურში ზმნა დაისმის განსაკუთრებულ ფორმაში, რო-  
მელიც მიმღეობის ფორმას ჰგავს და იწარმოება ზმნის ჩვეულებრივ  
ფორმაზე -en სუფიქსის დართვით; ასე, მაგალითად, Gizona etorri da  
ნიშნავს „კაცი მოვიდა“, Etorri den gizona კი იქნება: „კაცი, რომე-  
ლიც მოვიდა“. Etorri den — „მოსული კაცი“ — მიმღეობის ფორმა  
ცვლის განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას.

ასეთივე ვითარებაა მაშინაც, თუ ზმნა გარდამავალია. მაგალითად,  
Gizonak artoa ekarri du „კაცმა მოიტანა სიმინდი“ აქედან დამოკი-  
დებული წინადადება მიიღება ზმნის პირიანი ფორმის მიმღეობად (პარ-  
ტიციპულ ფორმად) გადაკეთებით და ამ მიმღეობიანი კონსტრუქციის  
გამოყენებით დამოკიდებული წინადადების ადგილას: Artoa ekarri  
duen gizona „კაცი, რომელმაც სიმინდი მოიტანა“ (სიტყვასიტყვით:  
„სიმინდის მომტანი კაცი“). პირველ მაგალითში da მეშველ ზმნას და-  
ემატა -en სუფიქსი და მივიღეთ den, მეორეში — იგივე -en ერთვის  
du მეშველ ზმნას და ვღებულობთ duen ფორმას.

ახლა მოვიყვანოთ ნიმუში განსაზღვრებითი დამოკიდებული წინა-  
დადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადებისა სრული სახით:  
Nik untziz doen Bettiri ikusten dut — „მე ვხედავ პეტრეს, რომე-  
ლიც ნავით ცურავს“ (სიტყვასიტყვით: „მე ვხედავ ნავით მცურავ  
პეტრეს“).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების გადმოცემა მიმღე-  
ობური კონსტრუქციებით უცხო არაა კავკასიური ენებისთვისაც, გან-  
საკუთრებით — ჩრდილო-კავკასიური ენებისთვის, სადაც ჰიპოტაქსი

სუსტად არის განვითარებული და დამოკიდებულ წინადადებას ცვლის სხვადასხვა სახის მიმღობური და სახელადი კონსტრუქციებში.

პროფ. ქ. ლომთათიძე ერთგან წერდა, რომ ძველ ქართულში შეინიშნება ნაკვალევი მიმღობური კონსტრუქციისა, რომელიც უფრო გვიან განვითარებული დამოკიდებული წინადადების როლში გამოდისო. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ეს ტენდენცია საერთოა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის. ასეთივე ძველი ვითარება დღემდე შემორჩენილია ბასკურში, რომელსაც არსებითად დღემდე არ განუვითარებია რთული ქვეწყობილი წინადადება სრული სახით. მხოლოდ ამ ბოლო დროს, რომანულ ენათა გავლენით, ჩნდება ახალი ტიპის დამოკიდებული წინადადებები, დაკავშირებული მთავართან კავშირების მეშვეობით, როგორც ეს დამახასიათებელია თანამედროვე ევროპული ენებისათვის.

დამატებით-დამოკიდებული წინადადება, როგორცაა, მაგალითად, ქართულში: „მე ვამბობ, რომ ის მოვიდა“, ბასკურში გადმოიცემა ზმნაზე -*ela* ნაწილაკის დართვით: *Nik Paulori erraiten diot etorriko naizela harengana* („მე ვეუბნები პავლეს, რომ მივალ მასთან“). *Nik Paulori erraiten diot* უდრის ჩვენს მთავარ წინადადებას. ზმნა აქ სამპირიანია, ამიტომ *dut*-ის ნაცვლად გვაქვს ფორმა *diot* — „მე მას ამას ვეუბნები“. *etorriko naizela harengana* უდრის დამატებით დამოკიდებულ წინადადებას — „რომ მე მივალ მასთან“, მაგრამ ის კავშირით კი არ უერთდება მთავარ წინადადებას, არამედ -*ela* ნაწილაკით, რომელიც მეშველ ზმნას ერთვის. ერთი სიტყვით, აქ არა გვაქვს დამოკიდებული წინადადებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი კავშირი და მთელი წინადადება ერთ მთლიანობას წარმოადგენს.

მიზეზის გადმოცემისას, როცა ჩვენ მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას მივმართავთ, ბასკურში გამოყენებულია გარკვეული ზმნური პრეფიქსი *hai*, რომელიც მთელ წინადადებას კაუზალურ, მიზეზ-შედგობრივ შინაარსს აძლევს, მაგალითად: *Biharamunean artalde eder bat ematen diote; eta ez gateko holako mendirat erraten dio, alimalia handi eta izigarri betzuez betea baita...*

„მეორე დილით მშვენიერ ფარას აძლევენ (ანდობენ) მას და ეუბნებიან, რომ იმ მთაზე არ წავიდეს, რადგან ის დიდი და საშიში ნადირით არის საესე“.

აქ ფორმა *haita* ასე არ ითარგმნება: „იმიტომ რომ არის“. ამ წინადადებაშიც არ მოიპოვება მაქვემდებარებელი კავშირი, დამახასიათებელი

კაუზალური წინადადებისათვის რომანულ ენებში. მიზეზი გადმოცემულია თვით ზმნის განსაკუთრებული ფორმით.

როგორც უკვე ვთქვით, გარემომცველ რომანულ ენათა სინტაქსის გავლენით ბასკურ ენაში ჩნდება ჩვეულებრივი რთული ქვეწყობილი წინადადებებიც, სადაც დამოკიდებული წინადადება მთავარს შესაბამისი კავშირებით ექვემდებარება მაგალითად: *Ni ez naiz tabernara heldiko, zeren ez baitut dirurik* — „მე არ წავალ ღუქანში, იმიტომ რომ არა მაქვს ფული“. იმის გამო, რომ ზმნა მიზეზის გამომხატველ დამოკიდებულ წინადადებაშია მოქცეული, მას ახლავს კაუზალური პრეფიქსი *bai*. წინადადებაში გამოყენებულია კავშირი *zeren* — „იმიტომ“.

იმას, რასაც ჩვენ მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით გადმოცემთ, ბასკები გამოხატავენ *-ko* სუფიქსიანი, გენეტივში დასმული მასდარით (საწყისით). მაგალითად: *Bettiri Baionara etorri da bere adiskidea ikusteko* — „პეტრე ბაიონში ჩამოვიდა, რომ თავის მეგობარი ენახა“ (სიტყვასიტყვით: „თავის მეგობრის ნახვად“ ანუ „თავის მეგობრის სანახავად“). ასეთი კონსტრუქცია დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვისაც.

ინდო-ევროპულ ენათა პირობითი დამოკიდებული წინადადების მნიშვნელობით ბასკურში იხმარება გარკვეული ზმნური ფორმა *ba-* პრეფიქსით, რომელიც პირობას გამოხატავს. მაგალითად: *Baldin nire anaia etxean bada, neska hau ez da barnera sartuko* „თუ ჩემაძმა შინ არის, ეს გოგონა შიგ არ შევა“. *baldin* — პირობითი ნაწილაკია, რომელიც პირობითი დამოკიდებულების აღსანიშნავად იხმარება, მაგრამ პირობითობა ძირითადად მაინც დაკავშირებულია ზმნაზე დართულ *ba-* პრეფიქსთან.

ჩვეულებრივი და ნორმალურია აგრეთვე ისეთი წინადადებებიც, სადაც დამოკიდებული წინადადების დამაკავშირებელი ნაწილაკი არ მონაწილეობს, ასე რომ, ზემოთ განხილული მაგალითების მსგავსად, დამოკიდებული წინადადების ფუნქციას, უწინარეს ყოვლისა, ისევ ზმნის განსაზღვრული ფორმა ასრულებს.

ახლა ენახოთ, როგორ გადმოიცემა ბასკურ ენაში დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. *Pertsona bat hilen denean* — ეს ფრაზა შეიძლება ასე ვთარგმნოთ: „როცა ვინმე (რომელიმე პიროვნება) მოკვდება“. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების

ტოლფარდი ეს ფრაზა არსებითად წარმოდგენს ბრუნებადს ფორმას რელატიური წინადადებისა — „Pertsona bat hilen den“ („პიროვნება, რომელიც მოკვდება“). ლოკატივში დასმული hilen den შინაარსით უდრის: „იმ დროს, როცა რომელიმე პიროვნება მოკვდება“ (შეადარეთ ქართული ფრაზა: „ვინმეს სიკვდილის დროს“, „რომელიმე პიროვნების სიკვდილისას“).

დროის გარემოება ბასკურში შეიძლება სხვა ზმნური ფორმებითაც გადმოიცეს. Bere seme ikustiaz ნიშნავს: „უყურებდა რა თავის შვილს“, „თავისი შვილის ცქერისას“. აქ ჩვენ გვაქვს მასდარი ikustea, წარმოდგენილი ინსტრუმენტალისის ფორმით. ის იხმარება მაშინ, როცა პარალელურად მიმდინარეობს ორი მოქმედება: დედა შვილსაც უყურებს და თან რაღაცას აკეთებს. -ean სუფიქსიანი ფორმა გამოხატავს იმდროინდელ ვითარებას, რომელიც წინ უსწრებდა მეორეს, ინსტრუმენტალისში დასმისას კი გადმოიცემა ორი მოქმედების ერთდროულობა.

ამრიგად, მე წარმოგიდგინეთ მაგალითები, თუ როგორ გადმოიცემა ბასკურში ის შინაარსი, რომელიც ინდო-ევროპულ ენათა გრამატიკულ სისტემაში ჰიპოტაქსურ წყობას მოითხოვს. ბასკურში ამგვარ შემთხვევებშიც პარატაქსი ჰარბობს: სხვადასხვა სახის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ადგილი უკავია ზმნის საგანგებოდ სახეცვლილ პირიან ფორმას, ანდა სულაც უპირო, სახელადი ფორმები გამოყენებული.

ზმნის ყველა ეს მოდალური ფორმა, რომელიც ბასკურ ენაში დამოკიდებული წინადადების ადგილას იხმარება სხვადასხვაგვარი სინტაქსური ფუნქციით, გამოჩენილ ფრანგ ბასკოლოგს პიერ ლაფიტს (Pierre Lafitte) თავის ვრცელ გრამატიკაში განხილული აქვს როგორც სხვადასხვა კილოს ფორმები. ამ გრამატიკაში, რომელიც ლაბურული დიალექტის მონაცემებს ემყარება, გარჩეულია შვიდი კილო.

მაგალითად, ზმნური ფორმები, რომლებიც რელატივის გადმოსაცემად გამოიყენება, ლაფიტს მიჩნეული აქვს კონიუნქტივად, რადგან ისინი წინადადებაში ხშირად წარმოდგენილი არიან გარკვეული ნაცვალსახელებისა (მაგალითად, კითხვითი ნაცვალსახელების) და ზოგი ისეთი ფორმის შემდეგ, რომლებიც წინადადებათა შორის შინაგანი კავშირის მოწესრიგებას ემსახურებიან.

დამატებით-დამოკიდებული წინადადების შინაარსის მქონე ფორმებს ლაფიტი უწოდებს modus completivus-ს. შემდეგ ის ჩამოთვლის



კიდევ ოთხ კილოს. ერთი მათგანია *modus affirmativus*. ამ ფორმის შესახებ, რომელიც *ba-* პრეფიქსით იწარმოება, ჩვენ ზემოთ საუბარი არ გვქონია. ეს ფორმა ხაზს უსვამს მოქმედლის დარწმუნებულობას, დაჯერებულობას, რომ ზმნით გადმოცემული ვითარება ნამდვილია, უეჭველია, მოქმედება ნამდვილად მოხდა; მაგალითად: *bada* — „ის ნამდვილად არის (იმყოფება)“, *badoa* — „ის ნამდვილად მოდის“, *ba-zen* — „ის ნამდვილად იყო (იმყოფებოდა)“ და ა. შ. ასეთი ფორმები ლაფიტს ცალკე კილოდ აქვს მიჩნეული.

მას ცალკე კილოდ აქვს გამოყოფილი აგრეთვე ფორმები, რომლებიც გამოხატავენ ალბათობას, საეგებიო მოქმედებას, რომლის უეჭველობაში მოქმელი მთლად დარწმუნებული არაა. ამის ნიმუშია ჩვენ მიერ განხილული ერთ-ერთი წინადადება: *Baduzu Irulegiko arnorik?* („გაქვთ თუ არა თქვენ ირულეგური ღვინო?“). *baduzu-*-ს მსგავს ფორმებს ლაფიტი აღნიშნავს *modus suppositivus*-ის სახელით.

ამრიგად, *ba-* პრეფიქსიან ზმნურ ფორმებს სამი სხვადასხვა გრამატიკული ფუნქცია მოეპოვება: აფირმატიული, კონდიციონალური და სუპოზიტიური. კონტექსტის მიხედვით ადვილად გაირჩევა, რა ფუნქციას ასრულებს აღნიშნული პრეფიქსი კონკრეტულ შემთხვევაში.

კაუზალური ფორმები, რომლებიც *bai-* პრეფიქსით იწყება, ლაფიტს მიჩნეული აქვს ცალკე კილოდ — *modus causalis*-ად. ასევე ცალკე კილოდ არის მიჩნეული *ez* უარყოფით-ნაწილაკიანი ფორმები (*modus negativus*).

ჩემი აზრით, ეს კილოს ცნების მეტისმეტი გაფართოებაა. ნამდვილი კილოები ბასკურში სამია: თხრობითი, სუბიუნქტივუსი (კავშირებითი) და ბრძანებითი, რომლებიც ქმნიან ზმნის პირიან ფორმათა სრულ მწკრივებს. დანარჩენი მოდალური ფორმები კი ადვილად მიიღება თხრობითი ან კავშირებითი კილოს ფორმებზე შესაბამისი აფიქსების დართვით. ამიტომ ამ შემთხვევაში გაცილებით უმჯობესია ვილაპარაკოთ ზმნის მოდალურ ფორმებზე, ვიდრე ნამდვილ კილოებზე, რომლებსაც საკუთარი ფორმები ყველა დროში უნდა მოეპოვებოდეს.

აი ყველაფერი, რაც მინდოდა მეთქვა ბასკური ენის გრამატიკული სტრუქტურის ძირითადი ნიშნების შესახებ. ყოველივე ამის დათვალიერების წინაშე ჩვენ უკვე შეგვიძლია გადავიდეთ შედარებით ადვილი ბასკური ტექსტების ანალიზზე. რასაკვირველია, ამ ტექსტებში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი გრამატიკული მოვლენებიც, რომელთა განხილვაც ჩვენ ვერ შევძელით ჩვენს ამ მოკლე კურსში, მაგრამ საერთო ფონზე მათი გამოცნობა და სათანადო ინტერპრეტაცია, ვფიქრობთ, ძნელი აღარ უნდა იყოს.

1. G. Lacombe, *La langue basque, Les langues du monde*, Paris 1952.
2. R. Lafon, *La lengua vasca, Enciclopedia Lingüística Hispánica, I*, Madrid 1959.
3. R. Lafon, *La langue basque, Bulletin du Musée Basque* 60/2, Bayonne 1973.
4. ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი, 1976, 114 გვ.
5. ა. ტოვარი, ბასკური ენა, არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი, 1980.
6. ი. ბრაუნე, ბასკური ენა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, თბილისი, 1977, გვ. 223.
7. J. Allières. *Les Basques*, Paris 1977.
8. J. Allières, *Manuel pratique de basque*, Paris 1979.
9. შ. ძიძიგური, ბასკურ-კავკასიური პრობლემა, თბილისი, 1981.
10. H. Gavel, *Eléments de phonétique basque*, Paris 1920.
11. L. Michelena, *Fonética histórica vasca, San Sebastián* 1977.
12. N. Moutard, *Etude phonologique sur les dialectes basques. Fontes Linguae Vasconum* VII/19 (1975), 5—42, VII/20 (1975), 141—189 et VIII/22 (1976).
13. H. Schuchardt *Primitiae Linguae Vasconum. Einführung ins Baskische*, Tübingen 1968 (მე-2 გამოცემა), XXIV—38 გვ.
14. H. Gavel, *Grammaire basque, vol. I*, Bayonne 1929.
15. H. Gavel, G. Lacombe, *Grammaire basque, vol. II, Le verbe*, Bayonne 1937.
16. P. Lafitte, *Grammaire basque (Navarro-labourdin, littéraire)*, Bayonne 1962.
17. I. L. Mendizábal, *La lengua vasca*, Buenos Aires 1949.
18. P. de Zamárripa y Uranga, *Gramática vasca (dialecto viscaíno)*, Bilbao 1955.
19. R. Lafon, *Le système du verbe basque au XVI siècle*, 2 vols. Bordeaux 1943—44.
20. K. Bouda, *Das transitive und das intransitive Verbum des Baskischen*, Amsterdam 1933.
21. E. Lewy, *Skizze einer elementaren Syntax des Baskischen, Caucasia* IX, (1931).
22. P. Villasante, *Sintaxis de la oración compuesta*, Oñate (Aránzazu), 1976.
23. L. Villasante, *Estudios de sintaxis vasca*, Oñate (Aránzazu), 1978.
24. R. M. de Azkue, *Diccionario vasco-español-francés*, I, Bilbao 1905, II, Bilbao—Paris 1906.

მეორე გამოცემა: Editorial „La Gran Enciclopedia Vasca“ (Zalla-Vizcaya)  
Bilbao 1969.

25. P. Lhande, Dictionnaire basque—français, Paris 1926.
26. D. de Alzo, Estudio sobre el euskera hablado, San Sebastián 1961.
27. Н. Я. Марр, Об яфетическом происхождении баскского языка, Известия Академии Наук, № 1—18, Петроград, 1920.
28. C. C. Uhlenbeck, De La possibilité d'une parenté entre le basque et les langues caucasiqnes, Revue Internationale des Etudes Basques XV (1924).
29. R. Lafon, Les origines de la langue basque, Conférences de l'Institut de Linguistique de l'Université de Paris, X, années 1950—51.
30. Я. Я. Браун, Словарные сходжения баскского и картвельских языков, თსუ ასპირანტთა VII სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1954.
31. ი. ბრაუნის, ბასკური და კავკასიური, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, VIII, თბილისი, 1981.

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ლოლაძე  
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუღალაშვილი  
კორექტორი მ. ვახეიშვილი

სბ 1163

გადაეცა წარმოებას 4.03.83 ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.10.84.  
უე 00098. საბეჭდი ქალაღი 60×84<sup>1/16</sup>. პირობითი ნაბეჭდი  
თაბახი 6,5. სააღრ.-საგამომც. თაბახი 5,41.

ტირაჟი 1000 შეკვეთის № 831.

ფასი 30 კაბ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.  
Издательство Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.  
Типография Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.

